# საერთო გაზეთი

№29 (711)
ოთხშაბათი
20 სექტემბერი,
2023წ.
ფასი 1.50 ლ.

**ევროპის პოლიტიკაში ყოველივე გამორჩენასა და ანგარიშს ექვემდებარება**



**რა უნდა გავაკეთოთ, რომ განათლების სისტემის აღმავლობა დაიწყოს?**

**თამარ კიკნაძე**
**ის რიტორიკა, რასაც ოპოზიცია გვთავაზობს, ქვეყნისთვის დამღუპველია!**



**რამაზ საყვარელიძე**
**ჩინეთიდან ტრანზიტი საქართველოს მსოფლიოში დამატებით ფუნქციას შესძენს**

**იოსებ ჭუმბურიძე**
**ქეთი დუმბაძე ქართული მწერლობის ღვიძლი შვილია**

**თუ სამშვილიანი ოჯახები ნორმა გახდება, დემოგრაფიულ კატასტროფას თავს დავაღწევთ**

**პენსიონერები „ლიბერთი ბანკის“ წინააღმდეგ**



**ელიშერ გვენეტაძე**
**საქართველოში მთავარი მისი უდიდებულესობა ქართველი ხალხია**

**მიხეილ გოგინაშვილი**
**სალომეს უნდა „დედოფლად“ ვაღიაროთ...**

## ბაიდენი აშშ-ის მეხუთე პრეზიდენტია, რომელსაც იმპიჩმენტი ემუქრება







# საქართველო სიტყვებს ქმედებად აქცევს




**ჩემთვის დიდი პატივია გაეროს გენერალური ასამბლეის მდგრადი განვითარების მიზნების სამიტზე დასწრება, სადაც საერთაშორისო საზოგადოებას შეუძლია შეაჯეროს ხედვები, გაცვალოს აზრები და გამოცდილება, და განიხილოს 2030 წლის დღის წესრიგის მიზნების პრაქტიკული განხორციელების გზები, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მდგრადი განვითარების მიზნების სამიტზე განაცხადა, სადაც ლიდერთა დიალოგის ფორმატში გამართულ დისკუსიაში – „ინტეგრირებული პოლიტიკისა და საჯარო ინსტიტუტების გაძლიერება მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად“ მიიღო მონაწილეობა.**

**როგორ მთავრობის ადმინისტრაციის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი, მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ სხვადასხვა ინიციატივებისა და პარტნიორობის მეშვეობით საქართველო ხელს უწყობს მდგრად ეკონომიკურ ზრდას, სოციალურ განვითარებას და გარემოს დაცვას.**

**„ჩვენმა მთავრობამ ქმედითი ზომები მიიღო 2030 წლის დღის წესრიგის განსახორციელებლად და სახელმწიფო სერვისების შესაძლებლობების გასაძლიერებლად, რათა არსებული გამოწვევების გადაჭრა შესაძლებელი გამხდარიყო, რაც აისახა კიდეც მრავალ გლობალურ რეიტინგში.**



**ვამაყობ, რომ საქართველოს მიერ შეტანილმა წვლილმა მდგრადი განვითარების მიზნების კონტექსტშიც გაგვხადა ლიდერი 2030 წლის დღის წესრიგის განხორციელების ასპექტში. სხვადასხვა ინიციატივებისა და პარტნიორობის მეშვეობით საქართველო ხელს უწყობს მდგრად ეკონომიკურ ზრდას, სოციალურ განვითარებას და გარემოს დაცვას“, – განაცხადა პრემიერმა.**

**როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, 2016 წელს საქართველომ აქცენტი გააკეთა თავის ეროვნულ სტრატეგიულ დოკუმენტებსა და მიზნებში მდგრადი განვითარების მიზნების ჩართვაზე და „პირველ ნებაყოფლობით ეროვნულ მიმოხილვაშიც“ ასახა ისინი.**

**„ამას მოჰყვა „მეორე მიმოხილვა“ 2020 წელს, სადაც დეტალურადაა აღწერილი მდგრადი განვითარების მიზნების სფეროში მიღწეული პროგრესი. საქართველომ 17 მდგრადი განვითარების მიზანი და 93 ორიენტირი განსაზღვრა პრიორიტეტებად და 200 ინდიკატორი შეიმუშავა პროგრესის მონიტორინგისთვის. ჩვენ ასევე შევქმენით მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული საბჭო კონსტრუქციული, ინტერპერსონალური დიალოგის გასაძლიერებლად.**

**საქართველო სიტყვებს ქმედებად აქცევს გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებთან ეროვნული პოლიტიკის თავსებადობის უზრუნველსაყოფად. დარგობრივი პოლიტიკის დაგეგმვისას ხდება მდგრადი განვითარების მიზნების გათვალისწინება და ეს უკვე არსებული პროცესის შემადგენელი ნაწილია. ყოველივე ამის მიზანია ახალი სტრატეგიული დოკუმენტების თავსებადობა ჩვენს მიერ ნაკისრ ვალდებულებებთან“, – განაცხადა მთავრობის მეთაურმა.**

**ნიუ-იორკში ვიზიტისას ირაკლი ღარიბაშვილი, აგრეთვე, შეხვდა გერმანიის კანცლერს ოლაფ შოლცს, ევროსაბჭოს პრეზიდენტს შარლ მიშელს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თავმჯდომარეს ანტონიო გუტიერეშს.**

## სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის

# განცხადება

საქართველოს ტერიტორიასა და მის ფარგლებს გარეთ მოქმედი პირთა გარკვეული ჯგუფი, მიმდინარე წლის ოქტომბერ-დეკემბერში საქართველოში გეგმავს დესტაბილიზაციისა და სამოქალაქო არეულობის მოწყობას, რომლის საბოლოო მიზანია ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლა, - ამის შესახებ სუს-ის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაშია ნათქვამი.

სუს-ის ცნობით, აღნიშნული გეგმის ერთ-ერთ ავტორად გვევლინება საქართველოს ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრის, **ვანო მერაბიშვილის** მოადგილე და ამჟამად უკრაინის სამხედრო დაზვერვის ხელმძღვანელის მოადგილე **გიორგი ლორთქიფანიძე** და მის დაქვემდებარებაში მყოფი ქართული წარმოშობის მქონე პირები, მათ შორის მესამე პრეზიდენტის დაცვის ყოფილი წევრი **მიხეილ ბატურინი** და ასევე სააკაშვილის ახლო გარემოცვის წევრი, უკრაინაში მოქმედი „ქართული ლეგიონის“ მეთაური **მამუკა მამულაშვილი**.

სუს-ის მტკიცებით, დესტრუქციული პროცესების დაწყების თარიღებად შერჩეულია ოქტომბერ-დეკემბრის პერიოდი, როდესაც უნდა გამოქვეყნდეს ევროკომისიის შუალედური და ევროკავშირის საბოლოო დასკვნა.

რაც შეეხება სცენარს, სუს-ის ინფორმაციით, განიხილება მოვლენათა განვითარების რამოდენიმე სცენარი, რომელიც მოიცავს ე.წ. „კარვების ქალაქის“ მოწყობას, ცენტრალურ გამზირებსა და სტრატეგიულ ობიექტებთან ბარიკადების აღმართვას, სამთავრობო შენობების დაკავება-ბარიკადირებას.

კერძოდ, სუს-ი აცხადებს, რომ დადასტურებულად ცნობილია, რომ ორგანიზატორების მიერ განიხილება საქართველოში 2014 წელს უკრაინაში გამართული „ევრომაიდნის“ მსგავსი სცენარის განხორციელება.

„სახელმწიფო უსაფრთხოებისა და მოქალაქეთა მშვიდობიანი თანაცხოვრების ინტერესებიდან გამომდინარე, გვსურს საზოგადოებას ვაცნობოთ, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში მიმდინარე გამოძიების ფარგლებში მიღებული ინფორმაციით, საქართველოს ტერიტორიასა და მის ფარგლებს გარეთ მოქმედი პირთა გარკვეული ჯგუფი, მიმდინარე წლის ოქტომბერ-დეკემბერში საქართველოში გეგმავს დესტაბილიზაციისა და სამოქალაქო არეულობის მოწყობას, რომლის საბოლოო მიზანია ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლა.

დესტრუქციული პროცესების დაწყების თარიღებად შერჩეულია მიმდინარე წლის ოქტომბერ-დეკემბრის პერიოდი, როდესაც უნდა გამოქვეყნდეს ევროკომისიის შუალედური და ევროკავშირის საბოლოო დასკვნა. სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად მომზადების შეთქმულთა მოლოდინი გათვლილია იმ გარემოებაზე, რომ გამოქვეყნებული დასკვნა იქნება უარყოფითი, რაც მათ განკარგულებაში არსებული საინფორმაციო ქსელებით, მთავრობისთვის ხელოვნურად დამაგრებული „პრორუსულობის“ ლოზუნგით, შექმნის ნაყოფიერ ნიადაგს საზოგადოებრივი მღელვარებისა და შემდგომი არეულობებისათვის.

ხაზგასასმელია ის, რომ აღნიშნული გეგმის განხორციელება იგეგმება უცხო ქვეყნების კოორდინაციითა და ფინანსური მხარდაჭერით.

დადასტურებული და გადამოწმებული ინფორმაციით, გიორგი ლორთქიფანიძის მიერ შემუშავებული გეგმის შესასრულებლად გამოყენებული იქნება უკრაინაში მებრძოლი ქართული წარმოშობის საკმაოდ დიდი ჯგუფი და დაინტერესებული მხარის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული ქართველი ახალგაზრდების ნაწილი, რომელთა გადამზადება-წვრთნა მიმდინარეობს პოლონეთი-უკრაინის სახელმწიფო საზღვრის მიმდებარედ. რევოლუციური სცენარისთვის გამოსაყენებელი ახალგაზრდული ჯგუფების მომზადების მიზნით გამოიყენება ორგანიზაცია „კანვასი“, რომლის ბირთვსაც შეადგენს ორგანიზაცია „ოტპორი“. სწორედ ამ ორგანიზაციებმა წარსულში მიიღეს აქტიური მონაწილეობა სერბეთში განვითარებულ რევოლუციურ პროცესებში და შესაბამისად, რეგულარულად გამოიყენებიან სხვადასხვა ქვეყანაში ახალგაზრდების მომზადებასა და დესტრუქციულ პროცესებში ჩართვის მიზნით.

ხსენებული პირების მიერ განიხილება მოვლენათა განვითარების რამოდენიმე სცენარი, რომელიც მოიცავს ეგრეთ წოდებული „კარვების ქალაქის“ მოწყობას, საქართველოში ცენტრალურ გამზირებსა და სტრატეგიულ ობიექტებთან ბარიკადების აღმართვას, სამთავრობო შენობების დაკავება-ბარიკადირებასა და ასევე სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს, რომლებიც შეიცავენ მძიმე პროვოკაციის ელემენტებს. კერძოდ, დადასტურებულად ცნობილია, რომ ორგანიზატორების მიერ განიხილება საქართველოში 2014 წელს უკრაინაში გამართული „ევრომაიდნის“ მსგავსი სცენარის განხორციელება.

ასევე ცნობილია, რომ გიორგი ლორთქიფანიძისა და მიხეილ ბატურინის ორგანიზებით აქციების მიმდინარეობის ადგილას, კერძოდ ეგრეთ წოდებული „კარვების ქალაქის“ ტერიტორიაზე, წინასწარ შერჩეულ კარავში შეტანილი იქნება ასაფეთქებელი მოწყობილობა, რომლის აფეთქებაც განზრახული აქვთ დანაშაულებრივი ქმედებების ორგანიზატორებს. აღნიშნულმა, მათი დანაშაულებრივი გეგმის მიხედვით უნდა გამოიწვიოს საპროტესტო აქციებში მონაწილე მშვიდობიან მოსახლეობასა და სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელთა რიგებში მსხვერპლი. ტერორისტული აქტის განხორციელების შემთხვევაში, დესტრუქციული ძალები იმედოვნებენ, რომ მოხდება უმისამართო სროლა სამართალდამცავებსა და აქციის მონაწილეებს შორის, რაც ნოყიერ ნიადაგს შექმნის შემდგომი სამოქალაქო დაპირისპირებისთვის.

გვსურს საზოგადოებას ვაცნობოთ, რომ ხსენებული პროვოკაციები, ორგანიზატორების მიერ, პირველად არ დაგეგმილა საქართველოს წინააღმდეგ, თუმცა წარსულში ისინი აღკვეთილ იქნა სამართალდამცავების ეფექტური და პრევენციული რეაგირების მეშვეობით. არსებული მძიმე გეოპოლიტიკური ვითარების გამოწვევების გათვალისწინებით, განსხვავებით წინა შემთხვევებისაგან, ამჟამინდელი გეგმა წარმოადგენს გაცილებით მაღალი რისკის შემცველ ფაქტორს, რომელიც საფრთხეს უქმნის როგორც ქვეყნის უსაფრთხოებას, ასევე საქართველოს რიგითი მოსახლეობის სიცოცხლეს, კეთილდღეობასა და ჯანმრთელობას.


მამუკა მამულაშვილი


მიხეილ ბატურინი


გიორგი ლორთქიფანიძე

# ევროპის პოლიტიკაში ყოველივე გამორჩენასა და ანგარიშს ექვემდებარება

მიშა, ევროკავშირი, შარლ მიშელი, ურსულა ფონ დერ ლაიენი, ვიოლა ფონ კრამონი და ყველა მათი მსგავსის ხსენება იმდენად მომწყინდა, ლამის პირსაქმება ამიტყდეს, მაგრამ რა უნდა ვქნათ, რომ არ გვეშვებიან?

ამათ ისე მოსდით, სამოგზაუროდ ტურებში წასულებს რაც სჭირთ, ოღონდ იპოზიორონ და წალმა-უკუღმა სურათებს რომ იღებენ. ტურის მონაწილე „სერიოზულები“ ოფიციალურ ორგანოებში წარსადგენი სურათივით სახეებს აწყობენ, ჩვენ არანორმალურებს ვგავართ, რადგან ვერთობით. სწორედ ასე ერთობიან ესენიც, მივლენ ოკუპირებული ტერიტორიების საზღვართან და გლახაობენ, ზოგი წინდებს ამარიაჟებს, ზოგი წვერებს აცანცარებს ან საჯდომს ათამაშებს. ჯანდაბას მათი თავი, მახათი არ მოეძევებათ ალბათო, — იფიქრებდა კაცი, მაგრამ, როდესაც საქმე სამშობლოს კეთილდღეობას ეხება, მიმდინარე ამბებს ადამიანი გულგრილად ვერ აუვლის გვერდს, მით უმეტეს, როდესაც ასე მომძლავრებულად ჰყავს შინაური თუ გარეული ავისმსურველი.

იმდენი თვალსაჩინო თუ უხილავი მღილი ახვევია მებრძოლ საქართველოს, საიდან დაიწყო მათი გამოხილვა, ვერ გაიგებ, ამიტომ ერთიანად



უნდა მისდგე და თუ ამ ეტაპზე ვერ იშორებ, ამხილო მაინც. ცალკე საკითხია, ბატონ პრემიერს გამუდმებით თავს რატომ ესხმიან.

შორიდან და ვრცლად რომ არ გამოგვივიდეს, მოკლედ ვთქვათ, უბრალოდ, გავიხსენოთ, რომ საქართველო გამიზნულად მოიტოვეს გვერდზე დსთ-ის წევრ მოლდოვასა (სადაც არაფერი რუსული უცხო არ არის, მაგრამ არავინ იმჩნევს) და უკრაინის ფონზე. შესაძლოა, საქართველოს მოსახლეობის ნაწილს არაფრად მიაჩნდეს რაღაც ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანება, ნაწილს — არც სურდეს, რადგან სარგებელზე მეტად კაბალური მდგომარეობის საშიშროებას ხედავს, მაგრამ თვით ფაქტი, რომ რაღაც ერთობაში მისაღებად უღირსად გცნობენ, თანასწორად არ მიაჩნიხარ, სულ მცირე, საწყენია.

„ევროპის პოლიტიკაში არც სამართლიანობასა და არც ზნეობას კუთვნილი ადგილი არ უჭირავს და ყოველივე გამორჩენასა და ანგარიშს ექვემდებარება“, — ჯერ კიდევ როდის თქვა სულმნათმა ილიამ (თხზ. IX ტ., 1960, გვ. 133) და ძნელია, დღესაც არ დაეთანხმო.

ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში, ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტი ჟოზეფ ბორელი საქართველოში ჩამოვიდა და როგორ გაბედა პრემიერმა ბორელთან შეპასუხებაო, აჟივჟივდა ე.წ. ოპოზიცია და ზოგიერთმა ტვინგახურებულმა, თითიდან გამოწოვილი მიზეზით სასწრაფოდ პრემიერის იმპიჩმენტის საკითხიც დააყენა.

რა დააშავა ბატონმა პრემიერმა? — მაქსიმალურად კორექტულად გააგებინა ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელს, რომ სამართლიან მოპყრობას მოვითხოვთ.

უთავმოყვარეო ე.წ. ოპოზიციიდან ის არავის უკითხავს, რისთვის ჩამოვიდა ბორელი საქართველოში და საქართველოს პრემიერთან რატომ სცადა „ზემოდან“ საუბარი, იმას ვინღა ჩივის, რომ ბატონი ღარიბაშვილი არ შეაქეს, ყოჩაღ, პრემიერო, სამართლიანი და ტაქტიანი შენიშვნისთვისო.

საქართველო პატარაა და ყოველთვის მარტო მდგომი. საქართველოს არასდროს ჰყოლია ნამდვილად მეგობარი ქვეყანა, არც ახლა ჰყავს და არც არასდროს ეყოლება. საქართველო ყოველთვის ბუნებრივი რესურსებით მდიდარი და გეოგრაფიულად სახარბიელო ადგილმდებარეობა იყო მხოლოდ და სხვა არაფერი, ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანები კი — არავინ.

არ გვინდა აღიარება, თუმცა ყველამ ვიცით, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა ბლეფია, ჩვენი სუვერეიტეტი — ფორმალობა. ჰოდა, ვიღაც ევროპელებისა თუ ამერიკელების მითითებები თუ მოთხოვნები, გნებავთ, დატუქსვა და საკითხთა თავსმოხვევა რატომ უნდა გაუკვირდეს უპირველესად საქართველოს ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენელს...

დიახ, ჟოზეფ ბორელი ჩამოვიდა არა სრულფასოვან ქვეყანაში, არამედ როგორც დღენაკლულ ქვეყანაში; არა როგორც ღირსეულ ქვეყანასთან, არამედ, როგორც ვასალთან, თუმცა, ფაქტობრივად, დიპლომატიური ალიყური მიიღო.

არჩევანი გვაქვს, მაგრამ არჩევის უფლება — არა!

მათი ყურით მოთრეული 12-პუნქტიანი ვალდებულებაც ისეთივე არსის მატარებელია, როგორც სახედრის წინ ჩამოკიდებული სტაფილო, შეძახილით, აცე, ვირო, შემოდგომაზე იონჯა მოვაო, სახედარზე კი ვიღაც გაზულუქებული ზის, რომელსაც არც სტაფილო ემეტება და არც იონჯა... კაცი ამბობს, 2030 წლამდე ევროკავშირი არ აპირებს გაფართოებასო და ნეტავ, სად ვეკვეხებით ვიწროში?!

ფაქტობრივად, ჟოზეფ ბორელი დაზვერვაზე ჩამოვიდა და, თავის მხრივ, სურს, რომ საქართველომ თვითონ თქვას უარი ევროპაზე, თუმცა, თემა მუდმივად აქტუალური უნდა იყოს, ფონად ასე სჭირდება დესტაბილიზაციას — სამწუხაროდ, სხვა აზრი აღარ მრჩება.

ნუთუ მხოლოდ მე მიკვირს ეს ამბავი — ხელისუფლებასა და ე.წ. ოპოზიციას იდეური თანხვედრა აქვთ, ორივე ევროოჯახისკენ მიისწრაფვის, მაგრამ მათ შორის გადაულახავი ე.წ. პოლარიზაციაა. თუ არ ჩავთვლით ე.წ. დასავლეთის მიერ თავსდმოხვეულ კოჰაბიტაციას დამნაშავე რეჟიმთან, ასეთი პოლიტიკური სიმახინჯე სხვა არ მსმენია...

მახსოვს, საფრანგეთის პრეზიდენტმა მაკრონმა პირდაპირი ტექსტით რომ გვითხრა, თქვენ არა ხართ ევროპაო. ვერც გაამტყუნებ, საქართველო იმიტომ არის საქართველო, რომ ის საქართველოა და არც უნდა იყოს ევროპა. **ჩვენ ჩვენი ქართველობით, ჩვენი კულტურით, ტრადიციებითა და ისტორიით თუ ასე მიუღებელი ვართ ევროპაში, მაშ იმ ფუტურო ევროპაში რა დაგვრჩენია?** გაფცქვნილ მანდარინს ერთი ლებანი რომ ამოაკლო და მის ნაცვლად ნივრის კბილი ჩადო, ზომაში მშვენივრად მოერგება, მაგრამ ის ხომ მისი ადგილი არ არის...

ძნელი დასანახია, რომ ევროპა ლაჯებში ჰყავს ამოდებული აშშ-ს და საკუთარ თამაშს ათამაშებს? ამდენად, სანამ აშშ არ მისცემს ნებას დაქვემდებარებულ ევროპას, რომ ევროპულ ოჯახში მიიღოს რუსეთთან დასაპირისპირებელი „ტერიტორია საქართველო“, საქართველოს ხელისუფლებასა და მის ე.წ. ოპოზიციას შეუძლიათ, მხოლოდ იოცნებონ ევროპაზე.

რას ჰქვია, საქართველო ევროპაში მოსახვედრი ჰაბია რუსი ტურისტებისთვის, ეს რა გადმოგვძახა ბატონმა ევროპელმა ევროპის აზრადო, — ეწყინათ „ჩვენებს“, ე.წ. ოპოზიციამ კი გაიხარა, ჰკათ ამათო და კვერი დაუკრეს ვიღაც ევროპელს.

გასაბრაზებელი და პასუხგასაცემი არ არის რომელიმე მეტიკვნიტა, როდესაც ბორელი რუსი ტურისტების ვროპაში გასაძვრომ ჰაბად აცხადებს საქართველოს და პარალელურად, ვიოლა ფონ კრამონი აცხადებს, რუსი მოქალაქეები, რომლებიც პუტინის რეჟიმს გაურბიან, ყველა უნდა მივიღოთ და შევიფაროთო? ჩვენი ამბავია ასეა: ზოგისა ბამბა ჩხრიალებს, ზოგისა — კაკალიც არა...

ამ ფონზე, თუკი ვინმეა, ვინც ანტიდასავლურ განწყობებს აღვივებს და საქართველოში რუსულ საქმეს აკეთებს, ეს სწორედ ის კოლექტიური ბორელები და ფონ-ვიღაცები არიან, რომლებიც საკუთარ ხელისბიჭად ჰყავს გადაქცეული აშშ-ს. მიზანი მხოლოდ ერთი აქვთ, საქართველოში მაქსიმალურად გააღვივონ ანტისახელისუფლებო განწყობა შემოდგომის ბოლომდე, იმ დროისთვის, როდესაც ევროკავშირის წევრობის კანდიდატობის სტატუსის მონიჭების საკითხს მივუახლოვდებით.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა მხოლოდ დაასახელა კონკრეტული პირები და ორგანიზაციები, რომლებიც მიმდინარე წლის ოქტომბერ-დეკემბერში სამოქალაქო არეულობის მოწყობას გეგმავენ ხელისუფლების პრორუსულობის ეგიდით, რაც, საბოლოოდ, ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლას ითვალისწინებს, თორემ საქართველო იმდენად პატარაა, რომ ყველამ ყველაფერი იცის ყველაფრისა და ყველას შესახებ. ისიც კარგად ვიცით საქართველოში, რომ საქართველოსა და, კონკრეტულად, დღევანდელი ხელისუფლების წინააღმდეგ დაგეგმილი ყველა მავნებლობა უცხო ქვეყნების კოორდინაციითა და ფინანსური მხარდაჭერით იგეგმება.

საქართველოს თვალხილული მოქალაქეები რასაც ხედავენ, ის არის, რომ დასავლური ინსტიტუტების კანდიდატის სტატუსი მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური ინსტრუმენტია და სხვა არაფერი.

აშშ-ის ექსპრეზიდენტი ვიღას დაჰკარგვია თავისი კინტოურით, სხვა საქმე რომ ვეღარაფერი მოუნახავს და ვინმე დევიდ კრამერის (აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ექსმაღალჩინოსანი) გახმოვანებით „პუტინიზმის დამარცხების“ კონფერენციაზე წასაკითხ წერილს გვიგზავნის. ფრიად საინტერესოდ სასაცილოები არიან — სად ნახეს პუტინიზმი და თუ სადმე მაინც ნახეს, რანაირად ამარცხებენ პუტინიზმს თაბახის ფურცელზე დაწერილი ლანძღვა-გინებითა და ალაფურშეტით თუ პურის მირთმევაზე ერთდღიანი (თუ ერთი ულუფა) უარის თქმით?

იმ ქვეყნის მეთაურები, რომელთაც შნო აქვთ, „პუტინიზმთან“ ბრძოლის ნაცვლად „პუტინისტობენ“, პუტინთან არხეინად პუტუნებენ, ჰააგის სასამართლოს მიერ ბრალდებულ პუტინს ბორკილებს კი არ ადებენ, არამედ პირზე კოცნით ხვდებიან და მათ ბუზს ვერავინ უფრენს.

ვიღაცები ამბობენ, საქართველო ვერ ჩამოყალიბდა პრინციპულ, ეროვნული ინტერესების გამტარებელ სახელმწიფოდო. ერთ დღეში ვერ გაშლის ფრთებს წლობით მხრებშეკრული საქართველო, თუმცა როგორც ვხედავთ, იმდენად მიუღებელ ნაბიჯებს დგამს და მიუღებელ თეზისებს ახმიანებს კოლექტიური დასავლეთი, საკმაოდ მნიშვნელოვანი სისწრაფით გვაყალიბებს ასეთ სახელმწიფოდ.

ბატონ პრემიერს გამუდმებით თავს რატომ ესხმიანო და აი, რატომ: ბატონი პრემიერი ის გაუტეხელი ქართველი აღმოჩნდა, რომელიც ვერ მოისყიდეს, ვერ გადაიბირეს, ვერც დააშანტაჟეს. კაცი, რომელიც აკეთებს იმას, რაც საქართველოს წაადგება დღესაც და სამომავლოდაც,

დოკუმენტურ კადრებად არის შემონახული წინა ხელისუფლების დროს მომხდარი სტიქიური უბედურების შემდეგ იმდროინდელი პარლამენტის თავმჯდომარის, დავით ბაქრაძის შეხვედრა დაზარალებულ მოსახლეობასთან, სადაც იგი უტიფრად უცხადებს მოსახლეობას, რომ სტიქია ბუნებრივი მოვლენაა და დაზარალებულები სახელმწიფოს ვერ მოსთხოვენ ბუნებისგან მიყენებული ზარალის ანაზღაურებას. ამაზე დიმიტრი ბათიაშვილის მოკლემეტრაჟიანი ფილმი „შნო“ გამახსენდა, როდესაც საქართველოში ჩამოსულმა უცხოელმა სპორტსმენმა თხილამურებით ტრამპლინიდან ნახტომი შეასრულა, ერთმა ბაკურიანელმა ბიჭმა აიჩემა, ისეთივე ნახტომი უნდა შევასრულოო. ამაოდ ეცადნენ, რომ გადაეთქმევინებინათ, მით უფრო, რომ ეს მისი პირველი ნახტომი იქნებოდა. თავისი გაიტანა, დაიმტვრა, დაილეწა, მაგრამ გადახტა, აისრულა წადილი. მას ჰქონდა გადახტომის შნო და გადახტა...

ჩვენ რისი შნო გვაქვს?



აქამდე არაფრის შნო არ გვქონდა, უფრო ზუსტად კი, ჩაგვაგონეს, რომ არაფრის შნო არ გვაქვს, თუ ვიღაცამ არ გვათრია შარვლის ტოტზე გამობმული, მაგრამ ახლა ბატონი პრემიერის ნაბიჯები იმედს გვიჩენს, რომ ჩვენც გვაქვს რაღაც-რაღაცების შნო...

ამ ფონზე, ცხადია, ე.წ. რადიკალური ოპოზიციისთვის ლახვრის ჩასობის ტოლფასია, როდესაც შოვის ტრაგედიისა და გურიაში მომხდარი სტიქიისგან დაზარალებულებზე სახელმწიფო ზრუნავს;

ცხადია, აუტანელია ის პრემიერი, რომელმაც განაცხადა, რომ საჯარო მოხელეებისთვის ხელფასების მატების ტენდენცია გრძელდება;

ცხადია, აუგი უნდა თქვან იმ პრემიერზე, რომელმაც განაცხადა, რომ დააფინანსებენ ონკოლოგიური დაავადების მქონე ბავშვების მკურნალობას უმაღლესი დონის კლინიკებში;

ცხადია, სტუდენტების მოსყიდვად უნდა გამოაცხადონ პრემიერის ნათქვამი, რომ ფინანსური დავალიანების გამო სწავლას ჩამოშორებულ სტუდენტებს დავალიანება გაუნულდებათ და სახელმწიფო იზრუნებს მათი დავალიანების გადახდაზე...

ბოლო-ბოლო, აუტანელია ის პრემიერი და ის სახელისუფლებო გუნდი, რომელსაც ომი არ უნდა, არ ხსნის „მეორე ფრონტს“ უკრაინის სასარგებლოდ და საკუთარი ქვეყნის საზიანოდ.

თავგამოდებით იბრძვიან მეტიკვნიტები საქართველოსა და მისი პრემიერის წინააღმდეგ. სიცრუის ტირაჟირებას ვინღა ჩივის, უკადრებელსაც კადრულობენ — ოპონენტების ოჯახებს, ბავშვებს ეხებიან, თუმცა, თავადვე ზიანდებიან. ბუმერანგის პრინციპი მოქმედებს — ნაცმოში ნაცმოელს ნაცმოელი ვეღარ უპოვნია...

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი კი უხმაუროდ აკეთებს ქვეყნისთვის სასარგებლო საქმეებს. ამჯერად აშშ-ში გაემგზავრა დელეგაციასთან ერთად, ნიუ-იორკში სიტყვა ჰქონდა სათქმელი გაეროს გენერალური ასამბლეის 78-ე სესიაზე და მაღალი დონის შეხვედრები აქვს დაგეგმილი.

ბრავო, პრემიერო!

**ნინო დაუშვილი**

# ჩინეთიდან ტრანზიტი საქართველოს მსოფლიოში დამატებით ფუნქციას შესძენს



*გვესაუბრება პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე:*

**— ბატონო რამაზ, ცხელი პოლიტიკური შემოდგომა დაიწყო. როგორ შეაფასებთ საჭადრაკო დაფაზე განხორციელებულ პოლიტიკურ სვლებს?**

— რადიკალები ენერგიულ განცხადებებს არ იშურებენ, თუმცა მათი მცდელობა ამაოა. „ქართული ოცნების" უნიკალური ნიჭი კი — უღრუბლო ცაზე ჭექა-ქუხილის, გაავდრების გამოწვევაა, რასაც მმართველი გუნდის შეცდომად მივიჩნევ. მიუხედავად მათდამი ჩემი მხარდაჭერისა, შეცდომებზეც უნდა ითქვას. მაგალითად, პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხი გაუთვლელ ნაბიჯად მიმაჩნია. ხელისუფლებამ მკაფიოდ აღნიშნა, რომ კონსტიტუციის დარღვევისთვის ყველამ პასუხი უნდა აგოს, რაზეც ბორელმა თითი დაგვიქნია: პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხი პოლარიზაციას გაზრდისო. ოპოზიცია დროს არ კარგავს — პრემიერმა თითქმის მთელი მსოფლიო მოიარა, მაგრამ ეს სალაპარაკო არ გამხდარა. ახლა კი ერთი ჩარტერული რეისის გამო ოპოზიციამ მისი ფულების თვლა დაიწყო. რადიკალები ყველაფერზე ხმაურს შეგნებულად ტეხენ. ბევრი ადამიანისგან გამიგია: ხელისუფლებას რუსეთისკენ მივყავართო. არგუმენტს რომ ვეკითხები, ოპოზიციის ფრაზებს იშველიებენ. ასე რომ, პატარა შეცდომაც კი ოპოზიციისთვის ხმაურის ასატეხად შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს.

ამასთანავე, „ქართული ოცნება" ბევრ რამეს ჩინებულად აკეთებს. მაგალითად, ჩინეთში პრემიერის ვიზიტი, პოლიტიკური თვალსაზრისით, შესანიშნავად განხორციელდა — ყველას ეგონა, რომ ღარიბაშვილი ჩინეთში კულტურულ ღონისძიებაზე მიდიოდა, უცებ აღმოჩნდა, რომ იქ სტრატეგიული პარტნიორის შესაძენად ჩავიდა. „ქართული ოცნება" რაღაცებს ისე აკეთებს, რომ ხმაურს არ ტეხს და მერე ფაქტის წინაშე აყენებს როგორც მოსახლეობას, ისე დასავლელ პარტნიორებს. ეს, უდავოდ, კარგი ფაქტია. რაც შეეხება ოპოზიციას, მას ასეთი პლუსები არ გააჩნია. ჩინეთის თემა მრავალხატოვანია. ჩვენ ძალიან გვჭირდება მსოფლიოში დამატებითი ფუნქციების შეძენა. მაგალითად, ჩინეთიდან ევროპისკენ საქონლის ტრანზიტი ჩვენი გავლით რომ გავიდეს.

ჩინეთი არის ქვეყანა, რომელთანაც რუსეთი უბატონოდ ვერ საუბრობს. მათი ურთიერთობა თავისებურია, სადაც ჩინეთი უფროსი ძმაა. რაც შეეხება საქართველოსთან მის ურთიერთობას, ჩინეთი კულტურის დიდი დამფასებელია — რაც თავად აქვს, იმას სხვებშიც აფასებს.

ჩინეთმა თავის წამყვან უნივერსიტეტში შოთა რუსთაველის ძეგლი დადგა. იქ ეს გავრცელებული პრაქტიკა არ არის. მას პარტნიორული ურთიერთობა ოცდაცამეტ ქვეყანასთან აქვს, მაგრამ ოცდაცამეტი ქვეყნის შემოქმედთა ძეგლები იქ არ დგას. ასე რომ, ჩინეთთან ამ მხრივაც განსაკუთრებული კავშირები ყალიბდება. „ქართულ ოცნებას" ამ ასპექტებზე არაფერი უთქვამს. ღარიბაშვილი არამარტო უხმაუროდ წავიდა, არამედ არც ჩამოსვლის შემდეგ გააღრმავა ეს თემა, რაც აბსოლუტურად სწორად მიმაჩნია, რადგან ჩინეთთან ჩვენს კავშირს, ერთი მხრივ, რუსეთიდან დაბლოკვა ემუქრება, მეორე მხრივ კი — აშშ-იდან. ამიტომ ხელისუფლების მხრიდან მსგავსი დიპლომატიური ნაბიჯი — ყველა ურთიერთობაში მათთვის სასარგებლო მომენტი იპოვონ, მისასალმებელია. **ხელისუფლება საქმის კეთებითაა დაკავებული, ამ დროს ოპოზიციიდან მხოლოდ ლოზუნგები გვესმის**, რუსეთისკენ გვექაჩებიანო. ეს არც დიპლომატიაა, არც არგუმენტაცია.

ამ ზაფხულს უცხოეთში გახლდით. ფსიქოლოგიით დაინტერესებულმა ერთმა პირმა მითხრა: ვიცი, რაც ხდება საქართველოში, ხელისუფლებას რუსეთთან უნდა გაერთიანება, ხალხი კი ამის წინააღმდეგიაო. ანუ, ოპოზიციის ყბადაღებული ფორმულა ვრცელდება და ისადგურებს. მავანი მოვლენების გააზრებას, შინ და გარეთაც, ამ ფორმულით იწყებს. ამ უაზრო ფორმულას თავისი პოლიტიკური შედეგები მოსდევს. თუმცა, საყურადღებო სხვა რამ არის: ოპოზიცია ვერ აანალიზებს, რომ ეს ფორმულა მისთვის არაფრისმომცემია. ვთქვათ, „ქართულ ოცნებას" ამ ლოზუნგებით არჩევნებში ხელი შეეშალა. ეს ოპოზიციას რაში არგია?! არჩევნებზე ხომ მაინც ქართველი ხალხი უნდა მივიდეს — მან „ქართული ოცნება" რომც გადახაზოს, ოპოზიციას მაინც არ აირჩევს. ვერ გაიგეს, რომ ხალხს არ უნდა ეს ოპოზიცია. მათ უნდათ ოპოზიცია, რომელიც განვითარების ახალ სვლებს, ხედვებს დაანახვებს და არა ქვეყნის ნგრევას და აოხრებას. ამ დროს ყველაფერი პირიქითაა — მათი რიტორიკა უცვლელია, „ქართული ოცნება" მიდის რუსეთისკენო. თან, თორმეტი წელია, ამას გაიძახიან. აქვე წინ წამოსწიეს ძველი სახეები, რაც წამგებიანია. ძველ სახეებზე ამომრჩეველი ხომ ისევ უარს იტყვის. ოპოზიციამ ჩინეთთან პარტნიორობის გაკრიტიკებაც სცადა — თუ დემოკრატიისკენ მივდივართ, ჩინეთი რად გვინდაო. პასუხად მიიღეს: ევროკავშირი და ამერიკა ჩინეთის პარტნიორები არიან და ესე იგი, ისინი დემოკრატიის გზას არ ადგანანო. ოპოზიციაც იძულებული გახდა, ხმა გაეკმინდა. ოპოზიცია სისულელეების თქმას არ ერიდება. ყოველ მცდარ ნაბიჯს, ახალ სისულელეებს ამატებენ. თუნდაც საქართველოში მეორე ფრონტის გახსნის საკითხი ავიღოთ. გულუბრყვილოდ ამბობენ: ჩვენ როდის ვთქვით, ომი გვინდაო და ამ დროს, მეორე მხრივ, გვეუბნებიან: თავმოყვარეობის საკითხია, როცა შენი მეგობარი იბრძვის და შენ არაფერს აკეთებო!

კი ბატონო, შეცდომებს „ქართული ოცნებაც" უშვებს, მაგრამ ოპოზიციასთან ახლოსაც ვერ მივა. აი, კიდევ ერთი ცინცხალი შეცდომა: ოპოზიცია გაიძახის, კოალიციური მთავრობა უნდა შევქმნათ და ასე ვმართოთ ქვეყანაო. კოალიციურ მთავრობაზე საუბრობს ხალხი, რომელიც პრეზიდენტის იმპიჩმენტთან დაკავშირებით ერთმანეთს ეჩხუბება: ამ გადაწყვეტილებას ხმა არ მისცეთო. მეტიც, ვინმეს მიერ ხმის მიცემა რომ გამოირიცხოს, ამბობენ, კენჭისყრის დღეს დარბაზი დავტოვოთო. ეს ხომ ნიშნავს, რომ ერთმანეთს არ ენდობიან! რომელ კოალიციურ მთავრობაზე უნდა მელაპარაკონ პარტიები, რომლებიც ერთმანეთს კენჭისყრის საკითხშიც კი არ ენდობიან. თუ ოპოზიციას სურს, „ქართულ ოცნებას" საქმე გაურთულოს, მაშინ პირიქით, პრეზიდენტის იმპიჩმენტს უნდა იწონებდნენ. ვერც ამას თვლიან: რა აწყობთ და რა — არა.

ბჟეზინსკიმ შემთხვევით როდი დაწერა წიგნი „დიდი საჭადრაკო დაფა". ჭადრაკში ისეთი ეშმაკური სვლები კეთდება, რომლის შედეგი უცებ არ ჩანს და ეს მოგვიანებით გამოვლინდება. თორმეტი წელია, ოპოზიცია ვერ ახერხებს საჭადრაკო სვლის გაკეთებას. მეტიც, ის სვლებს არც აკეთებს, არამედ მხოლოდ დარტყმებს აყენებს. ეს უფრო თამაშია, სადაც ფიგურას მაგრად უნდა დაარტყა და გადააგდო. საჭადრაკო სვლებზე ლაპარაკიც ზედმეტია. აი, ასე მარტივად თამაშობენ პოლიტიკაში მყოფი ოპოზიციური პარტიები. მიუხედავად მათი ხმაურისა, ოპოზიციიდან რაიმე შედეგების მოლოდინი აბსურდია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჯერ ჩადენილის მონანიებაა საჭირო. გაიხსენეთ თენგიზ აბულაძის „მონანიება". ავტორი კომუნისტებსაც კი ვერ პატიობს ჩადენილი დანაშაულის მოუნანიებლობას, „კომუნისტების ცოდვებს" ყოველდღე საფლავიდან თხრის. ნაცებსაც ხომ ჰქონდათ რაღაც მოსანანიებელი, რისი უნარიც, სამწუხაროდ, არ აქვთ.

**— ამიტომაც, „ნაცმოძრაობის" ჩამოშლა გრძელდება. უგულავამ ოპოზიციას მოუწოდა: მიშა ცემენტია, რომლის გარშემოც ყველა უნდა გავერთიანდეთო...**

— ცემენტი კარგი მეტაფორაა, ოღონდ, დასაზუსტებელია ერთი გარემოება: თუ ცემენტს დროულად გამოიყენებ, ის მართლაც კრავს გარკვეულ ნაწილებს, ხოლო თუ ცემენტი დიდხანს იდება გამოუყენებლად, გამაგრდება და სარგებელიც აღარ ექნება, ქვად გადაიქცევა. ასეთი დაგვიანებული ცემენტია მიშა, ის უკვე ველარაფერს შეკრავს მიუხედავად იმისა, რომ თაყვანისმცემლების ჯგუფი ისევ ჰყავს.

**— ბატონო რამაზ, ერთ თვეში ცნობილი გახდება, რა გადაწყვეტილებას მიიღებს ევროპა კანდიდატის სტატუსის მონიჭებასთან დაკავშირებით. ღარიბაშვილმა აღნიშნა: საქართველო იმსახურებს კანდიდატის სტატუსს, ველით სამართლიან გადაწყვეტილებასო. ბორელის ვიზიტმა რა შთაბეჭდილება დაგიტოვათ — არის მზად ევროპა იმისთვის, რომ თავის ოჯახში მიგვიღოს?**

— სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, რისი მოლოდინი შეიძლება გვქონდეს. ბორელმა, ერთი მხრივ, გვითხრა, რომ საქართველო ევროპულ ოჯახს მიეკუთვნება, ხოლო, მეორე მხრივ, შეუსრულებელ დავალებაზე ისაუბრა. მის მიერ მოყვანილი მაგალითი პროფესორისა და სტუდენტის თაობაზე საკმაოდ უტაქტოდ ჟღერდა. შემოგვთავაზა მოდელი — გამოცდას რომ ჩააბარებთ, მერე მიგიღებთო. უკრაინასა და მოლდოვას ბევრად სერიოზული ცოდვები ჰქონდათ, თუნდაც კორუფციასთან მიმართებით, მაგრამ სტატუსი მაინც მისცეს, ჩვენ კი — არა. ეს უკვე უსამართლობაა. კი მაგრამ, უსამართლო პროფესორიც პროფესორია, უსამართლოდ დაწერილი ნიშნის ფონზეც ამაყად უნდა თქვას პროფესორმა, ჯერ გამოცდა კარგად ჩამაბარეთ და მერე მიგიღებთო?! მართლა ბავშვებს ხომ არ ელაპარაკებიან?! იმაზე მაინც დაგველაპარაკონ, რა არის ჩვენთვის მისაღები და რა — არა. დირექტიული ტონი ჩვენთვის ნაცნობია. მოსკოვიც ასეთი ტონით გველაპარაკებოდა. აშკარაა, თავად ევროპას რაღაც უჭირს. **საქართველოს მიმართ არასწორი დიპლომატიური ინტონაციაა შერჩეული.** ევროპის მხრიდან დაშვებულ კიდევ ერთ შეცდომაზე მინდა გითხრათ. ზემოთ მონანიებაზე ვისაუბრე. ევროპას ვეუბნებით: შეცდომა იყო, თავის დროზე რომ არ მიგვიღე, ასევე, 2008 წელს ჩვენ გვერდით რომ არ იდექი-თქო, მაგრამ რეაქცია არ აქვს. მოინანიე რა, თქვი, რომ შეცდომა დაუშვი. ასეთი ინტონაცია ბორელის ტექსტში არ ისმოდა! ამიტომ დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ბორელმა თავად არ იცის, პროცესი რა მიმართულებას მიიღებს, რადგან ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ განვითარდება მოვლენები უკრაინაში და რამდენად მოუწევს ევროპას რუსეთისთვის ანგარიშის გაწევა. ვნახეთ, რომ G-20-ის შეკრებაზე რუსეთი უკვე ოკუპანტად აღარ გამოაცხადეს, აქვე უკრაინას იარაღს აწვდიან. ესე იგი რაღაც დონეზე ევროპამ სიფრთხილის გამოჩენა დაიწყო. ევროპის სიფრთხილე რუსეთის მიმართ ჩვენთვის ძალიან სახიფათოა. უკრაინას და მოლდოვას სტატუსი მისცეს, მაგრამ პუტინი ბოლომდე რომ არ გაეღიზიანებინათ, საქართველო რუსეთის კმაყოფაზე დატოვეს.

G-20-ის შეხვედრაზე რუსეთს დაუთმეს. სადამდე დაუთმობენ?! შეიძლება, ახლაც დაუთმონ და შედეგად ჩვენ კანდიდატის სტატუსი კვლავ არ მოგვცენ. კანდიდატის სტატუსი ბევრს არაფერს იძლევა, მაგრამ მის არმოცემას მძიმე პოლიტიკური ჟღერადობა აქვს. თან ეს პოლიტიკური განაცხადია რუსეთისთვის — აჰა, შენ საქართველოო. **ევროპა ხეზე ზის და საქართველოს როგორც ბარტყს, ისე აგდებს.** მაგრამ არც ის არის გამორიცხული, რომ, თუ ჩინურმა ტრანზიტმა საქართველოზე გაიარა, ევროპა მიხვდეს, რომ მის ინტერესშია, სტატუსი მოგვცეს. ერთ-ერთ ოპოზიციონერ პოლიტიკოსს წამოსცდა: დღეს ევროპის ინტერესში უფროა, საქართველოს კანდიდატის სტატუსი მისცეს, ვიდრე ჩვენს ინტერესშიო. ეს ფაქტორი თუ გადაწონის, შეიძლება სტატუსი მოგვცენ.

ბორელის ვიზიტი იმის ნიშანია, რომ ჯერჯერობით ევროპას მკაფიო გადაწყვეტილება მიღებული არ აქვს. პრობლემა ისაა, რომ ხშირად ჩვენი პარტნიორები ვერ ხვდებიან, რა აწყობთ და რა — არა. საქართველომ თავად უნდა აუხსნას ამა თუ იმ მხარეს, თუ რატომ უნდა აწყობდეთ ჩვენი მხარდაჭერა.



**თამარ შველიძე**
555 23 28 24



საქართველოს მოქალაქეები რუსეთის უნივერსიტეტებში სწავლას უფასოდ, რუსეთის ფედერაციის ფედერალური ბიუჯეტის ხარჯზე შეძლებენ. რუსეთის ხელისუფლების ამ გადაწყვეტილების უკან ოპოზიციამ ფეესბეს ინტერესები დაინახა და აცხადებენ, რომ რუსეთში სასწავლებლად მიწვეულ ახალგაზრდას უნდა ესმოდეს, რომ ბოლომდე მოუწევს პუტინის რუსეთის მიერ შექმნილი „ახალი რეალობის“ მიღება და გაზიარება, რადგან, მათივე მტკიცებით, რუსული უმაღლესი განათლების სრულად იდეოლოგიზებული გარემო ახალი რეალობის ნაწილია.

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ სარჯველაძე აცხადებს, რომ ყველას სიფრთხილის გამოჩენა და იმის გააზრება მართებს, თუ რას შეიძლება გულისხმობდეს რუსეთიდან ასეთი ინიციატივები. პოლიტოლოგი თამარ კიკნაძე, კი მიიჩნევს, რომ რუსეთთან ნებისმიერ შემთხვევაში უნდა დალაგდეს ურთიერთობა, საიდანაც საქართველო ბევრ სარგებელს მიიღებს, კერძოდ კი, ტერიტორიულ მთლიანობას.

გთავაზობთ ინტერვიუს პოლიტოლოგ თამარ კიკნაძესთან.

# ის რიტორიკა, რასაც ოპოზიცია გვთავაზობს, ქვეყნისთვის დამღუპველია!

**- ინიციატივას, რომ საქართველოს მოქალაქეები რუსეთის უნივერსიტეტებში სწავლას უფასოდ, რუსეთის ფედერაციის ფედერალური ბიუჯეტის ხარჯზე შეძლებენ, უარყოფითი შეფასებები მოჰყვა საქართველოში. კერძოდ ის, რომ ეს არის ფეესბეს-ს მორიგი პროექტი და ამით ცდილობენ ახალგაზრდების გადაბირებას. თუმცა, რეალურად ეს ახალი მოვლენა არ არის. პერიოდულად რუსულენოვანი ახალგაზრდები განათლების მისაღებად მიდიან რუსეთში, ახლა საუბარი მხოლოდ კვოტის გაზრდაზეა. რამდენადაც ცნობილია, რუსეთში განათლების მიღებით დაინტერესებული არიან საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის და ასევე ჩინეთის მოქალაქეები. სანქციების მიუხედავად, ეს პროექტი წარმატებით მიმდინარეობს. როგორ ფიქრობთ, რა შეიძლება რჯიდეს რუსეთს, როცა საქართველოს მოქალაქეებს რუსეთში უფასოდ სწავლას სთავაზობს?**

- ცხადია და, როდესაც არ გაქვს ინფორმაცია მეზობელ ქვეყანაზე, მასთან ურთიერთობებს ვერ ალაგებ. გეუბნებიან, რომ ეს ურთიერთობები არ უნდა დაალაგო და სადამდე უნდა ვიყოთ ასეთ კონფრონტაციაში? ამიტომ მე დადებითად ვუყურებ ამ ინიციატივას, რასაც განათლების მიღება ჰქვია, რადგან განათლება ყველაზე ძვირადღირებული პროდუქტია. თუ უფასო იქნება პრეფერენციები და დამატებით პირობებს შეუქმნიან, ამას მივესალმები და ამაში ვერაფერს ცუდს ვერ ვხედავ. თუ დასავლეთში მიდიან, რატომ არ უნდა წავიდნენ რუსეთში?

მე, ვიცი, რა არის რუსული განათლება. მეც ვსწავლობდი რუსეთში და შემიძლია გითხრათ, რომ ძალიან მაღალი დონის განათლებაა და ხანდახან ზოგიერთი სფერო გაცილებით უფრო მაღალი დონისაა, ვიდრე დასავლეთის ქვეყნებშია.

რაც შეეხება განათლების ხარისხს, ჩინელები, იტალიელები, ფრანგები, პოლონელები, გერმანელები ყველა მიდის და იღებს განათლებას რუსეთში. ჩვენთან, უბრალოდ, ეს ყველაფერი ძალიან უტრირებული და პოლიტიზებულია. ჩვენს ახალგაზრდობას წარმოდგენა არ აქვს, რა ხდება რუსეთში. თუ თვითონ წავლენ, ნახავენ და მერე გადაწყვეტენ, რა არის კარგი და რა ცუდი, ეს ქვეყანას წაადგება.

ის რიტორიკა, რასაც ჩვენ ოპოზიცია გვთავაზობს, საქართველოსთვის დამღუპველია. რუსეთ-საქართველოს შორის უნდა დალაგდეს ურთიერთობები და საქართველომ მოისვენოს და დაისვენოს, რადგან ომის გზით ჩვენ ვერაფერს ვერ ვაკეთებთ. კარგი მაგალითია უკრაინა. დასავლეთი აწვდის მას იარაღს, უცხადებს თანადგომას, მაგრამ პრობლემებს ვერ უწყვიტავს. ამიტომ ჩვენ უნდა ვიყოთ თვითგადარჩენის რეჟიმში და ჩვენს თავს ჩვენ თვითონ მივხედოთ.

**- დავუბრუნდეთ ისევ განათლების საკითხს. თუ ევროპელებისთვის ეს არ არის ფეესბეს პროექტი, საქართველოს ნაწილში რატომ არის?**

- საქართველო პატარა ქვეყანაა. სიმდიდრით არ გამოირჩევა და ამიტომ, ის ძალები, რომლებიც ამ ნარატივებით გამოირჩევიან, გასაგებია, რომ დაფინანსებული არიან და ქვეყნის ინტერესებს არად დაგიდევენ. ოპოზიციის ქცევას რომ შეხედავ, დიდი პოლიტოლოგობა არ უნდა, მიხვდე, რაშიცაა საქმე. ისინი დაფინანსებით, გარკვეული პრეფერენციებით არიან დაინტერესებული, თორემ მათი ქცევა დანაშაულს უტოლდება. როგორ არ უნდა გიყვარდეს შენი ქვეყანა, რომ ასე მოიქცე?!.

**- როგორ ფიქრობთ, რა არის ოპოზიციის ინტერესი?**

- არა ქვეყნის კეთილდღეობა, არამედ რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა, რაც კარგად ფინანსდება. ამიტომ ჩვენ ჩვენს ინტერესებზე უნდა ვიფიქროთ. შესანიშნავად გამოდის ჩვენი პრემიერ-მინისტრი, ძალიან კარგად დეკლალირებს ეროვნულ ინტერესებს. მინდა მჯეროდეს, რომ ხელისუფლება განაგრძობს ასეთ ნაბიჯებს და ყველაფერი გააკეთებს საქართველოს სასიკეთოდ.

**- მას რუსული ინტერესების გატარებაში ადანაშაულებენ. საქართველოს ხელისუფლება რუსული პოლიტიკის გამტარებელი რომ არის, სად, რა ნაწილში ჩანს?**

- სააკაშვილისა და მისი მომხრეების ქმედებები ქართული არ არის. ეს სახელმწიფოს არ წაადგება. პირიქით, ეს არის კონფრონტაციული რეჟიმი, რომელიც მან შემოგვთავაზა. ეს დესტრუქცია იქამდე მივიდა, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის ომიც კი იყო. უნდა მოახერხო, რომ ასე დაძაბო ურთიერთობები. წარმოიდგინეთ, ამხელა მეზობელია, გარდა ამისა, ატომური ქვეყანაა, შენ კი ეომები. ეს აბსურდი და პოლიტიკის კრახი, რაც სააკაშვილმა აწარმოა რუსეთთან მიმართებაში. მის ნაკვალევს ჩვენ არ უნდა გავყვეთ.

რაც შეეხება ბრალდებას, რომ პრორუსული ხელისუფლება მართავს ქვეყნას, სად ჩანს ეს? საერთოდ, ოპოზიცია ჩვენთან ჩასაფრებულია. ყოველთვის მაგალითად მომყავს ბერძენიშვილის სიტყვები: „ყველაფერი ქართული, ესე იგი ყველაფერი რუსული“. შენ თუ ქართულ საქმეს აკეთებ, ესე იგი აკეთებ რუსულ საქმეს. ეს ნარატივიაა და როგორც ბენდუქიძე ამბობდა, თურმე რუსეთი ოკეანედ უნდა ჩათვალოთ.

ერთ-ერთ გადაცემაში ერთმა ნაციონალმაც იგივე გაიმეორა, „ეს არის ოკეანე და საერთოდ არ უნდა გვქონდეს ურთიერთობები რუსეთთანო“. რაზეც ვუპასუხე: „ამ ოკეანემ დიდი ტალღები იცის და საერთოდ წაგვლეკავს-მეთქი. ისევ ვიმეორებ, თვითგადარჩენის რეჟიმში უნდა ვიყოთ. განსაკუთრებით ახლა, რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე ძალიან საფრთხილო სიტუაციაა. სულ ცდილობენ, რომ ამ ომში ჩაგვითრიონ, თან გეუბნებიან, რომ ამაზე არავინ ლაპარაკობსო და თან ისეთ პირობებს გიქმნიან, რომ რუსეთმა დაგარტყას. ამიტომ ამ პროვოკაციებს არ უნდა ავყვეთ.

ხელისუფლებაც გარკვეულწილად შეზღუდულია, ძალიან დიდი წნეხის ქვეშ არის, ოდნავ რაღაცა ნაბიჯს გადადგამს საქართველოს სასიკეთოდ და მაშინვე თავს წამოწევენ ჩასაფრებული ძალები, რომლებიც ცდილობენ, ამ ნაბიჯების დისკრედიტაცია მოახდინონ. ალტერნატივა არ არსებობს, რუსეთთან უნდა დაალაგო ურთიერთობები. ამერიკა და დასავლეთი სხვანაირ პოლიტიკას აწარმოებენ. შენ არ უნდა გაიჭყლიტო, იმდენი ჭკუა უნდა გქონდეს, რომ გამოერიდო და მათ არ დაუპირისპირდე.

რა არის ხელისუფლების პირველი დანიშნულება? - რაც შეიძლება ნაკლები ზიანი მიაყენოს თავის მოსახლეობას. ხალხის კეთილდღეობა უპირველესია. ამიტომ, ის ნარატივი, რასაც ეს ოპოზიცია ავრცელებს, რაც ჩვეულებრივი ტექნოლოგიაა, ქვეყნისთვის დამღუპველია. ვნახეთ რა ამბავი ატყდა ფრენებზე. საქართველო საკვანძო ქვეყანაა. იგივე ფრენები არის სომხეთ-რუსეთს შორის, აზერბაიჯანი-რუსეთი, თურქეთი-რუსეთი, ისრაელი-რუსეთი, დუბაი-რუსეთს შორის, მაგრამ ვინმე უბედავს მათ რამეს? - არა. საქართველოს არც შეუწყვეტია და არც აღუდგენია საჰაერო მიმოსვლა. რუსეთმა მიიღო ერთპიროვნული გადაწყვეტილება. პოზიტივისკენ გადადგმული ნებისმიერი ნაბიჯი ძალიან დიდი დარტყმის ქვეშ არის და ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ ამას ქართველების ხელით აკეთებენ. ეს არის ტრაგედია.

ამიტომ ჩვენ ჩვენი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე უნდა ვიმოქმედოთ და არ უნდა შეგვეშინდეს, მათი ლუსტრირება უნდა მოვახდინოთ. სამწუხაროდ, მათ აქვთ ძალიან დიდი ფინანსური საშუალებები, ტელევიზიები და ამ ცრუ ინფორმაციებს და ნარატივებს ავრცელებენ. ძალიან სამწუხაროა, რომ ისინი მუშაობენ უმაღლეს სასწავლებლებში და ახალგაზრდა თაობას ამ ცრუ ინფორმაციით კვებავენ და რაც საგანგაშოა. ანტიქართულ განწყობებს ქმნიან და, პირველ რიგში, ამას უნდა მიეხედოს.




ჩვენ მოცემულ ამ მომენტში გამოსავალი უნდა მოვნახოთ და თვითმყოფადობა შევინარჩუნოთ.

**- რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის არქონის პირობებში, როგორ წარმოგიდგენიათ რუსეთ-საქართველოს შორის დიალოგის აღდგენა?**

- სააკაშვილმა რა გააკეთა? რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა, რათა არანაირი საშუალება არ გვქონოდა, გვეწარმოებინა პოლიტიკური ვაჭრობა. საერთოდ, ვინც დიპლომატიაში ერკვევა, კარგად იცის, რომ ქვეყნებს შორის შეიძლება უთანხმოება არსებობდეს. მაგალითად, იაპონელებს მიაჩნიათ, რომ კურილიის კუნძულები ოკუპირებულია რუსეთის მიერ, მაგრამ მათ შორის დიპლომატიური ურთიერთობაც არის და იმაშიც თანხმდებიან, რომ ამ ნაწილში თანხვედრა არ აქვთ.

ავიღოთ იგივე აზერბაიჯანი-რუსეთის ურთიერთობა, როდესაც ყარაბახის საკითხთან დაკავშირებით რუსეთმა გარკვეულწილად სომხეთის მხარე დაიკავა, მაგრამ ეს არ უშლიდა ხელს იმას, რომ მათთან ურთიერთობები ჰქონოდათ. ჩვენ არ გვაქვს რუსეთთან გვაქვს დიპლომატიური ურთიერთობა. აქაც დიალოგია საჭირო.

ჩვენ არ ვართ ისეთი ძლიერები, რომ ატომურ ქვეყანას ომი მოვუგოთ, არც დასავლეთი დაგვიდგება ისე, რომ ეს პრობლემა გადავწყვიტოთ. ჩვენი სასარგებლო პოლიტიკა უნდა ვაწარმოოთ და რუსეთისგან რაც შეიძლება მეტი მივიღოთ.

**- ფრენები აღდგა, რუსეთთან სავიზო რეჟიმი გაუქმდა და როგორც ვიცი, შემდეგი ნაბიჯი ერგნეთის ბაზრობის აღდგენა და ენგურზე ანალოგიური ბაზრობის გახსნა იქნება. იდეის ავტორები აცხადებენ, რომ ხალხთა შორის ურთიერთობებისთვის, კონფლიქტის დარეგულირებისთვის ეს აუცილებელია. ეს იქნება ცივილური ფორმის სავაჭრო ცენტრი, სადაც ქართველები, ოსები და აფხაზები პირდაპირ ურთიერთობას შეძლებენ. რამდენად შეუწყობს ხელს კონფლიქტის დარეგულირებას სავაჭრო ურთიერთობების ეს ფორმა?**

- ძალიანაც სწორი ფორმაა, რადგან ეკონომიკური ურთიერთობები ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობს. თუ აფხაზეთის მიმართულებითაც გაიხსნება სავაჭრო ცენტრი, რომელიც ცივილური და ლეგალური იქნება, რა თქმა უნდა, ეს ხელს შეუწყობს ურთიერთობების განახლებას, დათბობას. შეიძლება, შემდეგ პოლიტიკურ შერიგებაზეც ვიფიქროთ.

ვხედავთ, რომ დასავლეთი გვიყენებს პირობებს და გვეუბნებიან, რომ რუსეთთან პოლიტიკური ურთიერთობა არ უნდა გვქონდეს. ამასთან, არც ევროკავშირში გვიღებენ და არც ნატოში, გვიყენებენ, როგორც განხეთქილების ვაშლს. სამაგიეროდ, პრემიერმა თქვა ძალიან კარგად - ან მიგვიღეთ, ან არ ვიქნებით ქვეყანა, რომელიც თავისი ინტერესების ხარჯზე გაამწვავებს ურთიერთობებსო. მართალია პრემიერი!.. როგორც კი ქვეყნის საკეთილდღეოდ ნაბიჯს გადადგამ, მაშინვე პრორუსს გეძახიან, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა. ამ დროს ძალიან ბევრი შეიძლება თვითონ იყოს აგენტი.

**ანი გოდერძიშვილი**

# საქართველოში მთავარი მისი უდიდებულესობა ქართველი ხალხია



*გვესაუბრება ისტორიის დოქტორი, პროფესორი ედიშერ გვენეტაძე:*

**— ბატონო ედიშერ, ოპოზიცია ღარიბაშვილის იმპიჩმენტს მოითხოვს. თუმცა, ამის პარალელურად, თავდაცვის სამინისტრომ სააკაშვილის საქმეზე კონტრაქტების განსაიდუმლოება დაიწყო. როგორ ფიქრობთ, მოჰყვება ამას მის წინააღმდეგ ახალი საქმის აღძვრა?**

— ქართულ ანდაზას მოვიშველიებ: თაგვმა თხარა, თხარაო, კატა გამოთხარაო. სავალალო ის არის, რომ საქმე ქვეყნის თავდაცვის ბიუჯეტის გაფლანგვას ეხება. დიახ, ამით სააკაშვილს უმტკიცდება, თუ როგორ ძარცვავდნენ ის და მისი ხროვა საქართველოს თავდაცვის ბიუჯეტს. როცა ღარიბაშვილის მიერ განხორციელებული ჩარტერული რეისის წარმომავლობას იძიებენ, ჩვენი ოპოზიცია ერთხელ მაინც რატომ არ დაინტერესდა: როგორ გამდიდრდა გიული ალასანია; ბიუჯეტის ფულებით როგორ ყიდულობდა მიშა თავისი ჰარამხანის ლამაზმანებისთვის ბეჭდებსა და სხვა სამკაულებს; ბიუჯეტის ხარჯზე ავლანეთის ნაცვლად რატომ მიფრინავდა დუბაიში და იქ როგორ მართავდა ორგიებს; როგორ და რატომ იმყოფებოდნენ ნაცდეპუტატები პორტუგალიაში სასტუმროში მსუბუქი ყოფაქცევის ქალებთან ერთად; რატომ ფინანსდებოდა ბიუჯეტის ხარჯზე უცხოეთში წასული მიშას გულისსწორების სწავლა-განათლება (აღარაფერს ვამბობ, მისი შვილის უცხოეთში სწავლების სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებაზე); საიდან იხდის გიული ალასანია თავისი შვილის დასახსნელად პიარში მილიონებს; როგორ მიითვისა ალასანიამ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მრავალმილიონიანი ქონება აგვისტოს ომის დღეებში ერთ ლარად და ა.შ.

ყველაზე საოცარი, იცით, რა არის? — რა უნდოდა სააკაშვილს კოლუმბიაში ცნობილი ნარკობარონის პაბლო ესკობარის საფლავზე!!! ვერ დავიჯერებ, რომ იქ ყვავილების მისატანად მივიდა. საქართველოს ისტორიაში სამარცხვინო ფაქტად შევა ის, რომ ცხრა წლის განმავლობაში ქვეყანას ასეთი პრეზიდენტი მართავდა, რომელიც „კაიფში" გასცემდა ბრძანებებს, რის საფუძველზეც მისთვის არასასურველ პიროვნებებს ატერორებდნენ, აწამებდნენ, იჭერდნენ. ჩემი აზრით, მიშას საქართველოს ბიუჯეტიდან ცხრა ან ორმოცი მილიონი კი არა, სულ მცირე, რვა-ცხრა მილიარდი ექნება გაფლანგული.

პროცესები ისე მიდის, მალე დიდი საცირკო სანახაობების მოწმენი გავხდებით, მიშას შავბნელი საქმეები გამოაშკარავდება. მის მიერ მიღებული შეკრებითობის პრინციპი რომ მოქმედებდეს, ალბათ, ხუთასი წელი ციხიდან გამოსვლას ვერ ეღირსებოდა.

დღეს მსოფლიოში გადანაწილების პროცესი მიმდინარეობს, რაშიც დიდი სახელმწიფოები არიან ჩაბმული: აშშ, რუსეთი, ევროკავშირი, ჩინეთი. ფაქტობრივად, უკრაინის ტერიტორიაზე მსოფლიო ომი მიმდინარეობს. უცნაურია, რომ ის არც დასავლეთის და არც რუსეთის მხრიდან ომად არ გამოცხადებულა. რატომ მოიხსენიებენ და განიხილავენ მსოფლიო საერთაშორისო აქტორები რუსეთ-უკრაინის ომს დღემდე კონფლიქტად?! რატომ არ გამოუცხადა თუნდაც კიევმა პოლიტიკურ-სამართლებრივ დონეზე მაინც დღემდე ომი მოსკოვს?! ხომ ფაქტია, რომ რუსეთი სუვერენულ ქვეყანაში შეიჭრა და უკრაინა, როგორც გვეუბნებიან, საკუთარ ტერიტორიაზე თავს იცავს. დასკვნა ასეთია: სამართლებრივი განზომილებით უკრაინა თავს იცავს კონფლიქტში და არა ომში! ანუ, მსოფლიო სამხედრო-პოლიტიკურ-სამართლებრივ არენაზე, უდიდეს პოლიტიკურ-სამართლებრივ თაღლითობას აქვს ადგილი. მიმდინარე ომს მიზანმიმართულად არ აცხადებენ „ომად". შემთხვევით კი პოლიტიკაში არაფერი ხდება. ეს მსოფლიოს ხელახალი გადანაწილებისთვის ბრძოლაა. ქვეყნები ასეა გაყოფილი — ეგრეთ წოდებული დასავლეთის ქვეყნები აშშ-ის მეთაურობით და დანარჩენები, რომლებიც რუსეთთან, ჩინეთთან, ინდოეთთან და ბრაზილიასთან ერთად არიან. მათ შორის დიდი დაპირისპირებები მიმდინარეობს. ამ დაუნდობელ ბრძოლაში ამ ქვეყნების ინტერესია, ერთმანეთი რაც შეიძლება მეტად დაძირონ. აშშ ცდილობს, სამხრეთ კავკასიის რეგიონში გავლენა არ დაკარგოს. ხედავს, რომ ეს რეგიონი არაერთგვაროვანია და შესაძლოა, ძალთა თანაფარდობა სულ მალე შეიცვალოს. ამის დასტურია ის არათანმიმდევრული პოლიტიკა, რასაც დასავლეთი საქართველოს მიმართ ატარებს. კანდიდატის სტატუსი დამოკლეს მახვილივით ჩამოგვიკიდეს და გვაიძულებენ, პროცესები ამის გარშემო წარვმართოთ. ამისთვის მათ საქართველოში თავიანთი აგენტურა ჰყავთ და მას, როცა დასჭირდებათ, მაშინ აამოქმედებენ. აქ ჩნდება წინააღმდეგობა

## ქართველთმოძულეთა პრემია ლომჯარიას ღმერთმა „მშვიდობაში" მოახმაროს!

— ევროკავშირს არ უნდა, საქართველო დაპირისპირებების წერტილად იქცეს. აქვე მნიშვნელოვანია ისიც, რომ საქართველოს არ დათმობს ჩვენი ჩრდილოეთელი მეზობელი, რაც დასავლეთმაც კარგად იცის. აშშ-შიც არაერთგვაროვანი სიტუაციაა. ჩემი გადასახედიდან, გეოპოლიტიკიდან გამომდინარე, აშშ-ს აქ სიტუაციის არევა არ უნდა აწყობდეს. თუმცა, იქ გარკვეულ წრეებს საქართველოში სიტუაციის არევა სურთ. ფაქტსაც მოვიყვან: ოპოზიციის ბრიყვი წარმომადგენელი ჭიჭიკო (ჭიჭე) ვაშაძე აშშ-ში ვიზიტის შემდეგ ყოველ ჯერზე აცხადებს: ამერიკაში გადაწყვეტილია, რომ ხელისუფლება უნდა შეიცვალოსო. მეტი უკეთესი საქართველოში ვერავინ ნახეს — ჭიჭიკოსა და ნინო ლომჯარიაზე კეთდება „სტავკა", რათა ხელისუფლებაში მოიყვანონ. ჭიჭიკო იმას ახმოვანებს, რაზეც გლობალური ომის პარტიის წრეებში საუბრობენ. ჭიჭიკო, ლომჯარია, გიგაური, ხაბე და ძმანი მათნი ჯონჯოლიები, იგივე აგენტოკრატიის წარმომადგენლები არიან — ათასგვარი ჯურის სულგაყიდულები და მამაძაღლები. დათასი არ იყოს, ესენი იმიტომ არიან პოლიტიკურად და მორალურად გასანადგურებლები, რომ ფულის სანაცვლოდ საქართველოს დანგრევა, გაცამტვერება, კოლონიზატორებისთვის საბოლოოდ ჩაბარება სურთ. ასე რომ, ურთულესი ვითარებაა. გაღმელების ინტერესშია, რომ ესენი ხელისუფლებაში იყვნენ.

**— ლომჯარია ახსენეთ. იგი ანდრეი სახაროვის პრემიაზეა წარდგენილი...**

— საქმე ის არის, რომ დასავლეთის პოლიტიკურ თუ ანალიტიკურ წრეებში ძალიან მყიფე აზროვნების ხალხია. საბედნიეროდ, საქართველოს მიმართ სახაროვის დამოკიდებულება კარგად გვახსოვს. იგი ჩვენს ქვეყანას მცირე იმპერიას უწოდებდა, აფხაზ და ოს სეპარატისტებს მხარს უჭერდა და დამოუკიდებელი საქართველოს არსებობას ეწინააღმდეგებოდა. იგი ამბობდა, საქართველო უნდა დაქუცმაცდეს და დაიშალოსო. აი, ვის პრემიას ანიჭებენ ლომჯარიას. ვფიქრობ, სამართლიანია აგენტ ლომჯარიას სახაროვის პრემიაზე წარდგენა. მეტიც, მას უკონკურსოდ უნდა მიანიჭონ ეს ჯილდო, რადგან ისიც ისეთივე მტერია, როგორიც იყო საქართველოსთვის ანდრეი სახაროვი და მისი მეუღლე ელენა ბონერი. ისინი ქართველთმოძულენი იყვნენ. ქართველთმოძულეთა პრემიას თუ მიიღებს ლომჯარია, ღმერთმა „მშვიდობაში" მოახმაროს. ლომჯარიას ფაქტორი, დასავლეთში იმ წრეებმა შექმნეს, რომელთაც საქართველოში არეულობის მოწყობა სურთ. ლომჯარიას სატელევიზიო გამოსვლებზე ერთადერთი შთაბეჭდილება მრჩება — უწიგნური, გაუნათლებელი, არაინტელექტუალი ადამიანია. ლომჯარიები, გიგაურები, პატარაიები, ხაბეიშვილები, ხატიები, თაკოები წმინდა კლასიკური სახის მეხუთე კოლონა არიან, რომლებიც მხოლოდ ერთ რამეზე არიან ორიენტირებულნი — მათ საქართველოში სიტუაციის შეცვლა, დასავლეთის დახმარებით ხელისუფლების ხელში ჩაგდება და შემდეგ, ჩვენი ქვეყნის ომში ჩართვა და მისი პოლიგონად ქცევა სურთ. ამ დახვეწილ არამზადებს, გაუნათლებლებს რუკა არასდროს უნახავთ და არ იციან, რომ რუსეთს შეუძლია საქართველო აქ ფეხოსანი ჯარის შემოსვლის გარეშე მიწასთან გაასწოროს. თუმცა, დავალების შემსრულებელნი, სათანადო ანაზღაურების ფასად ქვეყნის გასანადგურებლად უკან არაფერზე დაიხევენ. ჩვენ ამ დაპირისპირებაში გაჭყლეტვას უნდა გადავურჩეთ. საქართველო არ არის ის ქვეყანა, რომელიც ლომჯარიებს, გიგაურებს, პატარაიებს, ხაბეიშვილებს და მათნაირ მამაძაღლებს ძალაუფლებას ხელთ ჩაუგდებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველო, როგორც ქვეყანა გაქრება, ხოლო კოლექტიური ლომჯარიები ფულებით ჯიბეგატენილები დარჩებიან. იმედი მაქვს, მაღლა ღმერთი და დაბლა ქართველი ხალხი ამას არ დაუშვებს.



იმდენად ჭრელი და არასანდოა ქართული პოლიტიკური სპექტრი, რომ ბარნაბა ეძგვერაძეს მაგონებს, რომელსაც ჯიხაიშის გადასახვევთან, ცხრაასიანი წლების დასაწყისში დუქანი ჰქონდა. მაშინ რევოლუციური მოძრაობები იყო მომრავლებული და ვინც კი დუქანში შევიდოდა, ბარნაბა ყველას „კაცი" ხდებოდა. სიმღერაც შეიქმნა: შემოვიდნენ წითლები, ატყდა დავიდარაბა, რომელ პარტიას ეკუთვნის ეძგვერაძე ბარნაბა. ოპოზიციის გარკვეული სპექტრი სწორედ ეძგვერაძე ბარნაბას როლშია. ამიტომ არ გამოვრიცხავ, მათ პრეზიდენტის იმპიჩმენტს მხარი დაუჭირონ. თუ პრეზიდენტის იმპიჩმენტი განხორციელდა, ეს ქართული სახელმწიფოებრიობისთვის წინგადადგმული ნაბიჯი იქნება. დასავლეთი გააცნობიერებს, რომ საქართველოში არსებობს მისი უდიდებულესობა ქართველი ხალხი, რომლის ნების აღმსრულებელი ის ძალები იქნებიან, ვისაც თავად აირჩევს.

ზურაბიშვილი დასავლური ძალების პროექტია. პრაქტიკულად, ახლა ვიბრძვით, რათა ჯერ თავი გადავირჩინოთ, შემდეგ გადავარჩინოთ ქართული სახელმწიფო, რომლის განადგურება პრეზიდენტის მეშვეობით საქართველოში არსებულ მეხუთე კოლონას სურს.



**თამარ შველიძე**
555 23 28 24



**საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე რამდენიმე ინიციატივაზე ისაუბრა. მათ შორის, ცნობილი გახდა უპრეცედენტო გადაწყვეტილების შესახებ, რის მიხედვითაც საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს, რომლებსაც სწავლის ღირებულების გადაუხდელობის გამო სტატუსი აქვთ შეჩერებული, დავალიანებას გაუნულებენ; რაჭისა და გურიის სტიქიების შედეგად გარდაცვლილ თითოეულ ადამიანზე გაიცემა ერთჯერადი ფულადი დახმარება 20 ათასი ლარის ოდენობით, დაზარალებული ოჯახი კი საცხოვრებელი ფართით ან შესაბამისი თანხით დაკმაყოფილდება; მთავრობა დაეხმარება ონკოლოგიურად დაავადებულ ბავშვებს და საზღვარგარეთ მაღალკვალიფიციურ კლინიკებში მათი მკურნალობის ხარჯებს დააფინანსებს... ირაკლი ღარიბაშვილმა ისაუბრა ევროკომისიის გადაწყვეტილების მოსალოდნელ შედეგებზეც და განმარტა, თუ რას აკეთებს მთავრობა იმისათვის, რომ ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი მივიღოთ.**

**აღნიშნულ თემებზე გორის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი, მოძრაობა „ხალხის ძალის“ წევრი მიხეილ გოგინაშვილი გვესაუბრება:**

# სალომეს უნდა „დედოფლად“ ვაღიაროთ...

**- პრემიერის უპრეცენდენტო გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც სწავლის გაგრძელებას შეძლებს გადასახადის გადაუხდელობის გამო სტატუსშეჩერებული 30 ათასი სტუდენტი, არაერთგვაროვანი შეფასება მოჰყვა. არადა, ეს თითქოს ერთნაირად მისაღები უნდა ყოფილიყო როგორც ხელისუფლების, ასევე ოპოზიციის წარმომადგენლებისთვის. წავიკითხე განათლების რამდენიმე ეგრეთ წოდებული ექსპერტის უარყოფითი გამოხმაურებები ამ კონკრეტული ინიციატივის შესახებ. ზოგი ამბობს, რომ ამ ფულს სახელმწიფო მოქალაქეების ჯიბიდან იხდის, რისი უფლებაც არა აქვს, ზოგი მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტებისთვის უნდა ეკითხათ ჯერ, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ, ზოგი პირდაპირ მოუწოდებს სტუდენტებს, რომ „ასეთი შეურაცხყოფა“ არ მოითმინონ, რადგან ხელისუფლება მათ „მოსყიდვას“ ცდილობს... თქვენ როგორ შეაფასებდით პრემიერ-მინისტრის ამ გადაწყვეტილებას?**

- რა თქმა უნდა, დადებითად ვაფასებ! საზოგადოების დიდი ნაწილისთვის არის ეს სიკეთე განკუთვნილი. უამრავი სტუდენტია, რომელიც გადასახადის გადაუდელობის გამო სწავლას გამოეთიშა და პრემიერის ამ გადაწყვეტილებით ათასობით ახალგაზრდა აისრულებს ოცნებას, განაგრძობს სწავლას და დასახულ მიზანს განახორციელებს. თავისთავად, მტივნეული თემაა, როცა ადამიანს სწავლა უნდა და სახსრები არ გააჩნია. რასაკვირველია, კიდევ ბევრია გასაკეთებელი იმისათვის, რომ არც ერთი ნიჭიერი ახალგაზრდა, უსახსრობის გამო უსწავლელი არ დარჩეს, მაგრამ პრემიერის ეს კონკრეტული გადაწყვეტილება რომ უპრეცედენტოა და ათასობით ახალგაზრდის გულს გაახარებს, ეს ხომ მისასალმებელი და სასიხარულო ფაქტია!

რაც შეეხება ეგრეთ წოდებულ ექსპერტებს, ჩვენ ვიცით, რომ ესენი არიან აგენტურის მიერ დაფინანსებული ადამიანები, რომლებიც ცდილობენ, საქართველოში ხელისუფლება შეცვალონ. სწორედ ამ მიზეზით, მათ ანერვიულებთ და აბოროტებთ ყველა ის კეთილი საქმე, ყველა წარმატებული ნაბიჯი, რასაც ხელისუფლება მოსახლეობის სასიკეთოდ დგამს. ყველაფრის მკადრებლები არიან ეს ადამიანები. „ნაციონალები“ ბოროტები იყვნენ ხელისუფლებაში ყოფნის დროს და ასეთივე არიან ახლაც... უარყოფით შეფასებებს აკეთებენ, რადგან ანგარიშვალდებულნი არიან თავიანთ დამფინანსებლებთან, ვალდებულნი არიან, ყველაფერზე უარყოფითი შეფასება დადონ და ორიოდე კაციც რომ დააჯერონ გამოგონილ სიცრუეში, ესეც წინგადადგმული ნაბიჯი იქნება მათთვის. მათი მთავარი ამოცანაა, ეროვნულ ფასეულებებზე ორიენტირებული გუნდი როგორღაც საქართველოდან მოაშორონ, ხელისუფლება ჩაიგდონ ხელში და შემდეგ ქვეყანა ავანტიურაში ჩაითრიონ.

რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი მათთვის არის კატასტროფა, რადგან ჯერ ისეც ნულს ქვემოთ დასული რეიტინგი აქვთ და საზოგადოების დადებითი მუხტი ხომ საერთოდ აპარტახებთ. დიდი ხანია, იციან, რომ არჩევნების გზით ისინი ვეღარ მოვლენ ხელისუფლებაში და ახლა დაგეგმილი სცენარიც ჩაუფლავდათ, რის განხორციელებასაც, სავარაუდოდ, ახალგაზრდების დახმარებით აპირებდნენ. ამიტომაც გამწარდნენ ასე ძალიან, რომ ეს რევოლოციური სცენარი აღარ გამოვა და დამფინანსებლების იმედებს ვეღარ გაამართლებენ.

**- წინა ინტერვიუში აღნიშნეთ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, ევროპას დავანახოთ ჩვენი ქვეყნის, ჩვენი საზოგადოების ნამდვილი სახე, სანამ კანდიდატი ქვეყნის სტატუსს მოგვცემენ, თუმცა სწორედ ახლა დაიწყო ხელისუფლებამ პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურა, რასაც დასავლეთისგან უკვე მოჰყვა უარყოფითი გამოხმაურებები, მიუხედავად იმისა, რომ იგივე ხდება ამერიკაში, - ყოფილი პრეზიდენტი შეიძლება დააპატიმრონ, მოქმედს კი იმპიჩმენტს უპირებენ. ხომ არ ჯობდა, სხვა დრო შეგვერჩია პრეზიდენტის იმპიჩმენტისთვის?**



- ვერ გავიგე და ძალიან ცუდად მხვდება ყურში, როცა ამბობენ, რომ „ახლა ამის დრო არ არის“. „სხვა დრო“ რას ნიშნავს? კონსტიტუციურ მმართველობაში და სამართლიან სახელმწიფოში „ახლა“ და „ამ დროს“ ცნება არ არსებობს, როცა ვინმე კონსტიტუციას არღვევს, მით უფრო, თუ ეს ის ადამიანია, რომელიც თავად უნდა იყოს კონსტიტუციის დაცვის გარანტი. სამართალმა არ იცის „დრო“, როდესაც ადამიანი რაღაცას ჩაიდენს.

ჩვენი „დაუძინებელი მეგობრები“, ვინც ამ ფაქტის გამო გვსაყვედურობენ, ცდილობდნენ, საქართველო გამოეყენებინათ რუსეთთან ომში, რათა რუსეთის მოქმედება გადმორთულიყო საქართველოზე, შემცირებულიყო საზღვრებზე რუსეთის გავლენები და ამით დაეცვათ თავიანთი საზღვრები. ეს რომ ვერ გაუვიდათ და ვერ ჩართეს ომში საქართველო, ახლა ამბობენ, რომ არც ჩვენი კონსტიტუცია აინტერესებთ და არც სამართალი.- როგორც თვითონ ფიქრობენ, ისე უნდა იყოს და ისე უნდა ვიმოქმედოთ. ევროპარლამენტარისგან ასეთი რამის მოსმენა სამარცხვინოა და აშკარად მიუთითებს პირად ან პოლიტიკურ ინტერესზე, რაც მათ ან მათ სახელმწიფოს სჭირდება. იმიტომ ვამბობთ, რომ საქართველომ სუვერენული პოლიტიკა უნდა გაატაროს, რათა ასეთმა ოდიოზურმა ფიგურებმა ქვეყნის მთავრობას არ მიუთითონ, რა გააკეთოს, როგორ მოიქცეს, როგორი პოლიტიკური თუ ეკონომიკური ურთიერთობები დაამყაროს... ისევე, როგორც ამას წინა ხელისუფლების დროს აკეთებდნენ. ზუსტად „ოცნების“ ხელისუფლებამ გადადგა ქვეყნის სუვერენიტეტის მიმართულებით პირველი ნაბიჯები და დაიწყო დამოუკიდებელი მოქმედება. ამის გამო არიან გამწარებული, ვერ ეგუებიან იმას, რომ საქართველოში თავიანთი გავლენებით ვეღარ სარგებლობენ. აბა, ამერიკას გაუბედონ და იგივე უთხრან! საქართველო დაბალ ღობედ მიაჩნიათ, უნდათ, ისევ ისე იყოს ყველაფერი, რასაც შეჩვეული იყვნენ წინა ხელისუფლების დროს, მაგრამ ისე აღარ არის - ეტყოდნენ, ცალ ფეხზე დადექიო და დადგებოდნენ! ტერიტორიებიც დაკარგა და უამრავი სისაძაგლე ჩაიდინა „ნაციონალურმა“ რეჟიმმა. ეს ადამიანები, ვისაც დღეს საქართველოს კონსტიტუცია არ აინტერესებთ, საკუთარი თვალით უყურებდნენ, როგორ შეიჭრა ქვეყნის ხელისუფლება იარაღით ხელში ტელევიზიაში 2007 წელს და გვიმტკიცებდნენ, რომ ეს იყო „დემოკრატია“.

**- „გირჩი“ სანაძლეოს დებს და ამბობს, რომ პრეზიდენტს ვერ გადააყენებენ. დანარჩენი ოპოზიცია კი აცხადებს, რომ იმპიჩმენტის დროს დარბაზში საერთოდ არ შევა...**

- მხოლოდ „ქართულ ოცნებას“ რომ არ შეუძლია, იმპიჩმენტი მოაწყოს, თუ ხმათა რაოდენობა არ ჰყოფნის, ფაქტია, მაგრამ მინდა, რადიკალებს შევახსენო, როდესაც მმართველმა გუნდმა სალომე ზურაბიშვილის კანდიდატურას დაუჭირა მხარი, რა გამოხმაურება ჰქონდა ამ ფაქტს ოპოზიციაში. როგორ ლანძღავდა, რა სიტყვებით, რა ეპითეტებით მოიხსენიებდა ზურაბიშვილს ოპოზიცია! ახლა, როდესაც თვითონ რაღაც დივიდენდები მიიღეს, გადაიფიქრეს, ანუ, როგორც უნდათ, ისე ჭრიან და კერავენ, საქართველოს პოლიტიკა და სამართალი, კონსტიტუცია საერთოდ არ აინტერესებთ. წესით, სამართლებრივ სახელმწიფოში ყველამ უნდა დაუჭიროს მის იმპიჩმენტს მხარი, რადგან პრეზიდენტმა კონსტიტუცია დაარღვია. ისე კი არა, რომ შეცდომა მოუვიდა, ღიად, პირდაპირ და გამიზნულად დაარღვია კონსტიტუცია. თუ გავიხსენებთ, ეს ქალბატონი ჯიუტი და თავნება პიროვნება იყო ყოველთვის, ახლა კი უნდა, რომ დედოფლად ვაღიაროთ, მაგრამ მის „დედოფლობას“ ჩვენი ქვეყნის კონსტიტუცია არ ითვალისწინებს და ამას ვერ ხვდება.

**- ახლახან გაირკვა, რომ „ვივამედის“ ბინადარი ჩვენი ყოფილი პრეზიდენტი, ბიუჯეტის ხარჯებით თურმე პაბლო ესკობარის საფლავის მოსანახულებლად იმყოფებოდა. რა ემოციური კავშირი უნდა ჰქონოდა სააკაშვილს მე-20 საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე სასტიკ დამნაშავესთან, კოლუმბიელ „კოკაინის მეფესთან“?**

- ეტყობა, ბავშვობაში ჰქონდა წაკითხული, ან ფილმები ჰქონდა ნანახი და მისი კუმირი იყო. პრინციპში, თვითონაც ხომ ესკობარივით იქცეოდა საქართველოში. იმიტომაც არიან გაბოროტებულები, - ერთ დღეს გაიღვიძებდნენ, რაღაც არ მოეწონებოდათ და იტყოდნენ, - „მოდი, მოვკლათ, მოდი, დავარბიოთ, წავართვათ, დავაყაჩაღოთ... ეს ტელევიზია ნერვებს მიშლის, შევცვივდეთ იარაღით“... და ა. შ. ეს ხომ ნანახი გვაქვს... იმიტომ წავიდა, რომ თავისი მასწავლებლის, თავისი იდეური მეგობრის საფლავი მოენახულებინა. „ნაციონალების“ ხელისუფლებას არავითარი სახელისუფლებო ნიშანი რომ არ ჰქონდა და როგორც ბანდა, ისე იქცეოდა, ხომ ვიცით?

**- სულ უფრო ახლოვდება დრო, როდესაც ევროკომისიამ უნდა გადაწყვიტოს ჩვენი ქვეყნისთვის სტატუსის მინიჭება-არმინიჭების საკითხი. როგორც პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, 12 რეკომენდაციიდან სათითაოდ ყველა პუნქტი სრულდება. ახლა, მაგალითად, დაამტკიცეს დეოლიგარქიზაციის გეგმა, რაზეც საუბარი იყო ჟოზეფ ბორელთან შეხვედრაზე. იმედია, ჩვენს მცდელობას ევროპა სათანადოდ შეაფასებს...**

-თუ მიღწევების, კანონების მიღებისა და სხვადასხვა ვალდებულების შესრულების კუთხით მოგვიდგებიან, საქართველოს აუცილებლად მისცემენ სტატუსს, რადგან უკრაინასა და მოლდოვასთან შედარებით, საქართველო 3-4 ნაბიჯით წინ არის. თუმცა, თუ იმ პრინციპის მიხედვით იმოქმედებენ, რომ ომი უკრაინასთან ჯერ კიდევ არ დასრულებულა, საქართველო კი არ ჩაერთო რუსეთთან კონფრონტაციაში და არ შეასრულა ეს მოთხოვნა - ამ შემთხვევაში, შესაძლოა, სტატუსი არ მოგვანიჭონ. რითაც საზოგადოების მღელვარებას გამოიწვევენ და ეცდებიან, ძალისმიერად შეცვალონ ხელისუფლება.

მათ თავიანთი გათვლები აქვთ რუსეთის დასუსტების მიმართულებით, მაგრამ ჩვენ, ეს პატარა ქვეყანა, რუსეთს ვერ შევეჭიდებით და ვერც ჩვენს მოქალაქეებთან, ოსებთან და აფხაზებთან ომში ჩავერთვებით. არიან ნატო-ს ქოლგის ქვეშ მყოფი ქვეყნები, რომლებსაც ევროკავშირის ეკონომიკა უმაგრებთ ზურგს, ჩაერთონ და თვითონ იომონ. საქართველოს კი გაცხადებული აქვს, რომ მშვიდობიანად დაიბრუნებს საკუთარ მოსახლეობას თავისი ტერიტორიებით.

**საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით**

- ფინანსური დავალიანების მიზეზით სტატუსშეჩერებულ სტუდენტებს არსებული დავალიანება გაუნულდებათ
- გადაწყვეტილება შეეხება 30 000-მდე სტუდენტს
- დავალიანების ჯამური მოცულობა 40 მილიონამდე ლარია

ნონა ქარქაშაძე

# ბაიდენი აშშ-ის მეხუთე პრეზიდენტია, რომელსაც იმპიჩმენტი ემუქრება

შემოდგომის დადგომასთან ერთად მსოფლიოში ახალი პოლიტიკური სეზონი დაიწყო და უკვე გამოჩნდა, მარტივი არ იქნება. უფრო მეტიც, ანალიტიკოსები მესამე მსოფლიო ომის თუ არა, ფართომასშტაბიანი ომების დაწყებას ვარაუდობენ. თუმცა, უჭირთ დაკონკრეტება, სამყაროს რომელ წერტილში აგიზგიზდება ახალი ომის კოცონი.

აგვისტოში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯო ბაიდენის ინიციატივით შექმნილმა ახალმა გაერთიანებამ იაპონიასთან და სამხრეთ კორეასთან ერთად, უკვე შედეგი გამოიღო. შესაძლოა, მავანი შემოგვედავოს, ქვეყნები დღემდე მჭიდროდ თანამშრომლობდნენ, აშშ-ს საკმაოდ დიდი სამხედრო ბაზები გააჩნიაო და მართალიც იქნება, მაგრამ კემპდევიდში (სადაც შეხვედრა გაიმართა), ღიად ითქვა, რომ გაერთიანება ჩინეთისა და ჩრდილოეთ კორეის შესაკავებლად, ფაქტობრივად, მათ წინააღმდეგ იქმნება. ექსპერტ-პოლიტოლოგებმაც დაადასტურეს, რომ აშშ სწორედ ამ მიზნით ქმნის აღმოსავლეთ აზიაში



ნატო-ს მსგავს გაერთიანებებს. ყოველივე ეს რეალურად აშფოთებს ჩინეთისა და ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლებებს.

უკვე რვა წელია, რუსეთის ქალაქი ვლადივოსტოკი „აღმოსავლეთის ქვეყნების ეკონომიკურ ფორუმს“ მასპინძლობდა. ფორუმის ბოლო დღეს გავრცელდა ცნობა — რუსეთში ჩრდილოეთ კორეის ერთპიროვნული მმართველი კიმ ჩინ ინი ჩავიდა. ინფორმაცია მხოლოდ მას შემდეგ გაავრცელეს, რაც კიმ ჩინ ინის ბრონირებულმა მატარებელმა, რომელიც 20 ვაგონისგან შედგებოდა, რუსეთის საზღვარი გადაკვეთა. მატარებელი იმდენად დაცულია, რომ საათში მხოლოდ 50-50 კმ/სთ-ით გადაადგილდება. სწორედ ამიტომ მოუნდა ფხენიანიდან რუსეთში ჩასვლას ერთ დღეღამეზე მეტხანს. შემადგენლობაში ვაგონ-რესტორანიც არის, სადაც მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის კერძის მომზადება შეუძლიათ. კიმ ჩინ ინისთვის ცალკე ვაგონია, აქვს სამუშაო კუპე-კაბინეტი, თანამგზავრული მაღალი სიხშირის ტელეფონით და ინტერნეტში ჩართული კომპიუტერით. მანქანებისთვის ცალკე ვაგონია გამოყოფილი. მოკლედ, მგზავრობისა და მუშაობისთვის სრული კომფორტია. კიმ ჩინ ინი გადაადგილებისას უპირატესობას მატარებელს ანიჭებს და იშვიათად მგზავრობს თვითმფრინავით.

საინტერესოა კიმ ჩინ ინის ვაგონიდან ჩასვლის პროცესი. მატარებლის გაჩერების შემდეგ თავდაპირველად ვაგონიდან გამოდიან მისი დაცვის თანამშრომლები — ამოწმებენ ამინდს, წმენდენ სახელურებს, კიბეებს და მხოლოდ ამის შემდეგ გამოჩნდება კიმ ჩინ ინი.

წლევანდელი რუსეთში ჩასვლა კიმ ჩინ ინისთვის მეორე იყო. პირველად იგი 2019 წელს იმყოფებოდა რუსეთში შედარებით ხანმოკლე ვიზიტით და ასევე შორეულ აღმოსავლეთში. ამჯერად კორეელები გაფართოებული დელეგაციით ეწვივნენ რუსეთს. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ პანდემიის შემდეგ კიმ ჩინ ინმა პირველად დატოვა ქვეყანა. უნდა აღინიშნოს, რომ ოფიციალური შეხვედრების დროს ჩრდილოეთ კორეის დელეგაციაში მნიშვნელოვან როლს კიმ ჩინ ინის და ასრულებს.

ეკონომიკურ ფორუმზე პუტინმა თქვა, რომ ვლადივოსტოკიდან ამურის ოლქში, კოსმოდრომ „ვოსტოჩნიზე“ მიემგზავრებოდა. კითხვაზე, რატომ, მოკლედ უპასუხა: „მე ჩემი პროგრამა მაქვს, როდესაც ადგილზე ჩავალ, თქვენც გაიგებთ“. ბოლომდე უცნობი იყო, სად გაიმართებოდა პუტინისა და კიმ ჩინ ინის შეხვედრა. ორი საათით ადრე გახდა ცნობილი, რომ სწორედ კოსმოდრომზე ელოდებოდნენ კორეელ სტუმარს, რომელსაც პომპეზურად დახვდნენ, ბავშვები კორეულად მიესალმნენ მას, რითიც იგი აშკარად კმაყოფილი დარჩა.

პუტინი კოსმოდრომის შესასვლელთან დახვდა მაღალი რანგის სტუმარს. თბილი მისალმების შემდეგ თავად რუსეთის პრეზიდენტმა ითავა ექსკურსიამძღოლობა. სტუმარი დიდი გულისყურით ათვალიერებდა კოსმოდრომს, ყველა წვრილმანი აინტერესებდა. გასაკვირი არაფერია, რადგან ჩრდილოეთ კორეაში კოსმოსთან დაკავშირებული დიდი პროგრამა აქვთ. კიმ ჩინ ინი თურმე კარგად იცნობს დარგს, რაც მისმა კითხვებმაც დაადასტურა.

საიდუმლო ობიექტის დათვალიერების შემდეგ იქვე გაიმართა ოფიციალური შეხვედრა. მოლაპარაკების დაწყებამდე კიმის დაცვამ საგულდაგულოდ შეამოწმა ყველაფერი, მათ შორის სავარძელიც, რომელიც გამოაცვლევინეს და საგულდაგულოდ გაწმინდეს რაღაც ხსნარით და აპარატურით შეამოწმეს.

თავდაპირველად მოლაპარაკება გაფართოებულ ფორმატში, დელეგაციების მონაწილეობით გაიმართა. მცირე შესვენების შემდეგ უკვე პირისპირ ისაუბრეს ვლადიმირ პუტინმა და კიმ ჩინ ინმა. საერთო ჯამში, მათ ექვს საათზე მეტხანს ისაუბრეს. კიმ ჩინ ინის განცხადებით, რუსეთთან მისი ქვეყნის ურთიერთობა პრიორიტეტულია. „...იმედია, რუსეთი და ჩრდილოეთ კორეა მუდამ ერთად ვიქნებით იმპერიალიზმთან ბრძოლაში“, — განაცხადა მან. სტუმრის პატივსაცემად გამართულ სადილზე კიმმა რუსეთი და მისი ხელისუფლება ადღეგრძელა და მასპინძლებს მადლობა გადაუხადა გულთბილი მიღებისთვის.

ვიზიტი ამით არ დასრულებულა. სტუმარს დაათვალიერებინეს სამხედრო და სამოქალაქო საავიაციო ქარხნები, აჩვენეს სხვადასხვა ტექნიკა. კიმს მასპინძლობას უკვე რუსეთის თავდაცვის მინისტრი სერგეი შოიგუ უწევდა. აღსანიშნავია, რომ კიმი და შოიგუ ერთმანეთს კარგად იცნობენ. ზაფხულში მინისტრი ჩრდილოეთ კორეაში იმყოფებოდა, სადაც აღლუმსაც დაესწრო. კიმ ჩინ ინის რუსეთში ვიზიტი ექვს დღეს გაგრძელდა, რაც მსოფლიო პოლიტიკის ისტორიაში იშვიათი მოვლენაა. ვიზიტის დასასრულს კიმი ვლადივოსტოკის უნივერსიტეტს ეწვია, სადაც მისი ქვეყნის 40 სტუდენტი სწავლობს და მათთან ერთობლივი ფოტოც გადაიღო.

რაზე შეთანხმდნენ რუსეთი და ჩრდილოეთ კორეა, მხოლოდ ვარაუდი შეიძლება. ექვსი დღე კიმ ჩინ ინი რუსეთში მხოლოდ ქვეყნის დასათვალიერებლად რომ არ იქნებოდა, ფაქტია. ცნობილი გახდა, რომ ჩრდილოეთ კორეა ხორბლის შეძენით არის დაინტერესებული. კიმის თქმით, რუსეთის მოქალაქეებს გაუადვილდებათ მის ქვეყანაში სტუმრობა. სავარაუდოდ, ვიზიტის შედეგები ახლო მომავალში გამოჩნდება. აშკარაა, აშშ-ის ხისტმა პოლიტიკამ აღმოსავლეთ აზიაში მჭიდროდ დააკავშირა ის ქვეყნები, რომლებსაც მოწინააღმდეგეებად მიიჩნევდნენ.

მსოფლიო პრესა ფართოდ აშუქებდა კიმ ჩინ ინის რუსეთში ვიზიტს. გამოცემა „ბლუმბერგმა“ დაწერა: „...რუსეთ-ჩრდილოეთ კორეის კავშირი სახიფათოა ნატო-სა და აშშ-ისთვის“. აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ენტონი ბლინკენმა კი განაცხადა: „ის წესრიგი, რომელიც მსოფლიოში ცივი ომის შემდეგ დამყარდა




და ათწლეულები გრძელდებოდა, მთავრდება“. შეშფოთების საფუძველი კი ნამდვილად აქვთ, რადგან ჩრდილოეთ კორეას მილიონ 200 ათასი ჯარისკაცი ჰყავს. უცნაური ფაქტია, კიმ ჩინ ინი რუსეთისკენ მიემართებოდა, როდესაც მისმა ქვეყანამ ორი ბალისტიკური რაკეტა გამოსცადა, რითაც იაპონია და სამხრეთ კორეა სერიოზულად შეაშინა.

„დიდი ოცეულის“ სამიტის ფარგლებში (უკვე „ოცდაერთეულის“, რადგან აფრიკის კავშირი მუდმივ წევრად მიიღეს), აშშ-ის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი ვიეტნამში გაემგზავრა. რა სიკეთე მოიტანა მისმა ვიზიტმა, ძნელი სათქმელია. თუმცა მასპინძლებიც და მსოფლიოც კვლავ გააოცა. „...ახლა საღამოა, მინდა მოგესალმოთ. საღამო მშვიდობისა, ვიეტნამო“. ამერიკა-ვიეტნამის ომის პერიოდში ამერიკელი სამხედროებისთვის იყო რადიოგადაცემა „დილა მშვიდობისა, ვიეტნამო“. ამავე სათაურით ფილმიც გადაიღეს. ბაიდენის სიტყვებმა მასპინძლები აშკარად გააღიზიანა, მაგრამ არ შეიმჩნიეს, მით უფრო, რომ ბაიდენი დასაძინებლად წავიდა.

სამშობლოში დაბრუნებული ჯო ბაიდენი კვლავ დასასვენებლად წავიდა. აშშ-ში გამოიანგარიშეს: პრეზიდენტობის პერიოდში დროის 40% მან შვებულებაში გაატარა. დაღლილობა მოიმიზეზა და ნიუ-იორკში 11 სექტემბრის ტრაგედიის მემორიალთანაც არ მივიდა, რითიც კიდევ უფრო გააღიზიანა მისი მოხმრე-მოწინააღმდეგეები.

კონგრესის სპიკერის კევინ მაკარტის განცხადებით, ქვედა პალატამ ბაიდენის იმპიჩმენტის პროცედურა დაიწყო. აშშ-ის ისტორიაში ბაიდენი უკვე მეხუთე პრეზიდენტია, რომელსაც იმპიჩმენტი ემუქრება. მას უმძიმესი ბრალდებები აქვს წაყენებული: კორუფციულ სქემებში მონაწილეობა, მექრთამეობა და თანამდებობის ბოროტად გამოყენება. მსგავსი ბრალდებები არცერთი პრეზიდენტისთვის არ წაუყენებიათ. დემოკრატიული პარტიის წევრებმა ამერიკულ პრესას მკაცრი მითითება მისცენ, შეუტიონ რესპუბლიკურ პარტიას და დემოკრატებზე ნეგატიური მასალები არ გამოაქვეყნონ. ჰანტერ ბაიდენს ახალი ბრალდება წაუყენეს — იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა, რის გამოც მას 25 წლამდე პატიმრობა ელოდება.




რესპუბლიკელებმა იციან, რომ იმპიჩმენტს სენატი არ დაამტკიცებს, რადგან იქ უმრავლესობაში დემოკრატები არიან. სამაგიეროდ, წაყენებული უმძიმესი ბრალდებებით დემოკრატებს რეპუტაციას შეულახავენ. ამიტომაც განაცხადა ცნობილმა ჟურნალისტმა ტაკერ კარლსონმა: „...თუ დემოკრატებს გაუჭირდებათ, შესაძლოა, რუსეთს ომი გამოუცხადონ“.

უმძიმესი ვითარებაა უკრაინაში. ზაფხულში დაწყებულმა კონტრშეტევამ დიდი დანაკარგი მოუტანა ქვეყნის არმიას, როგორც ცოცხალი ძალის მხრივ, ასევე ტექნიკური კუთხითაც. ახალი თავდაცვის მინისტრმა უსტემ უმეროვმა რადას მიმართა, თუ 16 წლის ახალგაზრდას ოჯახის შექმნის უფლება აქვს, რატომ არ შეიძლება, ჯარში იმსახუროსო. რადას ცალკეული დეპუტატები კი 14 წლის მოზარდების გაწვევასაც კი მოითხოვენ.

ვითარება იძაბება ჩვენს სამეზობლოშიც. მაისში სომხეთის პრემიერ-მინისტრმა ნიკოლ ფაშინიანმა ყარაბაღი აზერბაიჯანის შემადგენლობაში აღიარა, რაც ხელმოწერითაც დაადასტურა. ახლა ვალდებულების შესრულებაზე უარს ამბობს. მართალია, ჯერ რბილად, მაგრამ რუსეთსაც აკრიტიკებს. გავრცელებული ინფორმაციით, იგი აპირებს დატოვოს დსთ-ის კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაცია. ძნელია პროგნოზირება, რა შეიძლება მოჰყვეს მსგავს პოლიტიკურ თამაშს.

ამასობაში კი ნიუ-იორკში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა მიმდინარეობს. საინტერესოა, რა მოხდება, რაიმე შედეგს გამოიღებს თუ კვლავ არაფრისმომცემი რეზოლუციით დასრულდება გაერო-ს ეს ფორუმი.

**გია ბურდული**
551 71 27 07

# ჩვენ დავბრუნდებით!

14 სექტემბერს, შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნულ თეატრში „დიასპორის სახლის“ ორგანიზებით, საერთაშორისო პროექტ „თანამემამულეების“ რიგით მე-8 დაჯილდოების ცერემონია გაიმართა.

პროექტ „თანამემამულეების“ ეგიდით ჯილდოვდებიან ის ემიგრანტები, რომლებიც უცხოეთში საქართველოს უწევენ პოპულარიზაციას, ეხმარებიან სხვა ქართველ ემიგრანტებს და ქართულ ეროვნულ საქმეს აკეთებენ.

ქალბატონ **ინა ასანიძე**: ეს პროექტი უკვე მერვე წელია არსებობს. ვცდილობთ, მთელი წლის განმავლობაში მოვაგროვოთ ინფორმაციები იმ ქართველ ემიგრანტებზე, რომლებიც უცხო მიწაზე არიან, მაგრამ ქართულ საქმეს აკეთებენ, ეხმარებიან თანამემამულეებს გზის გაკვალვაში და საქართველოს პოპულარიზაციას უწევენ. ასეთ ნომინანტებს რეკომენდატორები წარმოგვიდგენენ და საბოლოო გადაწყვეტილებას ჟიური იღებს. ეს პროექტი აპოლიტიკურია და სხვა, მსგავსი დაჯილდოებებისგან განსხვავებით, ჩვენს ნომინანტს არანაირი ფინანსების გაღება არ უწევს. ჩვენი ამოცანაა, ვნახოთ ის ადამიანები, რომლებიც ქართულ საქმეს აკეთებენ და ჩვენი ჯილდოთი მადლიერება გამოვხატოთ მათ მიმართ და მივცეთ მოტივაცია. დაჯილდოების ცერემონიამდე, ნომინანტებისთვის ხუთდღიანი მრავალფეროვანი ღონისძიებები ჩატარდა.

– ამერიკისა და ევროპის კონტინენტიდან წლევანდელი დაჯილდოებისთვის 12 ემიგრანტი შეირჩა, რომელთაც შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული თეატრის სცენაზე გადაეცათ ჯილდოები, ხოლო ვინც ჩამოსვლა ვერ მოახერხა, კუთვნილ ჯილდოებს იმ ქვეყნებში მიიღებენ, სადაც ამჟამად იმყოფებიან.

**აზა მანთაშაშვილი** – ლიცენზირებული ექიმი ამერიკაში. ჰყავს ამერიკელი მეუღლე, შვილი, ისინიც ექიმები არიან. აქვთ საკუთარი კლინიკა. აზა დაგვიკავშირდა სათვისტომოში და შემოგვთავაზა, რომ ქართველებს უფასოდ მოემსახურებოდა. ეს ძალიან დიდი დახმარებაა ემიგრანტისთვის.

**ქეთი ზაუტაშვილი** – სწავლობს, გაისად უკვე იქნება ექიმი, ამავდროულად არის ამერიკის კონტინენტის პლასტიკური გინეკოლოგიის ტრენერი. რაც მთავარია, კოვიდ პანდემიის დროს ამ გოგონამ გერმანიაში ჩარჩენილ 21 სტუდენტს, რომელთაც აეროპორტში ეძინათ, აუღო თვითმფრინავის ბილეთი და გამოუშვა საქართველოში.

**თამარ მიქაძე** – სამი შვილის დედა. მან, წლების წინ, ნიუ-ჯერსიში გახსნა შოთა რუსთაველის სახელობის კულტურის ცენტრი, სადაც ბავშვები სხვადასხვა წრეში იღებენ ცოდნას. სხვათა შორის, ახლა, 1 ოქტომბერს თამარი ძალიან დიდი ღონისძიებას – „აფხაზეთი საქართველოა“ ატარებს.

**ზურა კვანტრიშვილი** – 20 წელია ამერიკაში ცხოვრობს. ჰყავს მეუღლე და 2 შვილი. მათ აქვთ პატარა კლინიკა, ასევე ლიცენზირებული უძრავი ქონების სააგენტო, მაგრამ რაც მთავარია, ყველა კულტურის ცენტრს და ეკლესიას ძალიან ეხმარება ზურა. მათი მუდმივი მხარდამჭერი და სპონსორია.

**გიორგი გოგიძე** – ყველაზე ახალგაზრდა ნომინანტი იყო, რომელიც ძალიან ეხმარება ქართველებს. ის მუშაობს 100-წლიან კომპანიაში, რომელიც სიცოცხლეს აზღვევს. ის ამ კომპანიის გენერალური მენეჯერია.

**ნინა კიკნაძე** – ჯორჯიის შტატში ცხოვრობს, ატლანტაში. ის ქართველებისთვის საოცარ პროექტებს აკეთებს, ყველას გააცნო საქართველო. ახლა ცდილობს დაამეგობროს ჭიათურა და ატლანტა. ის არის ჯორჯიის შტატში რესპუბლიკურ პარტიაში და იქ მსოფლიო ემიგრანტებს კურირებს.

**ევა კაპანაძე** – ის არის ფოტოხელოვანი. იგი ძალიან ცნობილ პროდიუსერებთან მუშაობს და მიუხედავად იმისა, რომ ფოტომომსახურება ძალიან ძვირია ამერიკაში და მას ძალიან დატვირთული გრაფიკი აქვს, როცა ქართული პროექტი კეთდება, ევა ქართულ დიასპორას ყოველთვის უანგაროდ უდგას გვერდით.

**თინათინ ახვლედიანი** – ეს ქალბატონი, სამწუხაროდ, გარდაცვლილია. მისი სურვილი იყო, ჰოლანდიაში გაეხსნა ქართული თეატრი „ათინათი“. ჯერ სახლში აკეთებდა სპექტაკლებს, მერე აიღო ფართი და ჩამოაყალიბა ისეთი თეატრი, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ (კოვიდპანდემიის დროს გარდაიცვალა) ამ თეატრმა სხვადასხვა ფესტივალებში გაიმარჯვა. ჯილდო მის შვილს – ნათია ახვლედიანს გადავეცით.

**ინეზა კვიციანი** – ის წარმოშობით აფხაზეთიდანაა და ამჟამად ნიდერლანდებში ცხოვრობს. ბიზნესმენია, პოპულარიზაციას უწევს საქართველოს და ქველმოქმედებითაა დაკავებული.

**მანანა ხორბალაძე** – მან ბელგიაში ჩამოაყალიბა თეატრი „დაბრუნება“ და ფაქტობრივად საკუთარი ფინანსებით დგამს სპექტაკლებს, მსახიობებს უხდის ჰონორარებს, ხშირად საქართველოდანაც ჩაჰყავს რეჟისორები.

**ნელი აფციაური** – 30 წელია ცხოვრობს თურქეთში. მუსიკოსია. ქართული დიასპორისთვის მიუზიკლებს დგამს, თავისი საბავშვო მუსიკალური წიგნები აქვს გამოცემული

**ირმა კუტალაძე-რუბინო** – მას ჰყავს ამერიკელი მეუღლე, ორი შვილი, ოჯახი დაკავებულია ბიზნესით, რომელიც 100 წელზე მეტს ითვლის და საკმაოდ ცნობილია იმ შტატში, სადაც ცხოვრობენ. გარდა ამისა, ირმას აქვს თავისი დასაქმების სააგენტო, მაგრამ ის ქართველებს ანაზღაურების გარეშე ეხმარება. ირმა არის ქართული დიასპორის დამფუძნებელი. მან ამ არასამთავრობო ორგანიზაციით უამრავი კარგი საქმე განახორციელა.

**ლელა ნიწუა** – ლელას დაუსწრებლად გადაეცა ჯილდო. ისიც ძალიან ბევრ კარგ საქმეს აკეთებს. სულ ახლახან მან ჩაატარა ღონისძიება „სამოსი სამშობლო“ და ძალიან ბევრი ქალი გააბედნიერა.

ცერემონიის ბოლოს, სცენაზე დარბაზში მყოფი ემიგრანტები ავიდნენ. „ჩვენ დავბრუნდებით“ იყო ღონისძიების ლეიტმოტივი. ცერემონიას ესწრებოდნენ თბილისის მერიის და საქართველოს პარლამენტის წევრები.

ორგანიზატორებმა მადლობა გადაუხადეს თბილისის მერიას და საქართველოს პარლამენტს თანადგომისთვის არამარტო ამ ღონისძიების ხელშეწყობისთვის, არამედ მუდმივად მათ გვერდში დგომისთვის და მუდმივად მზადყოფნაში ემიგრანტების პრობლემების მოგვარებაში.

მადლობა თქვენ, ქართველო ემიგრანტებო, საქართველოს საუკეთესო კუთხით წარმოჩენისთვის. თქვენ აუცილებლად დაბრუნდებით ამაყები.






### ვახტანგ ხარჩილავა

## და საქართველოც გაგვექცევა საქართველოდან

*სიყვარულით ვუძღვნი ემიგრანტ ქალბატონებს*

**თუ იქროლებენ კვლავ ასეთი მკაცრი ქარები,**
**კვლავ უპატრონოდ თუ დარჩება ჩვენი ტაძარი,**
**გაგვექცევიან ჩვენ აქედან ჩვენი ქალები**
**და სამუდამოდ მიეყრება კერას ნაცარი.**
**მათხოვრობისთვის განწირულნი, ნაშიმშილევნი,**
**დავრდომილები მიმოდიან ირგვლივ ქვითინით —**
**გაგვექცევიან ჩვენ აქედან ჩვენი შვილები,**
**ჩვენ გაგვექცევა სიცოცხლე და მოვა სიკვდილი.**
**ცად აღვლენილი სავედრებლად მტკივა ხელები,**
**დახაზულია ცის გუმბათი სისხლის ღარებით,**
**გაგვექცევიან ტყეები და მდინარეები,**
**გაგვექცევიან ახოები, ზვრები, ყანები.**
**გაგვექცევიან მეზვრენი და მევენახენი,**
**გაგვექცევიან მეგუთნენი, დურგალ-ხარატნი**
**და რაც აშენდა საუკუნოდ ერის სახელით,**
**თავს დაგვემხობა შინაური მტრების ღალატით.**
**თუ იქროლებენ კვლავ ასეთი მკაცრი ქარები,**
**თუ არ მოვიდა გმირი — ერი ვისაც ელოდა,**
**გაგვექცევიან ჩვენ აქედან ჩვენი ქალები**
**და საქართველოც გაგვექცევა საქართველოდან.**

**1997 წ.**



# ქეთი დუმბაძე ქართული მწერლობის ღვიძლი შვილია



*ნომრის სტუმარია საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ექსპერტ-კონსულტანტი, პროფესორი იოსებ ჭუმბურიძე.*

**- ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარება, გარკვეულწილად, კულტურასა და ხელოვნებაზეც აისახება. წლები გადის და პოლიტიკაში „ვერ დავლაგდით“. თქვენი აზრით, კულტურის სფეროში რა შეიცვალა მას შემდეგ, რაც სამინისტროს თეა წულუკიანი ხელმძღვანელობს?**

- ყველასათვის ცნობილია, რომ თეა წულუკიანს მძიმე მემკვდრეობა ერგო არა მხოლოდ წინა ხელისუფლების, არამედ, „ქართული ოცნების“ დროინდელი მინისტრებისგანაც. უამრავი საკითხი იყო კულტურის სფეროში პრობლემური და მოსაგვარებელი. მე რომ არ ვთქვა, საზოგადოება ისედაც ხედავს, რომ ქალბატონმა თეამ ბევრი რამის გაკეთება შეძლო. არ ვიცი, არ შეეძლოთ თუ არ ჰქონდათ ძირეული ცვლილებების სურვილი მის წინამორბედებს, მაგრამ ფაქტია, რომ კულტურის სფეროში ასეთი ცვლილებები აუცილებელი იყო. შესაძლოა, ეწყინოთ, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა: კომფორტულად გრძნობდნენ თავს მინისტრის სავარძელში ყოფილი მინისტრები, არსებითად არაფერს ცვლიდნენ და აქციებსაც არავინ უწყობდათ. როცა რეალური ცვლილებები დაიწყო, საპროტესტო ტალღაც წამოვიდა, რაც ბუნებრივიცაა. რა მედგრად დაუხვდა წინააღმდეგობებს ამჟამინდელი მინისტრი, საზოგადოებამ არაერთხელ იხილა.

კულტურის სფერო უნდა იყოს მაგალითის მიმცემი სხვა დარგებისთვის. რასაკვირველია, პოლიტიკას კულტურა სრულად ვერ გაემიჯნება, მაგრამ მნიშვნელოვანია, რა დოზით მოქმედებს პოლიტიკა კულტურაზე, რა გავლენას ახდენს - უარყოფითს თუ დადებითს, როგორია თავად „კულტურის პოლიტიკა.“

ბუნებრივია, წლების განმავლობაში წამხდარი საქმე ერთბაშად ვერ გამოსწორდება, მაგრამ მთავარია, გვქონდეს გამოსწორების სურვილი, ნება, უნარი, შემართება და ძალა იმისათვის, რომ რაღაც უკეთესობისკენ შეიცვალოს. ეს ყოველივე კი ქალბატონ თეა წულუკიანს ნამდვილად აქვს.

**- გეთანხმებით და იმასაც დავძენდი, რომ თეა წულუკიანის მსგავსი უკომპრომისო მინისტრი სჭირდება არა მხოლოდ კულტურას, არამედ ბევრ სხვა სფეროსაც. ნათესაობა, ნაცნობ-მეგობრობა და ნეპოტიზმი, რაც ქართულ ხასიათში ასეთი ფესვგადგმულია, განსაკუთრებით კულტურის სფეროში იყო თვალსაჩინო. ახლა რა ხდება, აქვთ თუ არა დღესდღეობით ასპარეზი ნიჭიერ ადამიანებს?**

- ყველაფერი შეიძლება ვთქვათ, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ქალბატონი თეა ვინმეს ნაცნობობის, ნათესაობის ან რაიმე კუთხით მიკერძოების ნიშნით არჩევს. სრულიად გამორიცხულია, რომ ამ პრინციპით მიუდგეს ადამიანთა საქმიანობის შეფასებას, მათ წარმოჩენასა და წახალისებას... ამას ნამდვილად ვერ დავაბრალებთ. ეს დიდი უსამართლობა იქნებოდა. მისი მოსვლის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა უკეთესობისაკენ სამუზეუმო სივრცეში, ლიტერატურის, თეატრის, მუსიკის, მხატვრობის სფეროებში, პრინციპული ცვლილებები დაიწყო კინოს მიმართულებითაც. როგორც ქალბატონმა თეამ აღნიშნა, ამ დარგში ძირეული ცვლილებების დაწყება ცოტა დაგვიანებულიც კია.

ერთ-ერთმა პარლამენტარმა პარლამენტის ტრიბუნიდან თქვა, რომ გაუქმდა ლიტერატურული კონკურსები. კი არ გაუქმდა, სამ სახელმწიფო ლიტერატურულ კონკურსს ატარებს ამჟამად კულტურის სამინისტრო. ესენია: „მუზა“ - წლის საუკეთესო ნაწარმოებებისათვის თორმეტ ნომინაციაში, იაკობ გოგებაშვილის სახელობის კონკურსი - საბავშვო და საყმაწვილო მწერლობის დარგში და კონკურსი „ანა“ - ქალი ავტორებისთვის. რაც აშკარად თვალშისაცემია, ძალიან გამოცოცხლდა სათეატრო ცხოვრება, განსაკუთრებით რეგიონებში, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ფესტივალები ტარდება ოზურგეთში, ფოთში, თელავში, სიღნაღში, ქუთაისში, ბათუმში, ახალციხეში... თუნდაც ის რამდენს ნიშნავს, რომ კონსერვატორიაში, სადაც 50 წელია, როიალი არ შეუძენიათ, სულ ახლახან 80 საუკეთესო როიალი შეიძინეს. თანდათან ყველა მიმართულებას დაეტყობა ძირეული ცვლილებები. ერთბაშად კი ყველა პრობლემას ვერავინ გადაჭრის, თუნდაც ისეთი ძლიერი და აქტიური მინისტრი, როგორიც თეა წულუკიანია.

**- ცოტა ხნის წინათ, როდესაც მწერალთა სახლის დირექტორად დანიშვნის გამო გარკვეული ჯგუფი ქეთევან დუმბაძეს დაუპირისპირდა და მათ მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი გავრცელდა, უამრავი უცნობი გვარ-სახელი ვიხილეთ, რომლებიც, თურმე, მწერლები ყოფილან ამ პატარა ქვეყანაში და დღემდე არავისთვის არიან ცნობილნი. რა დამსახურების მიხედვით აღმოჩნდნენ მწერალთა რიგებში?**

- იმ სიაში რამდენიმე მწერალი ნამდვილად არის, მაგრამ ცხადია, ბევრი თვითმარქვიაა. მართლა გაუგებარია ამ სახელ-გვარების იქ ყოფნა, მაგრამ მთავარი ჩემთვის ის არის, თუ რა უნდათ? რას აპროტესტებენ, რას აწერენ ხელს, რას უპირისპირდებიან? საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი ასეთივე უსამართლობა, როდესაც დამიპირისპირდნენ, როგორც ჟიურის წევრს ერთ-ერთი კონკურსის დროს და „ოდეერი“ მიწოდეს. მართლა არ ვიცოდი, რას ნიშნავდა ეს სიტყვა და გავარკვიე, რომ „ფარულად ჩანერგილი აგენტი“ ყოფილა. მე კი სრულიად ღიად წარმადგინეს საკონკურსო კომისიის წევრად. სამინისტრო აფინანსებდა ამ კონკურსს და რატომ არ ჰქონდათ უფლება, რომ ჟიურის ხუთი წევრიდან ერთი სამინისტროს წარმომადგენელი ყოფილიყო?

ამჯერადაც გაუგებარია, რა უნდათ, რას აპროტესტებენ, რა არის მიზეზი იმისა, რის გამოც ქეთი დუმბაძე არ შეიძლება იყოს მწერალთა სახლის დირეტორი? ხომ დავინახეთ, როგორ ეწინააღმდეგებიან საკუთარ თავსა და პრინციპებს, თუკი პრინციპები საერთოდ აქვთ? რურუას დანიშნული დირექტორი „დემოკრატიულად დანიშნული“ ყოფილა, თეა წულუკიანს კი, თურმე, დირექტორის დანიშვნის უფლება არ უნდა ჰქონდეს. აქ ლოგიკა არ არსებობს.

**- ლოგიკას ვერ დავარქმევთ, მაგრამ ეს არის პოლიტიკური ნიშნით მიუღებლობა. რადიკალებს არავინ მოსწონთ, ვინც „ქართულ ოცნებასთან“ ასოცირდება...**

-დიახ, ეს არის მიზეზი. არ უნდა ასოცირდებოდეს რომელიმე პარტიასთან მწერალთა სახლის დირექტორიო, - ამბობენ, მაგრამ ასოცირდებოდა კი არა, პირდაპირ „ნაციონალური მოძრაობის“ უშუალო წარმომადგენელი იყო ნატა ლომოური. ის მისაღები იყო და თუ ვინმე „ქართულ ოცნებასთან“ ასოცირდება, მიუღებელია?!

ამას წინათ ერთ-ერთ გაზეთს მივეცი ინტერვიუ და დაუწერიათ, თითქოს ვთქვი, რომ „ნაცმოძრაობაც“ და „ოცნებაც“ უნდა გაქრნენ პოლიტიკური ასპარეზიდან. რეალურად კი მათ შორის ტოლობის ნიშანი არასდროს დამისვამს, რადგან ეს იქნებოდა ძალიან დიდი უსამართლობა. „ნაციონალები“ იყვნენ დამნაშავეები, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას შეიძლება, შეცდომები კი მოსდის, მაგრამ შეცდომასა და დანაშაულს შორის ხომ უზარმაზარი განსხვავებაა, როგორ შეიძლება მათი გაიგივება?! ამას ვამბობდი და ვწერდი მანამდეც, ვიდრე კულტურის სამინისტროში მივიდოდი და ჩემი პოზიცია არასოდეს შეცვლილა.

ქეთის ძალიან ბევრ ისეთ მწერალთან აქვს კარგი ურთიერთობა, რომლებიც „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ასოცირდებიან. სწორედ ქეთი დუმბაძე შეიძლება იყოს მწერალთა სახლის დირექტორი, რადგან მისთვის მთავარია მწერლობა, ლიტერატურა, ნიჭი და არა პოლიტიკური კუთვნილება თუ გემოვნება.

ამ გაგებით, მგონია, რომ არაჩვეულებრივი კანდიდატურა იყო სწორედ ქეთევან დუმბაძე. ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება იყო მისი დანიშვნა მწერალთა სახლის დირექტორად, მრავალი თვალსაზრისით. როცა წავიკითხე, თუ რა გაუკეთებია ქეთის ლიტერატურის სფეროში, ქართული მწერლობის სასიკეთოდ, მეც კი გამიკვირდა: თურმე, რამდენი რამ არ მცოდნია. ცხადია, ის არ არის შემთხვევითი პიროვნება ამ სფეროში. ქეთი არის ქართული მწერლობის ღვიძლი შვილი, ცხოვრობს ლიტერატურით, უყვარს ლიტერატურა და არა მგონია, ამ ყველაფერს თავი ვერ გაართვას. რასაკვირველია, პირველ ხანებში ცოტა გაუჭირდება, მაგრამ მას აქვს შემართება, კონტაქტები, ძალიან ბევრ ადამიანს უყვარს, თვითონაც სიყვარულით სავსეა, მართლა ძალიან კეთილშობილი და უსაზღვროდ კეთილი ადამიანია, ნოდარ დუმბაძის ღირსეული შთამომავალია და პიროვნული თვისებები აუცილებლად დაეხმარება მას, რომ საქმეს წარმატებით გაართვას თავი.

**- დარწმუნებული ვარ, მწერალთა სახლშიც ბევრი რამ არის შესაცვლელი, გასაკეთებელი, გამოსასწორებელი და ეს მარტივი ნამდვილად არ იქნება...**

-არ დაგიმალავთ, ძალიან ღრმად ჩახედული არ ვარ მწერალთა სახლის ფუნქციებში, მაგრამ რასაც



ადრე ვხედავდი და არ მომწონდა, ყოველთვის ვაპროტესტებდი. ნატა ლომოურს ბევრად ადრე ვუპირისპირდებოდი, თუნდაც იმის გამო, რომ მწერალთა სახლის დარბაზიდან, სადაც ვიკრიბებით ხოლმე, ილიასა და აკაკის ისტორიული პორტრეტები გაიტანა. ჯერ კიდევ პირველი თაობის ბოლშევიკებს უნდოდათ თურმე მათი იმ დარბაზიდან გატანა და კონსტანტინე გამსახურდია იქ ღამეებს ათევდა, რომ ეს ვერ მოეხერხებინათ.

დამაბრალეს, თითქოს ვთქვი, რომ ლომოურმა პორტრეტები მწერალთა სახლიდან გაიტანა, მაგრამ ეს არასდროს მითქვამს. პორტრეტები გაიტანეს სხდომათა დარბაზიდან და ე.წ. „მოსასვენებელ ოთახში“ გადამალეს. როცა ამის მიზეზი ვიკითხე, გასაოცარი პასუხი მივიღე: დიზაინერმა თქვა, აქაურობას არ უხდებაო(?!). ძალიან დიდი დატვირთვა ჰქონდა დარბაზში მათ არსებობას, რადგან ვიცოდით, სად მივდიოდით, ვინ გვიმზერდა ამ პორტრეტებიდან. ჩვენც მეტ პასუხისმგებლობას ვგრძნობდით, მოკრძალებას, მოწიწებას გამოვხატავდით მათ მიმართ. ქეთი დუმბაძის ადგილზე ამით დავიწყებდი, იმ პორტრეტებს თავის ადგილას დავაბრუნებდი. ამას მხოლოდ სიმბოლური დატვირთვა კი არ ექნებოდა, ეს იქნებოდა ნიშანი იმისა, რომ ჩვენ ვუბრუნდებით ყველაზე მთავარს - დიდ და ნამდვილ ქართულ მწერლობას!

მწერალთა სახლის ბაღში შესვლა ფასიანი გახადეს. რა უნდა იქ რესტორანს? გამოდიოდა ხმები, რომ ზემოთ სასტუმრო თუ რაღაც გაურკვეველი სახის დაწესებულებაც მოაწყვეს... ბევრი რამ იყო ისეთი, რაც არ მომწონდა. ფოტო რომ გადაიღონ მწერალთა სახლის ბაღში ახალდაქორწინებულებმა, საკმაოდ სოლიდური თანხა უნდა გადაიხადონ... იმედი მაქვს, მალე ბევრი რამ შეიცვლება. კი ბატონო, როგორც გვეუბნებიან, საბაზრო ეკონომიკის ეპოქაში ვცხოვრობთ, მაგრამ, ამ შემთხვევაში, ქართულ მწერლობას უნდა მოხმარდეს შემოსული თანხა, ოღონდ, ამას უნდა ჰქონდეს კულტურული, ცივილიზებული სახე, ყველაფერი უნდა იყოს გამჭვირვალე. თუკი იქიდან მწერალთა სახლს რაიმე შემოსავალი ექნება, ის უნდა მოხმარდეს ქართული მწერლობის განვითარებას, ქართველ მწერალთა ყოფის გაუმჯობესებას. მწერალთა სახლის ისტორიულ ეზოში, სადაც, მურმან ლებანიძის თქმით, „შაშვიც კი ფრთხილად გალობდა“, თუკი რამ კომერციალიზაციას დაექვემდებარება, მისი მიზნობრიობაც უნდა ვიცოდეთ და ეს მითქმა-მოთქმის საბაბად არ უნდა იქცეს.

**- ალბათ, გონივრულია, რომ განათლებისა და კულტურის სფერო ერთმანეთს გაემიჯნა, მაგრამ კულტურა და სპორტი ერთად როგორი მისახედია ხელმძღვანელისთვის?**

- ორივე დიდი და რთული სფეროა. ამიტომ, თავიდან სკეპტიკურად ვუყურებდი მათ „ერთად ყოფნას.“ ვფიქრობდი, სპორტი ცალკე უნდა იყოს, თუნდაც კომიტეტის სახით, როგორც ადრე იყო-მეთქი, მაგრამ იმდენად წარმატებულია ქალბატონი თეა ამ კუთხითაც, როგორც მინისტრი, სკეფსისი თანდათან მიქრება. მართლაც ძალიან ბევრი მიღწევა გვაქვს სპორტის მრავალ სახეობაში, რაც ყველა ქართველს უნდა ახარებდეს.

**ნონა ქარქაშაძე**

(დასაწყისი „სგ" N9)

სერიოზული რეფორმის გატარება ბუნებით ისეთ კონსერვატიულ გარემოში, როგორიც სკოლაა, ყოველთვის ნეგატიურ დამოკიდებულებას იწვევსო, — განაცხადა მაშინ მინისტრმა და სიმართლე თქვა, ის აღარ დაუყოლებია, რომ ამ რეფორმების შედეგად სკოლა განადგურდება, ასე გვიბრძანეს და უნდა შევასრულოთო.

ამერიკელ ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელს შევხვდი, რომელიც პროფესიით ეკონომისტი იყო და ელემენტარული წარმოდგენა არ ჰქონდა ფიზიკაზე. მასთან შედარებით ნიუტონიც ვიყავი, ფარადეიც, ომიც, ჰერცი და ვოლტაც — ესენი ვინ იყვნენ, წარმოდგენაც არ ჰქონდა. დავინტერესდი, რანაირად უნდა აეხსნა მოსწავლისთვის მისთვის გაუგებარი ფიზიკური მოვლენა. მიპასუხა: „ეს სულაც არ არის ჩემი პრობლემა. აქ ნახეთ, რამდენი სახელმძღვანელოა. თუ პასუხი ვერ იპოვა, ვისაც უნდა, იმას ჰკითხოს, მე მხოლოდ ტესტებზე პასუხების შემოწმება მევალება ამ „გასაღებით", რომელსაც მის ტესტს დავადებ და სწორ პასუხებს დავითვლი." ამდენად, ტესტების შემოღება იმით იყო განპირობებული, რომ საგნის შესაბამისი დონის მასწავლებლები არ ჰყავდათ. ამ მხრივ ჩვენ კარგი მდგომარეობა გვქონდა, მაგრამ ახლა ესეც მოიშალა, მაგრამ მაინც ვერ წარმომიდგენია, ჩვენი მასწავლებელი ასეთი იყოს, „დონის" უქონელი... თუმცა, რატომაც არა, ახლა ხომ პედაგოგიურ სივრცეში სტატუსი „მაძიებელი" გაჩნდა...

რა უნდა გავაკეთოთ, რომ განათლების აღმავლობა დაიწყოს?

ამ საკითხს გონიერი ანალიზი და ისეთი კანონმდებლობის შექმნა სჭირდება, რომელიც არა მხოლოდ ფართო საზოგადოებისთვის იქნება მისაღები, არამედ, უპირველესად, ჩვენს ბუნებას, მისწრაფებებს, ტრადიციებს, სახელმწიფო ინტერესებს გაითვალისწინებს.

რომელი ქვეყნის განათლების სისტემა უნდა ავირჩიოთ?

განათლების არც ერთი უცხოური სისტემის ბრმად გადმოტანა არ შეიძლება! ამერიკელებმა თავს განათლების ის რეფორმა მოგვახვიეს, რომელიც ტანზანიასა და მის მსგავს ქვეყნებში განახორციელეს და რა დახლიც დაგვიდგა, ვხედავთ.

ჩვენ მცირერიცხოვანი ერი ვართ მრავალსაუკუნოვანი კულტურითა და სულიერი სიმდიდრით. ეს უნდა შევინარჩუნოთ!

ამდენად, ჩვენ ვალდებულნი ვართ, ყველასგან დამოუკიდებელი ქართული განათლების სისტემა შევქმნათ ყოველგვარი „ტექტონიკური ძვრების" გარეშე!

არ კმარა, განათლების სისტემის მხრივ მესამე ქვეყნების, „თეთრი ზანგების" რიგებში რომ ვართ?!

ეს ყველაფერი ზედა რგოლშია, ქვევით რა ხდება, გაკვრით ვთქვათ. მოარული ნათქვამია: მშობლებმა ბრძენს ჩვილი მიუყვანეს, როგორ ავღზარდოთ მოქალაქედო. რა ხნის არისო? სამი დღისო. უკვე დაგვიანებულია! — უპასუხა ბრძენმა...

მცირეწლოვანის განვითარებისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ოჯახს და საბავშვო ბაღს. ოჯახში ოჯახის წევრები განსაზღვრავენ ბავშვის გონებრივ განვითარებას, გარეთ — საბავშვო ბაღის აღმზრდელები. სხვისი ოჯახების ამბავში ვერ ჩავერევი, მაგრამ თქვენც კარგად გეცოდინებათ, რა ხდება, რამდენად „მოუცლელები" არიან ახლანდელი დედები. დღევანდელი ახალგაზრდა დედები ხომ იმ თაობის წარმომადგენლები არიან, რომელთაგანაც განათლებულები მხოლოდ ისინი დარჩნენ, ვინც ინერციითა და „კომუნისტი" მშობლების „ძალადობით" განათლდა... თვითონ არაფერი იციან, „თხა და გიგოს" არსს ვერ გადმოგცემენ, შვილებს რა უნდა აუხსნან... გამოსავალი: მიაჩეჩებენ პატარას მობილურს — ითამაშოს და თავისთვის გაერთოს...

საბავშვო ბაღში, ალბათ, გენდერზე შექმნილი საბავშვო წიგნების შინაარსის შესახებ დაუწყებენ საუბარს, აჩვენებენ შვედურ საბავშვო შოუს, რომლის წამყვანები შარდის ჭავლი და განავალი არიან, შესაფერის სამოსში გამოწყობილები და მოუყვებიან თხუნელაზე, რომელსაც თავზე მოასაქმა ვიღაცამ და მომსაქმებლის ძებნაში ყველა ცხოველის მოსაქმებულის სახეობებს ეცნობა.

გამომცემლობა წერს: „პატარა თხუნელას ამბავი" მთელ მსოფლიოში განთქმული წიგნის ქართული თარგმანია. მოთხრობა, რომელიც კარგა ხანია სხვადასხვა ქვეყნის ბავშვების საყვარელ საკითხავად იქცა, „დიოგენეს" თანამედროვე საბავშვო წიგნების სერიას ხსნის. წიგნი პატარებს ხიბლავს მაში მოთხრობილი უჩვეული, ტრადიციული საბავშვო წიგნებისგან განსხვავებული ამბით და მოულოდნელი გმირით — სიმართლის გარკვევის სურვილით შეპყრობილი პატარა თხუნელათი, რომელიც თანამედროვე საბავშვო ლიტერატურაში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პერსონაჟია. წიგნი სკოლამდელი და მცირე სასკოლო ასაკის ბავშვებისთვისაა განკუთვნილი".

გამომცემლობისა და, ალბათ, მათი მსოფლიოს გასაკვირადაც, ეს „უჩვეულო და მომხიბვლელი" წიგნი, თურმე, რატომღაც არ გაიყიდა.

გამომცემლობის ხელმძღვანელის პასუხი, ამონარიდი სტატიიდან, რომელიც „რადიო თავისუფლებამ" გამოაქვეყნა 2022 წლის აპრილში, სათაურით „საქართველოში ჩაფლავებული ბესტსელერები": „ვოლფ ერლბრუხს საბავშვო ლიტერატურაში ორი მთავარი ჯილდო აქვს აღებული, ანდერსენის მედალი და ასტრიდ ლინდგრენის პრემია. აი, ასეთი ლეგენდარული კაცი ჩაფლავდა საქართველოში. ძალიან ცუდად გაიყიდა!



# რა უნდა გავაკეთოთ, რომ განათლების სისტემის აღმავლობა დაიწყოს?

ვერ წარმოუდგენიათ, რომ საბავშვო წიგნი შეიძლება იყოს ამდენად მრავალფეროვანი. ჩაცემენტებული აზროვნება აქვთ. ფიქრობენ, რომ საბავშვო წიგნი არის მაინცდამაინც „წითელქუდა" ან „კომბლე". ზოგადად, მშობელი ნაკლებად იღებს იმას, რაც ცოტათი მაინც განსხვავებულია, რაც შესაძლებელია ბავშვის კრიტიკულ აზროვნებას აღვივებდეს. მაგალითად, „დედა ენის" კურსში შეტანილი გვაქვს მაყვალა მრელაშვილის (ალბათ, მაყვალა მრევლიშვილი იგულისხმა — ავტ.) ლექსი, რომელიც პარადოქსულ ლოგიკაზეა აგებული. ვერაფრით ვერ იგებენ მშობლები."

რაც დაგვმართეს ერთია, ხოლო ვისაც უშუალო შეხება გაქვთ ამ საშინელებასთან: შვილი ხარ თუ მშობელი, მასწავლებელი თუ მინისტრი და პრემიერი, თქვენ გეკითხებით: რა გვჭირს, ხალხო, რატომ არ ვიმაღლებთ ხმას?!

ოჯახში ბავშვის ასაკისთვის საჭირო განათლების დეფიციტისა და საბავშვო ბაღიდან თხუნელას თავგადასავლისა და მსგავსი ამბებით აზროვნებაგადაგვარებული მოზარდი მიდის საჯარო ან რომელიმე კერძო სკოლაში და რაგინდ მუშა ტვინი ჰქონდეს, განათლების მხრივ ბოლომდე მე-7 კლასის დონეზე რჩება. ყველა მათგანი მისი ასაკისთვის მნიშვნელოვნად მაღალ დონეზე ფლობს კომპიუტერულ და მობილურ ტექნიკას, იცის საყველპურო ინგლისური, იმის იქით განათლების სამყარო მისთვის არ არსებობს. ცოდნის დაუფლებაზე ორიენტირებული მოზარდი ის მზა მასალაა, რომლისგანაც ყველანაირ ადამიანს გამოძერწავს ის, ვისაც ხელში ჩაუვარდება. მავანთა ყურმიდებით, სამწუხაროდ, მხოლოდ სახელმწიფოსა და ჯანსაღი საზოგადოებისთვის მავნებელი და ავზნიანი ორგანიზაციები თუ კლუბები იტაცებენ ჩვენს შვილებს...




დავით ქართველიშვილი: ორგანიზაცია „ფრანკლინის კლუბი" შეიქმნა 2021 წლის დეკემბერში. მისი მიზანია „კლასიკური ლიბერალურ/ლიბერტარიანული ღირებულებების გავრცელება". სინამდვილეში კი ეს არის ლიბერალური ფაშიზმის იდეოლოგიაზე ახალგაზრდა თაობების მომზადების ცენტრი.

„ფრანკლინის კლუბის" მიმდინარე და დაგეგმილი აქტივობები მოიცავენ საგანმანათლებლო და მედია პროექტებს, კვლევებს, პოლიტიკურ დისკუსიებს, სამოქალაქო აქტივიზმსა და კონსალტინგს. კლუბი ღიაა სხვადასხვა ტიპის იმ ინიციატივებისთვის, რომელიც ხელს შეუწყობს მათ მიერ დეკლარირებულ „კლასიკურ-ლიბერალური საზოგადოების" გაძლიერებას, რეალობაში კი ლიბერალური ფაშიზმის "ბუდეს" წარმოადგენს.

დიდი ალბათობით, ჩვენ შეგვიძლია "ფრანკლინის კლუბის" (არაპირდაპირ) დაკავშირება აშშ-ის სპეცსამსახურებთან, ვინაიდან ის უზრუნველყოფს აშშ-ის მოქმედი ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკით განსაზღვრული ამოცანების შესრულებას.

მარტის თვის აქციებთან დაკავშირებით:

„ფრანკლინის კლუბი" ადასტურებს მათში მონაწილეობას და იქ მყოფი ე.წ. „Gen Z" თაობის (აქციის ბირთვი) გადამზადების ფაქტს (წელიწად-ნახევარში მოამზადეს 2500 კურსდამთავრებული ახალგაზრდა).

მარტის აქციებზე, სხვადასხვა მონაცემებით, იდენტიფიცირებული იქნა „ფრანკლინის კლუბის" როგორც მინიმუმ, 1000-მდე წევრის მონაწილეობის ფაქტი.

აქციებში მონაწილე სტუდენტების ძირითად ბირთვად მოგვევლინა „აგრარულ/თავისუფალი" და „საქართველოს" უნივერსიტეტები.

მნიშვნელოვანია, რომ ხსენებული უნივერსიტეტების ლექტორთა ნაწილი ასევე ასწავლის „ფრანკლინის კლუბში", ხოლო უნივერსიტეტების რექტორები წარმოადგენენ ხსენებული ორგანიზაციის მრჩეველთა საბჭოს წევრებს.

კლუბის წევრთა ნაწილმა უკვე წაშალა ფეისბუქიდან აქციაზე მათი ყოფნის ამსახველი ფოტოსურათები. კლუბის წევრები თითქმის იდეალურად იცავენ კონსპირაციას, აქციების შემდეგ გაძლიერებული იქნა კლუბის ტერიტორიაზე არსებული დაცვის სისტემა.

ამჟამად „ფრანკლინის კლუბის" დამფუძნებლები აცნობიერებენ, რომ მათი თავდაცვის ყველაზე ეფექტური მექანიზმი - აგრესიულ მედიურობასა და კონსპირაციის დაცვაშია, რასაც ახორციელებენ კიდეც მეტ-ნაკლები წარმატებით. ორგანიზაციის მხარდამჭერი მედიაკამპანიის სახეებად გვევლინებიან კლუბის დამფუძნებლები: ალექსანდრე ზიბზიბაძე და რევაზ თოფურია, რომლებიც ცდილობენ, გაანეიტრალონ კლუბის მიმართ დაწყებული ნეგატიური საინფორმაციო კამპანია.

საჯარო განცხადებების მონიტორინგმა გამოკვეთა ამ მიმართულებით ორი ძირითადი ხაზი:

საფრთხის მინიმალიზება, წაყენებული ბრალდებების "გაშარჟების" გზით. აქ აქცენტი კეთდება პრემიერ-მინისტრის განცხადების იმ მონაკვეთზე, რომ კლუბის წარმომადგენლები აქციაზე იმყოფებოდნენ „სატანისტებისთვის დამახასიათებელი ჩაცმულობით".

მეორე ნაწილში ისინი ვერ უარყოფენ აქციაზე მყოფი ე.წ. „Gen Z" თაობის მათთან კავშირს (ადასტურებენ მათ მონაწილეობას), თუმცა უარყოფენ დესტრუქციულ პროცესებში მათი ჩართულობის ფაქტს.

ამ ეტაპისთვის შეიძლება ითქვას, რომ ორგანიზაციასთან თანამშრომლობაში მყოფი ზოგიერთი პირი არის შეშინებული და გარკვეულწილად ავლენს პანიკურ რეაქციებს. გაძლიერებულია გარე და შიდა პერიმეტრის დაცვა, გართულებულია ვიზიტორების უნივერსიტეტში მოხვედრის პროცესიც - კერძოდ, მათ შესასვლელად საჭიროა მონაცემების დაცვის თანამშრომლებისთვის წინსწრებად გადაგზავნა და ა.შ.

„ფრანკლინის კლუბის" საქმიანობაში მთავარ საფრთხეს წარმოადგენს ლიბერალურ ფაშიზმზე აგებული მისი იდეოლოგია, სწავლების მეთოდები და ჩამოყალიბებული თეზისები, რომელთა ინკრიმინერება პრაქტიკულად შეუძლებელია (ხსენებული პოლიტიკა უკვე წლებია, გამოიყენება აშშ-ის მიერ, ხოლო მათი მეშვეობით მზადდება ე.წ. „ფერადი რევოლუციებისთვის" საჭირო ნიადაგი). შეუძლებელია იმიტომ, რომ სწავლება არ მოიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის პირდაპირ ნიშნებს.

**ნინო დაუშვილი**



მხატვარი იაგო ნიკოლაძე

# სასიკვდილე ერვანდა

ისევ ჩემი ეზო. ჩემი სახლი. ჩემი უძვირფასესი ადამიანები.

– ზურაჯან, შენ რათ იცი ეგრე? ერვანდა მოკვდა, ერვანდა მოკვდა! რათ უნა მოვკდე, ეს პიავკა რო გახარდეს? – ცერად გადახედა ერვანდამ ნანულის, მაგრამ ზეემოციური ნანული დაცლილი იყო ემოციებისგან, ჯერ ისევ დაგვტიროდა, მე – ინფარქტით გარდაცვლილს, ერვანდას – უგზო-უკვლოდ დაკარგულს.

– ბიჯო, რა მაგრად მჟვარებიხარ, – გამეღიმა მე.

– ნა ვიდ ეგრეა... აგე, ამას კიდე არაფელი მოუვიდა, ეს კრისა, ესა! ორი ღმერთისტონა კაცი ეკარგებოდა და მიდიი, არხეინად ყავას ხვრეპამდა თავის ვრედნი ჭორბიურო ნაცსექტასთან, – ნანულის აყოლიებას ცდილობდა ერვანდა, მაგრამ ის მდუმარედ იჯდა და ისე გვიყურებდა, თითქოს პირველად გვხედავდა.

– ამბროლაურში რამ წაგიყვანა, ბიჯო! – საავადმყოფოში ლაპარაკის თავი არ მქონდა და ახლაღა ჩავეძიე ერვანდას.

– ვა, ლოდვა მომწყინდა და მეთქვი, იქიდამ რაჭის საყინულეში წავალ, დავათვარიიერეფ, ან სიყვარულის ჩანჩქერსა ვნახამ, ბოლო-ბოლო, ნიკორწმინდამდინ ტრაპინკას გავიგნებ. ვდრუგ ტელეფონი მირეკამს, ახმახ ტიპს თუ იცნობთ, აგე, აქა დევს პოლუტრუპად, სავანტყოფოშიო. ნაღდად სტოსოროკით დავგაზე, მეთქვი, მივუსწრო, სადა მალამს ოქროებსა, დამიბაროს, – იღრიჭებოდა ერვანდა.

– ეს სასიკვდილე, ესა! – ამოისისინა ნანულიმ.

– ნანულაჯან, ხო დაინახე, რო სასიკდილო არა ვარ? ზურაჯან, ზნაჩიტ, ცოტა პერერივს გააკეთამ და ისევ შევუბერამთ „ახტამარსა“? – მომიტრიალდა მე.

– ეგრე არა თქვა იმ კაი კაცმა?

– ვაჰ, რა ხოშიანი ექიმი იყო! გავარიტ, ჭამე რაც გინდა, ხოლესტერინი ისეთი პრატივნი ვინმეა, რაგინდა რო წამალი სვა, მაინც გაგიჩნდება თუ ხოში აქ; ეგა კიდე, ინფარქტი კი არ იყო, ცოტაც და იყოო. წაიღეთ ეხლა ეს თქვენი ცოცხალი ტრუპი და დაითესეთ რაჭიდამ, ვოტ ვამ ტიფლისსკი დაბლობ და იქ დაიბრიდეთოო. ნეაჟიდანად გავკვირდი, მაგრამ პრიატნათ. ეგენები, ვრაჩები, რო ინფაქტდებიან, რა საინტერესოა, ერთმანეთს რა რეჩებს ურტყმენ, კანიაკი ჯობია თუ ონტკაო? – პატარა ბავშვივით ჭყლოპინობდა ერვანდა.

– ზურა, ამას ნუ უსმენ, ამ სასიკვდილეს, ამ ჯადობაზ ლოთს! – ისევ ერთი ფრაზა ამოისისინა ნანულიმ.

– ჯადობაზი რათა ვარ, ცავატანემ, თავი შეგაყვარე, თუ ლუბიმი გველი შეგიწვი? – ახითხითდა ერვანდა.

– ჯერ ისევ ვერ ვარ, თორემ დაგთხლეშდი თავში რაღაცას, – ფერზე მოსვლა დაიწყო ნანულიმ.

– ზურაჯან, ნახე, რა საჩუქარი მოგიტანევი, მიაკრამ შენს ინდეზიტ-მაცივარზე და გაიხარებ მინამ რომ ვერა სომ, ერთი „გეორგია“, მეორე „არმენია“, – დემონსტრატიულად მიმიკრა მაცივარზე სუვენირები ერვანდამ.

– შე სასიკვდილე, კაცი ვერ სვამს, ბოთლები უნდა წამოუჭიმო თვალწინ? თან „გეორგიაო“, ამ უწიგნურმა! „ჯორჯია“, შე გველო, „ჯორჯია“! – გამოცოცხლა ნანული და სახლში გაცუკცუკდა.

– „ჯორჯია“ თქვენი სექტითვინ არი, „გეორგია“ ვართ ჩვენ, მიწათმოქმედი ერი! – შეუღრინა ერვანდამ და გულში დავეთანხმე, იმის თავი აღარ მქონდა, გამოვდევნებოდი, თვითონ რა შუაში იყო თავის ლენინაკან-არარატიანად.

– ბიჯო, მე რას მიყურებ, მიდი, ჩასცხე! მე რომ მიყურო, ვირი ხეზე ავა და შენ ეგრე დარჩები, დაგიძმარდება „ახტამარი“, – თვალი ჩავუკარი ერვანდას.

– ნეეეეე, მე დავლიო, შენ – მიყურო? ტაკ ნი პაიდიოტ! – სასტიკი უარი მტკიცა ერვანდამ.

– ერვანდ, გავიდა ჩემი რეაბილიტაციის ვადა, ყველაფერს შევჭამ და ყველაფერს დავლევ. რა გააჭირე საქმე?

– ვადა არა, ისა! ნუ, მთლად ინფარქტი არ იყო, მაგრამ ხო რაღაც იყო გულისა?! ჯიგრულად, რააა, ნუ გაივაკებ, მართლა არ გაგორდე დორ ჩარივითა, – შეშფოთდა ერვანდა.

– ერვანდ, საერთოდ არ მახსენდება დალევა, მაგრამ რომ ვუფიქრდები, მეშინია, მასე არ დავრჩე. ცოტა თუ არ მივეპარე ნელ-ნელა, ცხოვრებას აზრი ეკარგება...

– ომარ ხაიამის სული გტანჯამს? – გაეღიმა ერვანდას და წიგნის თაროსკენ გაიხედა.

– „თუ ღვინის მსმელებს ჯოჯოხეთში მოუწევთ ყოფნა, მაშინ ცარილ სამოთხეში ვის რაღა უნდა!“ ეგრე გამოდის, – უნებურად მეც თაროებს გავხედე.

– ტო, მე რო ეხლა კანიაკი დავაძრო, ის კრისა ნაღდში მომკლავს! არა, ძმაოჯან, ეგეთ რისკზე ვერ წავალ, – ნანულის შიშით ლამის ჩურჩულით მითხრა ერვანდამ.

– დაიცა, მოვიდეს! – ავცმუკდი და ისეთი სისწრაფით შევუდექი სალხინობელის თადარიგის დაჭერას, ერვანდას რომ არ ეტაცა ხელი ტაბლისთვის, იმასაც მე მივარბენინებდი ეზოში.

– გველების უფლისწულო, მოდი დროზე, მე რომ არ დავიძახო, შენით ვერ უნდა მიხვდე? – გამოიკივლა ნანულიმ ფანჯრიდან.

– კრისა არიოტ! რა ნიკო მუნჯის მუნდშტუკი ეტაკა, რა უნდა? – უმანკო თვალებით შემომხედა ერვანდამ და კარისკენ წავიდა.

გავიხედე, შემოვიდნენ დახუნძლული ერვანდა და ქვაბით ხელში ნანული.

– ზურაჯან, ნახე, ნანულა ქელეხის პონტში რა ნოვი გოდს აკეთამს სენტიაბრში, როგო ვყვარებივართ, ჰა? – მომიბრუნდა მე.

– მაგას ჭიქებიც უნდა! – ვისროლე თეზისი.

– არააააა! – ისე ემოციურად დაიკივლა ნანულიმ, თონის პური მაღლა აუვარდა ხელიდან.

– აგე, – ჩუმად მითხრა ერვანდამ.

ჩემთვის სამი ჭიქის დალევაზე ნანულის დაყოლიება იმაზე რთული აღმოჩნდა, ვიდრე მე და ერვანდას, ორივეს ერთად წარმოგვედგინა. აიჩემა, ცუდად გახდებიო. ხან იტირა, ხან – იყვირა, ხან – მეხვეწა. კი გავიფიქრე, დავნებდები-მეთქი, მაგრამ ნანული ისეთი ჩიტია, ერთხელ რომ დანებდე, თავზე დაგაჯდება, ჩვეულებრივი „ნაცია“, ჰოდა, გადავიფიქრე და ხელში შევათამაშე სირჩა.

– მაშინ მოიცა, გარგარის არაყი მაქვს, ის მაინც დალიე, სუფთაა, – დამნებდა ბრძოლისგან არაქათგამოცლილი ნანული და სასმელის მოსატანად გავარდა.

– სლუში, საიდამ აქვს ამასა გარგლის ონტკა, იმ ქომეხი როდსტვენიკიდამა? ვაა, მე რათ არ მიგზავნიან? დაიცა, ნანულას თუ ქომეხი როდსვეტინიკები ჰყამს იქა, ზნაჩიტ, ცოტა ქომეხი ესაცაა, არა? – შეფიქრინებულმა თქვა ერვანდამ.

– ბიჭო, სიძე არ შეიძლება, რომ სომეხი ჰყავდეს?

– ჰოოო, ეგაცააა, – საფიქრალი მოეხსნა ერვანდას.

ეტყობა, ნანული უკვე კართან იყო მოსული და ჩემმა ბოლო ფრაზამ დაღვენთა. შემოვარდა არყიანი გრაფინით და ისე გადამეხვია, სულ დაავიწყდა, რომ უნდა დამელია. ბავშვობიდან ასეთი უცნაური იყო, ჩვენი აქტიური „ნაცებისა“ არ იყოს, სასტიკად მალავდა სომხურ წარმოშობას, თან იმდენად, რომ ჩაძიებას აზრი არ ჰქონდა, არაფრით არ ჩამიკაკლავდა, როგორ გაიქართველა სანათესაო.

– ზურაჯან, ამ სამალიოტების ფრენამ მაგრად გააძვირა ცხოვრება, არა? სლავი, სლავი და აგე, ყველაფერი გაძვირდა, დაჟე სემიჩკა, მარამ ზატო ისინები გაიფდა, რაც რუსულია. ზურაჯან, უკრაინსკები რატომ არ გაიფდა, ისინებიც ხო აქა ყრენან? – წამოიწყო ერვნდამ.

– რომელი ეკონომიკის მინისტრი მე მნახე?

– რუსეთი ოკუპანტია და წერტილი! – დაგვჭექა ნანულიმ.

– ბა ვონც? ოკუპანტია, მარამ, ამ ქართველებ ცოტა სკლიროზი გაქვთ, აი! მარტო სკლიროზი არა, კიდე სხვა რამეც, ნეპანიატნი ჟიმჟიმი. სლუში, საქართველოს ტერიტორიის 20% რო აქ ოკუპირებული რუსეთსა, მაგრად ნაიზუსტ იცით, მარამ ეს ისეთ პონტში აქვს დათრეული რუსეთსა, რო თუ უმნად მოიქცევი, დიპლამატიჩესკი, ისევლე შენი იქნება. აი, საქართველოს 100%-ის ტონა ტერიტორია რომ საქართველოს მუსლიმან მეზობლებს პაჟიზნენათ აქთ მიტაცებული, მითამ არაფელი. დაჟე სომხეთსა! ტო, ხუთდღიანი ომი დიდ ამბად გააკეთეთ და მაგრა დაიხსომეთ, იქაც, მოკლული ბიჭების ვინაობა და გმირებად გააკეთეთ, მარამ ის აღარ გახსომთ, სულ ცოტა, ბოლო ხუთი საუკუნის პერიუდში რამდენი ეგეთი ბიჭები დაგიხოცეს მუსლიმანმა ძმაკაცებმა, აი, დღეს რო მეგობრები თუ ისტარიჩესკი ვინმები გამხდარან. ვაბშე არ ვიგებ, რანაირად ალაგებთ ჰაზრებსა! რუსეთი ოკუპანტია, რაზეა ბაზარი, მარამ ეგენები რო გააგდე და ისინები ჩამოათესლე, მაგარია მითამ? ბლინ, ირანელებმა უჟე ფილარმონია აამსეს და ცოტა ხანში ნახე, მთელი საქართველო ფერეიდანად, საინგილოდ და თურქეთის ვილაეთად თუ არ გაკეთდეს, ნუ, კიტაისკი პროვინცია ტოჟე მოჟნო, ნო, ჩუტ პოზდნო. ბლინ, რათ ვერა ხდები, რო რუსის გარდა არავინ დაგიცამს ისე, რო ჯიში არ მო&&&ას?




– დაასრულა მონოლოგი ერვანდამ და ისე გადახედა ნანულის, მთელი შემართება დაუკარგა.

– ერვანდ, ის კუდიანი გაუფრინდათ?

– მე რა ვიცი, აგე, ამ სექტანტ კრისას ეცოდინება, – ერვანდამ თავი ნანულისკენ გადაიქნია.

– დეგნანი? არ ვიცი და არც მაინტერესებს, ამოვიდა ყელში უკვე! ვერა ხედავთ, რას დაემსგავსნენ? ისე დაიშალნენ, ერთმანეთს ვეღარ ცნობენ. ეს ღრძილებიანი ფულისტი საიდანღა გამოაძვრინეს, ჭირივით რომ სძულს ხალხს, არ იციან? რა სახალხო დამცველიც იყო, ისეთი სასარგებლო იქნება მიშასთვის! – მოგვაყარა ნანულიმ.

– სახაროვის დუშევნი პრასტიტუტკაზე უბნობ? ცავატანემ, სიცხე გაქ? – გულუბრყვილო გამომეტყველებით ჰკითხა ერვანდამ.

– ხმა ჩაიწყვიტე, შე სასიკვდილე! კი არ დამავიწყდა, რომ „ახტამარი“ გაქვს სადღაც დამალული და ზურას ჩათრევა გინდა.

– მე მინდა? ეს ახმახი ნანაკონდა თითონ ტალკუეტ. ზურაჯან, უთხარი, რო ცრუობას არ ვაკეთებ! – აღშფოთდა ერვანდა.

– ეგრეა! ნანული, რა მოხდა, ნაცსექტაში ბუნტი გაქვთ? – ჩავეძიე ნანულის.

– ბუნტზე უარესია! ჯერ ხომ ის საცოდაობა შემოაგდეს ცემა-ცემით, ის უბედურ დღეზე გაჩენილი „ხაბე“ – ღმერთო, მიშას შემდეგ „ხაბე“ რა სამარცხვინოა! მერე, მთლად დაიკიდეს მიშა, სიტყვის მასალად ახსენებენ, არავის აღარ უნდა მისი ციხიდან გამოსვლა, ბალასტად აქციეს; ისეთი ამბებია შიგნით, ისეთი ნიჰილიზმი, პარტიას „ნაცმოს“ უძველესი წევრებიც კი ტოვებენ უკვე... თელავი ლამის მთლად დაგვეშალოს... ახლა ისეთი ვაჭრობა გააჩაღეს, სომეხი სოვდაგარიც რომ არ იკადრებს: ან მიშას შეწყალება, ან იმპიჩმენტიო – იმ რუს-ქართველა ფრანგს აშანტაჟებენ, ხავსს ეჭიდებიან.

– კაი, კაცო!

– აბა?! ახლა ის კრუხის პალო გამოვიდა სიტყვით, გაუგებრობა რომ არ იყოს, იმპიჩმენტის კენჭისყრაზე ოპოზიცია არ შევიდეს პარლამენტშიო. წარმოგიდგენია, რამხელა უნდობლობაა პარტიაში? ასეთი შიში თუ აქვთ ერთმანეთის გატანისა, მასეთი პარტიის ჭკუაც არ ვატირე? ასეთი ცირკი არ გამიგია, რომ ნაცმო ნაცმოს არ ენდობა. უკვე მრცხვენია. ცოტასაც ვუყურებ და მიბმული კი არ ვარ მათზე, გავგზავნი მოუსავლეთში!

– ცავატანემ, „კრუხის პალო“ ვინ არი? – ინტერესით აუკიაფდა თვალები ერვანდას.

– ვინ იქნება, ანი წითლიძე!

– ვა, „მაიმუნის ჩუტყვავილა“? მაგას ხო ცისნამი ჰქვიან, იმ ცხვირმოჭრილსა კიდე – მზისადარი, ჰა, შიდა კუხნაში შაიბნენ? ეე, ჩემი ტაინი როდსტვენიცა რო არი, მაია, კარგი საჩქმეტი გოგო, ისა და ცხრა ძმა ხერხეულიძის დაცა რო ეცნენ ერთიმიორესა? – ახითხითდა ერვანდა.

– სუფთა ძონძის კუკლები გახდნენ... მაგას არ ვამბობ?! – აღშფოთებულმა ნანულიმ იმხელაზე გაალო პირი და ისე უცბად გადახუხა არაყი, კინაღამ სირჩა გადამიყლაპა.

გარგარის არყის დამსახურება იყო თუ შეგრძნებისა, რომ მეც ცოცხალი ვარ და ერვანდაც, არ ვიცი, მაგრამ ასე აზრიანად, მსუბუქად და მხიარულად, როგორც ამ დღეს, ამ შემადგენლობით, მგონი, არასდროს მომილხენია. გულმაც კი მითხრა, ჯიგარი ხარ, ზურაჯანო, – ეამა...

**ზურა ოჩხერელი**



# თუ საქართველოში სამშვილიანი ოჯახები ნორმა გახდება, დემოგრაფიულ კატასტროფას თავს დავაღწევთ



*გვესაუბრება დემოგრაფი, პროფესორი ანზორ თოთაძე:*

## საჭიროა თუ არა მრავალი შვილი?!

გავრცელებული მოსაზრებით, მე-19-სა და მე-20 საუკუნის დასაწყისში, საქართველოში, რუსეთსა და დასავლეთ ევროპაში მრავალშვილიანი ოჯახები თითქოს ფართოდ იყო გავრცელებული. ეს მცდარი მოსაზრებაა. სინამდვილეში, მასობრივი იყო არა მრავალშვილიანი, არამედ ოჯახებში მშობიარობათა მასობრივი რაოდენობა (10-12). თუმცა, ბავშვთა მოკვდავობის მაღალი რიცხვის გამო, ცოცხალი მხოლოდ ორი-სამი ბავშვი რჩებოდა. ყოველი მეოთხე დაბადებული ბავშვი ერთ წლამდე ასკში იღუპებოდა, ხოლო 15 წლამდე დაბადებულთა ნახევარი აღწევდა, ზოგჯერ კი მხოლოდ 35-40%. ერთ-ერთი დემოგრაფის თქმით: შეუზღუდავი შობადობისას ოჯახთა უმეტესობაში ცოცხალი ორი-სამი ბავშვი რჩებოდა, ანუ მრავალშვილიანი ოჯახის ნაცვლად ვიღებდით საშუალოშვილიან, ზოგჯერ კი, მცირეშვილიან ოჯახებს. მაგალითად, ევროპულ რუსეთში 1913 წელს ყოველ ათას დაბადებულზე ერთ წლამდე ასაკში 269 ბავშვი გარდაიცვალა, შუა აზიაში, იმავე წლებში — 300-ზე მეტი, ხოლო ცალკეულ წლებში — 600-700 ბავშვიც კი დაიღუპა.

მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში და 21-ე საუკუნის განვლილ პერიოდშიც, ერთ ოჯახზე უფრო მეტი ბავშვი მოდის, ვიდრე მეოცე საუკუნის დასაწყისში, მე-19 საუკუნესა და წინა წლებში.

მიუხედავად შობადობის მაღალი კოეფიციენტისა, შუა საუკუნეების ქალაქებში ოჯახში ბავშვები მცირე რაოდენობით იყვნენ. მაგალითად, მე-15 საუკუნეში ფრანკფურტში, ბაზელში, კიოლნში, როსტოვში ოჯახზე 1-2 ბავშვი მოდიოდა, ნიურნბერგში — 1,64, ფრაიბურგში — 1,74. ამასთან, ჩვეულებრივ ოჯახებში რვა, ცხრა და ათი ბავშვი იბადებოდა. შუა საუკუნეების მონაცემებით ცხადია, რომ ქალები 6-12 და მეტ ბავშვსაც აჩენდნენ, მაგრამ ცოცხალი 1-3 ბავშვი რჩებოდა. ასე რომ, დასავლეთ ევროპის ქალაქებში მე-20 საუკუნესა და 21-ე საუკუნის დასაწყისში ოჯახზე მეტი ბავშვი მოდიოდა, ვიდრე შუა საუკუნეებში. ბავშვთა მოკვდავობა განსაკუთრებით მაღალი იყო ქალაქებში.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბავშვთა ძალიან მაღალი მოკვდავობის დონე შობადობის მაღალ დონესაც განაპირობებდა. ასე რომ არ ყოფილიყო, ოჯახები საერთოდ უშვილოდ დარჩებოდნენ. გასულ საუკუნეებში ოჯახებში ბავშვების კი არა, მშობიარობის რაოდენობა იყო ბევრი — 10-12 დაბადებულიდან 2-3 ბავშვი 15 წელს თუ მიაღწევდა, ინფექციური სენი მოზარდ თაობას მუსრს ავლებდა. ამის გამო ქალაქებში მოსახლეობის რაოდენობის ბუნებრივი კლებაც ფიქსირდებოდა — გარდაცვლილების რაოდენობა დაბადებულთა რიცხვს სჭარბობდა. ამ დანაკლისს სოფლიდან ქალაქში მიგრაციული პროცესები ავსებდა.

მრავალ მშობიარობას მრავალშვილიანობა რომ მოჰყოლოდა, ოჯახებიც და ქვეყნებიც საშინელ სიდუხჭირეში ჩავარდებოდნენ, რადგან დროის მოკლე პერიოდში 3-4-ჯერ უნდა გაზრდილიყო ბავშვების ჩაცმა-დახურვის, გამოკვების და სხვა საარსებო ხარჯები, რაც შეუძლებელი იყო. ასეთ შემთხვევაში თავად მოსახლეობა მიმართავდა ჩასახვის საწინააღმდეგო და ორსულობის ნაადრევი შეწყვეტის საშუალებებს.

## საქართველოში მრავალშვილიანობა წარსულს ჩაბარდა

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, საქართველოში 1945-1954 წლებში საშუალოდ წელიწადში დაბადების რიგითობის მიხედვით 293 მეათე და შემდეგი ბავშვი დაიბადა. ათი წლის შემდეგ, 1955-1964 წლებში — 185. 1989 წელს ეს მაჩვენებელი უკვე 17 ბავშვს უდრიდა. 2020 წელს მეათე და რიგით შემდეგი მხოლოდ 13 ბავშვი დაიბადა, რაც იმას ნიშნავს, რომ მრავალშვილიანობა საქართველოში წარსულს ჩაბარდა და მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში გვხვდება.

ისტორიულად საქართველოში, ზოგიერთ სხვა ქვეყანასთან შედარებით, მრავალშვილიანობა ნაკლებად იყო გავრცელებული. გიორგი ხუცესმონაზონის აზრით, მთავარია ახალგაზრდების „სწავლითა სრულყოფა“, აღზრდის ხარისხი, „გონებისა და სულიერი ხედვის“ განვითარება. საქართველოს მთიანეთში მრავალშვილიანობა გავრცელებული არ იყო. ექიმი გიორგი თედორაძე 1920-იან წლებში ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში ცხოვრობდა. იგი აღნიშნავდა: ხევსურული წესით, მშობლებს 3-4, მაქსიმუმ, 5 შვილი უნდა ჰყავდეთ. ხევსურების აზრით, ბევრი შვილის ყოლით ოჯახი უძლურდება, პირველადვე არ ჰყოფნის მიწა დასამუშავებლად, ვერ მოჰყავს საკმაო ქერი და ჭვავი, ამიტომ ის ბევრი შვილის ყოლას უფრთხის. ფშაველი დედ-მამა შვილების სიმრავლეს ძალიან ერიდება. აქაც კანონად არის მიღებული, რომ შვილის ყოლა 3-4, მაქსიმუმ, 5-ს არ უნდა აღემატებოდეს. სამცხე-ჯავახეთი პატარძალს ასე ლოცავდნენ — სამი ვაჟი და ერთი ქალიო.

ბოლო ათ წელიწადში საგრძნობლად იმატა მაღალ ასაკში დაბადებული ბავშვების რაოდენობამ, რაც ერის ჯანმრთელობაზე მძიმე გავლენას ახდენს. მაგალითად, 2000-2009 წლებში 35 წლისა და უფროსი ასაკის ქალებმა 43 ათასი ბავშვი დაბადეს, ხოლო 2010-2019 წლებში — 63 ათასი, ანუ 20 ათასი ბავშვით მეტი.

დაბადების რიგითობით მეხუთე და რიგით შემდეგი დაბადებული ბავშვების რაოდენობა, შეიძლება ითქვას, ქვეყანაში დემოგრაფიულ ვითარებაზე ვერავითარ დადებით გავლენას ვერ ახდენს. მაგალითად, 1989 წელს საქართველოში მეხუთე და რიგით შემდეგი 1567 ბავშვი დაიბადა, 2014 წელს — მხოლოდ 420. იმავე 2014 წელს რიგით მეორე 23171 ბავშვი დაიბადა. თუ აქტიურ დემოგრაფიულ პოლიტიკას გავატარებთ და თითოეულ დედას ერთით მეტი ბავშვი ეყოლება, მაშინ რიგითობით მეხუთე და მეტი 840 ბავშვი დაიბადება, ხოლო იმ დედებს, რომლებსაც ჰყავთ მეორე ბავშვი, 46342, ანუ ორჯერ მეტი ბავშვი გაუჩნდებათ. რეალურად, 2014 წელს 8721 მესამე ბავშვი დაიბადა.

მრავალშვილიანობის დროს დედების საკმაო ნაწილს უხდება 35 წლისა და უფროს ასაკში არამარტო პირველი, არამედ მეხუთე, მეექვსე და რიგითობის შემდეგი ბავშვის გაჩენაც, რაც მეტად დიდ რისკებს შეიცავს დაბადებული ბავშვების ჯანმრთელობის თვალსაზრისით. ამავე დროს, ოჯახს უძნელდება ბავშვების აღზრდა და მოვლა-პატრონობა. ცნობილია, რომ ეკონომიკურად გაჭირვებულ ოჯახებში მეტი ბავშვი იბადება. ცნობილია ისიც, რომ პირველდაწყებითი და არასრული საშუალო განათლების მქონე დედები გაცილებით მეტ ბავშვს ბადებენ, საშუალო და უმაღლესი განათლების დედებთან შედარებით.

საქართველოში 2022 წელს, ბავშვი 50 წელს გადაცილებულ 49 ქალს შეეძინა. ამრიგად, დედების გარკვეული ნაწილი ბავშვებს საპენსიო ან ამ ასაკთან მიახლოებულ წლებში აჩენს და ზოგჯერ თავად ავადმყოფი დედები უვლიან არამარტო შვილებს, არამედ მოხუც მშობლებსაც კი. ამავე დროს მეცნიერული გამოკვლევის შედეგად დადასტურებულია,




რომ ჩასახვის შედეგად, რომელიც ხელოვნური განაყოფიერების შედეგად ხდება ფერტილური პერიოდის ბოლოს, ასეთად კი მიჩნეულია 49 წლის ასაკი, არც ისე იშვიათად ემბრიონული განვითარების დეფექტები ვითარდება.

## მრავალშვილიან მშობლებს საკუთარი ცხოვრება არ აქვთ

ხშირად ტელევიზიით აჩვენებენ ასეთი ოჯახების ცხოვრებას, რაც ფაქტობრივად, მცირე სოციოლოგიური გამოკვლევაა, რეალური სურათი კი მძიმეა. მრავალშვილიან მშობლებს საკუთარი ცხოვრება არ აქვთ. რვა ან ათი შვილის დედა ცხოვრებაში თითქმის ათი წელი ორსულადაა, კიდევ ათი წელი ბავშვს ძუძუს აწოვებს და ამით მთავრდება მისი ყველაზე შემოქმედებითი წლები. ასეთ დედებს ნაკლები ურთიერთობები აქვთ ნათესავებთან, მეგობრებთან, გარესამყაროსთან. დღეს 21-ე საუკუნეა და არა შუა საუკუნეები, როდესაც ქალი ისე ამთავრებდა სიცოცხლეს, თავისი სოფლის გარდა სხვა სოფელში არც იყო ნამყოფი. მრავალშვილიან დედებს, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არ აქვთ თავისუფალი დრო, რათა კულტურულ, სულიერ ფასეულობებს ეზიარონ. რაც მთავარია, მრავალშვილიანობის პირობებში ოჯახი ბავშვს შესაბამის განათლებას ვერ აძლევს, ხშირად საშუალო განათლებასაც კი და ვერც მათ ჯანმრთელობაზე ზრუნავს სრულყოფილად.

მეტად საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ გარდაცვალების შემდეგ, კანონმდებლობით, ყველა შვილს მშობლების დანატოვარი ქონება თანაბრად ეკუთვნის. ასე რომ, მათ ახალი ოჯახის შესაქმნელად მიზერული, უმნიშვნელო ფინანსური სახსრები რჩებათ და ბევრს ისევ სიღარიბეში უწევს ცხოვრება. ამასთან, მრავალშვილიანი ოჯახის შვილებს, როგორც წესი, საშუალოდ 3-3 შვილი მაინც ეყოლებათ. ასეთ პირობებში ძნელია ყველა უახლოეს სისხლის ნათესავთან ახლო ურთიერთობა შეინარჩუნო, რაც ქართველი ხალხისთვის ასე მნიშვნელოვანია.

აქვე მინდა გითხრათ, რომ მრავალშვილიანი და მრავალშობადობიანი ოჯახები სხვადასხვა ცნებებია. ადრე სწორედ მრავალშობადობიანი ოჯახები იყო და ბავშვთა მაღალი მოკვდავობის გამო 15 წლამდე ასაკში დაბადებულ ბავშვთა ნახევარიც კი ვერ აღწევდა. მაგალითად, თბილისში 1875-1879 წლებში მთელ გარდაცვლილებში 15 წლამდე ასაკში გარდაცვლილებმა 57,1% შეადგინეს. შემდეგში, განსაკუთრებით ბოლო ნახევარ საუკუნეში, როდესაც სამედიცინო მეცნიერების განვითარებისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების შედეგად ნაადრევ ასაკში უაღრესად შემცირდა ბავშვთა გარდაცვალების შემთხვევები, მრავალმა შობადობამაც თავისი აზრი დაკარგა. კერძოდ, 1875 წელს თბილისში 2858 ბავშვი დაიბადა და აქედან, 1288 ბავშვი ანუ 45% ხუთ წლამდე ასაკში გარდაიცვალა. 2018 წელს მთელ საქართველოში 51 138 ბავშვი დაიბადა და ხუთ წლამდე ასაკში 499 ბავშვი გარდაიცვალა, ანუ დაბადებულ ბავშვთა მხოლოდ 1%. მთელ გარდაცვლილებში კი 15 წლამდე გარდაცვლილებმა მხოლოდ 1,3% შეადგინა. მომავალში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო შემცირდება. ასე რომ, მრავალშვილიანობა წარსულს ჩაბარდა და მას მომავალი არ აქვს. ასეა ყველა განვითარებულ და, მაშასადამე, განათლებულ ქვეყანაში.

ბოლოს დასკვნის სახით გეტყვით: ყოველმა დემოგრაფმა კარგად იცის, რომ, თუ საქართველოში სამშვილიანი ოჯახები ნორმა გახდება, მოსახლეობა გამრავლდება და ქვეყანა დემოგრაფიულ კატასტროფას თავს დააღწევს. ოღონდ, ამისთვის დროზე უნდა ვიზრუნოთ.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# „ლიბერთი ბანკის“ წინააღმდეგ პენსიონერთა დავამ სააპელაციო სასამართლოში გადაინაცვლა




ჩვენი გაზეთის მკითხველს პენსიონერი მოქალაქეების მიერ ლიბერთი ბანკის მიმართ გამოთქმულ პრეტენზიებთან დაკავშირებული ვრცელი წერილი შევთავაზეთ სათაურით „რა პრეტენზიები აქვთ პენსიონერ მოქალაქეებს ლიბერთი ბანკის მიმართ“. სტატიაში კონკრეტულად ვისაუბრეთ ერთ-ერთი მოქალაქის შემთხვევაზე, რომელმაც ლიბერთი ბანკს სასამართლოში უშეთავათოდ გაცემული სესხის გამო უჩივლა და დავაანონსეთ, რომ საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, სასამართლოს მომავალ ვერდიქტს აუცილებლად გავასაჯაროვებდით.

მართლაც, მიუხედავად დიდი მოლოდინისა, 2023 წლის 17 მაისის გადაწყვეტილებით თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე თინათინ ეცადაშვილმა არ დააკმაყოფილა ლიბერთი ბანკის წინააღმდეგ შეტანილი სარჩელი და დავამ სააპელაციო სასამართლოში გადაინაცვლა. პენსიონერი მ.მ., რომელიც წარსულში პროკურატურის ორგანოებში მუშაობდა და პენსიასაც დამსახურებულად იღებს, დავას არ წყვეტს. მართალია, ამჟამად ინკოგნიტოდ დარჩენას არჩევს, მაგრამ დავის აქტუალობიდან გამომდინარე ფიქრობს, რომ სამართალს აუცილებლად იპოვის.

შეგახსენებთ, რომ ჩვენი რესპონდენტი ლიბერთი ბანკს საპენისო სესხის გამო უჩივის, რომელსაც პანდემია დაერთო. საფინანსო ორგანიზაციამ, როგორც ყველა პენსიონერს, ტელეფონის დახმარებით მასაც მოკლე ტექსტური შეტყობინებები გაუგზავნა სესხის ვადის, როგორც საშეღავათო პერიოდის გაგრძელების შესახებ, მაგრამ აღმოჩნდა რომ სესხის ძირითად თანხას არც პროცენტი მოჰკლებია, არც ძირი და არც ეგრეთწოდებული პირგასამტეხლო. პირიქით, დავალიანებამ და მასზე დარიცხულმა ჯარიმამ აღებულ სესხს მნიშვნელოვნად გადააჭარბა.

არადა, საინფორმაციო საშუალებებით, სს „ლიბერთი ბანკმა“ პენსიონერებს 2020 წლის აპრილის, მაისის, ივნისისა და დეკემბრის თვის როგორც ძირის, ისე პროცენტის თანხის გადახდა გადაუვადა, ხოლო 2021 წლის იანვარში, თებერვალში, მარტში, აპრილში და მაისში ბანკი ახორციელებდა მხოლოდ პროცენტის თანხის ჩამოჭრას, ძირი თანხის გადახდის გადავადება უნდა მომხდარიყო გრაფიკით გათვალისწინებული ვადის ამოწურვის შემდეგ. ყოველ შემთხვევაში, ასეთი განცხადება გაავრცელა ბანკმა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით. ჩვენი რესპონდენტისათვის სადავო იყო ის ფაქტი, რომ სესხი საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ დამტკიცებული ნორმატიული აქტის, ფიზიკური პირის დაკრედიტების წესების შესახებ მითითებული პირობების თანახმად, გაცემული იყო კლებადი გრაფიკით, რაც ნიშნავს, რომ ყოველთვიური გადასახადიდან თავდაპირველად დიდი ნაწილი უნდა მიმართულიყო სესხის პროცენტის დასაფარად, ხოლო შედარებით მცირე ნაწილი — სესხის ძირის დასაფარად. სესხის ვადის დინებასთან ერთად მცირდება ყოველთვიურ გადასახადში გათვალისწინებული ბანკისათვის გადასახდელი საპროცენტო სარგებლის ოდენობა და იზრდება დასაფარი ძირის ოდენობა. იქიდან გამომდინარე, რომ სს „ლიბერთი ბანკმა“ თვითნებურად ააგო ახალი გრაფიკი, თავიდან დაიწყო ყოველთვიურად თანხის ჩამოჭრა, რაც ნიშნავს იმას, რომ სს ‚ლიბერთი ბანკმა’’ დაზარალებულ პენიონერ მოქალაქეს დააკისრა იმ თანხით სარგებლობისათვის პროცენტის გადახდა, რომელიც მას უკვე გადახდილი ჰქონდა. როგორც წინა სტატიაში აღვნიშნავდით, მსგავსი პრობლემის წინაშე ჩვენი არაერთი მოქალაქე აღმოჩნდა, რომლებიც სხვადასხვა საინფორმაციო საშუალების დახმარებით გამოხატავენ პრეტენზიებს არამხოლოდ ლიბერთი ბანკის მიმართ.



ამ სასამართლო დავაში კომიკური იყო ლიბერთი ბანკის ის ოფიციალური მიდგომა, რომელიც სასამართლოზე გააჟღერა: „2020 წლის მარტის თვიდან, ქვეყანაში არსებული პანდემიური მდგომარეობის გათვალისწინებითა და ქვეყნის მთავრობის მითითებით, თითქმის ყველა ფინანსურმა ორგანიზაციამ მიიღო გრაფიკში არსებული სესხების გარკვეული პერიოდით გადავადების გადაწყვეტილება. საწყის ეტაპზე ეს იყო სამთვიანი პერიოდი, რომელიც ზოგ შემთხვევაში, ანუ ზოგიერთ მსესხებელთან მიმართებაში განისაზღვრა მეტი ვადით. მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია გავრცელდა ქვეყნის ყველა მასობრივი მედიასაშუალებით, **წერილობითი შეთანხმებები ამ ცვლილებებთან დაკავშირებით არ გაფორმებულა**, თუმცა განისაზღვრა ცვლილების შესახებ მსესხებლის ინფორმირების წესი, გარდა საყოველთაო ინფორმირებისა, ამ ინფორმაციას მომხმარებლებს აწვდიდა უშუალოდ ბანკიც, როგორც პირადი კომუნიკაციის დროს, ასევე მათთვის **სმს შეტყობინების გაგზავნის მეშვეობით. რომელსაც თურმე მოყვებოდა გაფრთხილება, გადადი ლინკზე, სადაც თურმე გარკვევით იყო განმარტებული დამატებითი პირობები**. ბანკის განმარტებით, აბსოლუტურად ყველა მომხმარებელს გაეგზავნა შეტყობინება, რომლითაც მათ მიეწოდათ ინფორმაცია ავტომატური გადავადებისა და მისი პირობების შესახებ. შეტყობინებები გაიგზავნა იმ ნომრებზე, რომელიც მომხმარებლებს საკონტაქტო ნომრებად ჰქონდათ მითითებული ბანკში და, შესაბამისად, ასახული იყო ბანკის ბაზაში.

კომიკურია, რომ საქართველოში პენიონერ მოქალაქეთა უმეტესობა დღეს „ნოკიას“ ფირმის მობილური ტელეფონით მოსარგებლეა, რადგან ვერ შეეგუენ ახალ ტექნოლოგიებს. როგორც აღმოჩნდა, ესეც მათი ბრალი ყოფილა და ბანკის თავისმართლება, რომ თითქოს მათი გაფრთხილება ხელშეკრულების ახალი პირობების შესახებ ამ გზით მოხდა, სცდება კანონის მოთხოვნებს, **მით უმეტეს მაშინ, როცა „ნოკიას“ ტიპის აპარატურას დამატებითი სერვისები არ გააჩნია**.

ლიბერთი ბანკი, როგორც ყველა სხვა ფინანსური ინსტიტუტი, ხელს ეროვნული ბანკისკენ იშვერს და განმარტავს, ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 9 მარტის N32/4 ბრძანების მე–3 მუხლის 21-ე ნაწილის შესაბამისად მოიქნენ.

დისტანციური საკომუნიკაციო საშუალებით შეთანხმება კლიენტებთან ბანკმა დასაშვებად და ხელშეკრულების ნაწილად მიიჩნია. მოსამართლე თინათინ ეცადაშვილმაც პენსიონერ მოქალაქეებთან ბანკის მხრიდან ამგვარი კომუნიკაციის გზა სამართლიანად ჩათვალა. არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ, ვინაიდან საქმე სამართლებრივ ჩარჩოებს სცდება, საქმის საბოლოო გადაწყვეტა მის ზემდგომ სააპელაციო სასამართლოს მიანდო.



თუმცა აქვე არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის სამართლებრივი მხარე, რომელსაც ვერავინ გაექცევა, ხელშეკრულება თავისი არსით არის ნათელი გარიგება, ის არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონს და ვერავითარი სხვა ბრძანება, მათ შორის ეროვნული ბანკისა, ვერ შეცვლის საყოველთაოდ ცნობილ პრინციპებს.

იმედს ვიტოვებთ, რომ სააპელაციო სასამართლო გაარკვევს მოქლაქეების ურთიერთობას ლიბერთი ბანკთან და სამართლიან გადაწყვეტილებას მიიღებს, რადგან პენსიონერებმა არ იციან, მოახერხებენ თუ არა ლიბერთი ბანკიდან აღებული სესხის გასტუმრებას სიცოცხლის ბოლომდე.

**ლევან ჭილლაძე**

# დევნილების საუბარი მოისმინე...

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ღარიბაშვილი რამდენიმედღიანი ვიზიტით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში იმყოფებოდა, სადაც ორმხრივი მაღალი დონის შეხვედრები გაიმართა.

საქართველო ხომ ოდითგანვე იყო ჩინური აბრეშუმის გზის მნიშვნელოვანი რგოლი, ბოლო წლებში კი „სარტყელისა და გზის პოლიტიკისა“ და „შუა დერეფნის ფარგლებში “ აქტიური მონაწილე გახდა. მისასალმებელია, რომ ეკონომიკურად მძლავრ და უდიდესი პოტენციალის ქვეყანასთან ჩვენს ურთიერთობაში ახალი, დამაიმედებელი ეტაპი დაიწყო.

პრეზიდენტმა სი ძინპინმა განაცხადა, რომ საქართველო და ჩინეთი ამყარებენ სტრატეგიულ პარტნიორობას, რომ „საქართველო ჩინეთის მეგობარი და კარგი პარტნიორია. არ აქვს მნიშვნელობა, საერთაშორისო ასპარეზზე როგორ განვითარდება მოვლენები, ჩინეთის დამოკიდებულება საქართველოს მიმართ ურთიერთობების განვითარების შესახებ არ შეიცვლება.

ეს გახლავთ უდიდეს და მძლავრ აზიურ ქვეყანასთან პირველი და დამაიმედებელი, სამომავლოდ ძალიან პერსპექტიული ურთიერთობა. ჩანს, ჩინეთმა სავსებით ლოგიკურად აღიქვა ევროპასა და აზიას შორის საქართველოს დამაკავშირებელი როლის მნიშვნელობა.

მისასალმებელია, რომ ქართული სახელმწიფოს ინტერესების ფარგლებში ხორციელდება პრაგმატული, სწორი პოლიტიკა. ჩვენ ზუსტად უნდა ვიცოდეთ და განვსაზღვროთ, რა უნდა ამერიკას, რა უნდა რუსეთს, რა უნდა ჩინეთს. ვისწავლოთ თანაცხოვრება მსოფლიოს ძლიერ მოთამაშეებთან, დავალაგოთ ურთიერთობა მათთან. ჩვენ მათ უნდა ვესაუბროთ თანაბარ დონეზე. იმ ლექსიკით, იმ ინტერესების ფარგლებში, რომელიც მათ აინტერესებთ. რასაკვირველია, მათ ინტერესებს ვერ შევცვლით, მაგრამ ქართული სახელმწიფოს მიზნები და ინტერესები მკაფიოდ უნდა განვუსაზღვროთ.

მცდარია ოპოზიციონერების ვარაუდი, რო ჩვენ ამის ნებას არ მოგვცემენ.

მოგვცემენ და ძალიან კარგადაც, ოღონდ, ჩვენი აქტიური მოქმედება და მათთან დაახლოების გზების კარგად გათვლაა საჭირო.

როგორც მოსალოდნელი იყო,



ქვეყნის ორგული ოპოზიცია აყაყანდა. საქართველოს უკვე ჰყავს პარტნიორები - ამერიკა და ევროპა, როგორ შეიძლება, ჩინეთი პარტნიორი გახდეს,. საქართველოს ხელისუფლება შეცდომას უშვებსო. თვალებს აბრიალებენ, ვაითუ, აზიის ამ უდიდეს და უმდიდრეს ქვეყანასთან დამოკიდებულებამ კარგი შედეგი გამოიღოს.

ჩინეთთან ურთიერთობა რატომ უშლის ხელს ამერიკასთან და ევროპასთან ჩვენს პარტნიორულ ურთიერთობას, ვერ ამტკიცებენ. ეს, უბრალოდ, მათი ოპოზიციური ტესტია, კავკასიაში შექმნან რუსეთის წინააღმდეგ მძლავრი პლაცდარმი, რომ ამერიკას ასიამოვნონ. ამის მაგალითია ბათუმში შემოსული რუსული გემის გამო საპროტესტო გამოსვლები.

მიზანი ცხადია. ყოველივე კარგსა და მისაღებს ნაცარი შეაყარონ. ნაცარქექიების „გარჯას“, რომ არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, მათთვისაც ცხადია.

ჩინეთსა და ყაზახეთში პრემიერის წარმატებულმა ვიზიტმა მოსახლეობაში ოპტიმისტური მოლოდინები გააჩინა. აქტიურად განიხილავენ ახალი პორტის, ლაზიკის მშენებლობას და სხვა საკითხებს. ცხადია, სამეგრელოში აფხაზეთიდან დევნილბი ბევრია. მათ თავიანთი მოსაზრება აქვთ და ხელისუფლების ყოველ წარმატებულ ნაბიჯს მათ მშობლიურ მიწაზე დაბრუნებას უკავშირებენ. მომავლის იმედი აცოცხლებთ და არც გაემტყუნებათ.

ოცდაათ წელზე მეტია, შინ დაბრუნებას ელიან.

ახლახან ათზე მეტი მამაკაცი იყო თავმოყრილი, შევესწარი მათ საუბარს, როცა ჩინეთთან დამოკიდებულების საკითხს განიხილავდნენ და მას აფხაზეთში დაბრუნების შესაძლებლობას უკავშირებდნენ. გამოითქვა მოსაზრება, რომ აზერბაიჯანმა თურქეთის დახმარებით ყარაბაღი დაიბრუნა. ერდოღანის რუსეთთან დაახლოებამ შესაძლებელი გახადა მიტაცებული ტერიტორიის დაბრუნება. ფიქრობენ, რომ ჩვენი ხელისუფლება, რომელიც საგარეო პოლიტიკაში ფრთხილ, მოზომილ პოლიტიკას ატარებს, ჩინეთთან ურთიერთობით ქვეყნის გამთლიანებას შეძლებს. სი ძინპინის რუსეთთან დაახლოება ხელისუფლებამ უნდა ჩვენი სანუკვარი ოცნების, ძირძველი მიწების: აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დასაბრუნებლად გამოიყენენოსო.

ყველანაირ აზრს აქვს არსებობის უფლება.

ვეთანხმები მოლოდინით სულმოწურულ ადამიანებს. მართლაც ხომ შეიძლება, ასე მოხდეს საიმედო პარტნიორის მეშვეობით? თუ აზერბაიჯანს გამოუვიდა, რატომ საქართველოს არ გამოუვა?

ამაზე ხელისუფლება ხმამაღლა, რასაკვირველია, ვერ ისაუბრებს. თუ ასე არ ფიქრობს, ჩვენ ვალდებული ვართ, შევახსენოთ, მოვუწოდოთ, ვუთხრათ, რომ ეცადოს.

ცხადია, ამერიკისა და ევროპის თხოვნით რუსეთი კუდსაც არ გააქნევს. ამიტომ ჩინეთის პრეზიდენტის დიდმა ავტორიტეტმა და გავლენამ, შესაძლებელია, დადებითი როლი ითამაშოს. რასაკვირველია, თუ დიდი ჩინეთი ამ მიმართულებით ჩვენ დახმარებას ისურვებს.

არის ამაში დამაიმედებელი და ოპტიმისტური. ითქვა, რომ თბილისში ჩამოვიდა აფხაზი ახალგაზრდა, რომელიც შემდგომ (თუ არ ვცდები, გაერო-ს სხდომაზე) გამოვიდა და ილაპარაკა აფხაზეთისა და საქართველოს დამოკიდებულებაზე. თქვეს, რომ სოხუმში ჩატარდა დიდი აღლუმი, სადაც გამოჩნდა ქართული დროშა, რაც დადებით მოვლენად მიაჩნიათ. თურმე რამდენიმე ხნის წინ სოხუმში იმყოფებოდა ქართველი ჟურნალისტი. შემოიარა ქუჩები, სკვერები, ბაზარი, შეხვდა ახალგაზრდებს. საუბრიდან ჩანდა, ადგილობრივები მხოლოდ უარყოფითად იმათ მიმართ არიან განწყობილი, ვინც მათ ებრძოდა, თორემ სხვების დაბრუნების წინააღმდეგი არ არიანო. გაიხსენეს აფხაზებთან დამოკიდებულებისა და ურთიერთობის სასიამოვნო ეპიზოდები.

ღმერთო, შეისმინე ამ ადამინების სურვილი.

ნება ჰყავ, დაუბრუნდნენ სანუკვარ დედა ადგილს.

ჩინეთში პრემიერის წარმატებულმა ვიზიტმა ბევრი სამომავლო ფიქრი აგვიშალა. წინ დიდი ეკონომიკური ურთიერთობები გველის და თუ ამას ჩვენი სანუკვარი ოცნების ასრულება დაემატება, ამაზე მნიშვნელოვანი, აბა, რა შეიძლება იყოს.

**ბორის დავითაია**
**სენაკის საპატიო მოქალაქე**



## საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს

**ბატონო ირაკლი,**

**აფხაზეთისა და ცხინვალის ფაქტობრივი დაკარგვიდან 30 წელზე მეტი გავიდა, ჩვენ საკუთარ თავზე ვიწვნიეთ 2008 წლის აგვისტოს უსამართლო ომის უბედურებანიც, რომელშიც დიდი წვლილი მიუძღვის მაშინდელ ხელისუფლებას.**

**დღეს, როცა რუსეთ-უკრაინის მძიმე და დაუნდობელი ომი მიმდინარეობს, საქართველოში თქვენი წყალობით მშვიდობა სუფევს და ქვეყანა ეკონომიკურად ვითარდება. ეს ომი აუცილებლად დაასუსტებს მეომარ მხარეებს, რაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შანსს აჩენს.**

**აფხაზეთისა და ცხინვალის დაბრუნების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს ისტორიული სიმართლის დადგენას. უნდა საბოლოოდ გაეცეს პასუხები კითხვაზე: ვინ არიან აფხაზები და ოსები, როგორ აღმოჩნდნენ ისინი საქართველოში და რა საერთო აქვთ მათ ქართველებთან?**

**ჩვენ, მეცნიერ-ისტორიკოსთა ჯგუფმა მრავალი წელი მოვანდომეთ აფხაზეთის ისტორიის შესწავლას უძველესი დროიდან დღემდე — შესწავლილია წყაროები და დოკუმენტები, ლინგვისტური და არქეოლოგიური, ეთნოლოგიური მონაცემები, რის შედეგად თავი მოვუყარეთ მნიშვნელოვან მასალას, რომელიც რამდენიმე ასეულ გვერდს მოიცავს და მისი საბოლოო რედაქტირება და გამოცემაა საჭირო.**

**ჩვენ ვითხოვთ თქვენთან აუდიენციას 20-30 წუთით, სადაც გაგაცნობთ ჩვენს ხედვებს და ერთად გადავწყვიტოთ ამ მასალის მომავალი — როგორ და რა ფორმით გამოვცეთ ის. ამ მასალას, რომელიც ბევრ სიახლეს შეიცავს, დიდი მნიშვნელობა ექნება აფხაზეთის დაბრუნების საქმეში.**

**წინასწარ გიხდით მადლობას.**

**პატივისცემით**

**ვაჟა შუბითიძე,**
**პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი**

**შადიმან ბიწაძე,**
**პროფესორი,**
**ისტორიის დოქტორი**

**ვლადიმერ ზარიძე,**
**კომპილატორი,**
**აკადემიკოსი**

**ალექსანდრე რუსეცკი,**
**პროფესორი,**
**ფსიქოლოგიის დოქტორი**

# გრიგალისებური კალათბურთის შემოქმედი ქართველები

მაღალი, ექსტრაკლასის კალათბურთელები მრავლად ჰყავდა საქართველოს. ყოველი მათგანი თამაშის საკუთარი სტილით გამოირჩეოდა. მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მაგრამ შეუძლებელია, განსაკუთრებით არ აღვნიშნოთ ოთარ ქორქია და ნოდარ ჯორჯიკია, რომელთა სახელებთანაც არის დაკავშირებული ქართული კალათბურთის ისტორია და წარმატებები. საბედნიეროდ, დღესაც გვყავს მოთამაშეები, რომლებიც ღირსეულად განაგრძობენ წინა თაობების სპორტსმენთა ტრადიციებს.

სპორტული წარმატებების მწვერვალად ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვება მიიჩნევა, რადგან ასპარეზობა ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება, სადაც უძლიერესი სპორტსმენები მონაწილეობენ. ცალკეული ქვეყნების ათლეტები ოლიმპიადაში მონაწილეობას წარმატებად მიიჩნევენ, მაგრამ ქართველი გულშემატკივრები მაქსიმალისტები არიან და მხოლოდ გამარჯვებას ითხოვენ ჩვენი სპორტსმენებისგან ნებისმიერი რანგის შეჯიბრებებზე.



...ზუსტად 51 წელი გავიდა მიუნხენის მე-20 ილიმპიური თამაშებიდან. ფორუმის ბოლო შეხვედრა კალათბურთელთა ფინალური მატჩი იყო, სადაც ერთმანეთს ყოფილი საბჭოთა კავშირის ნაკრები ამერიკის შეერთებული შტატების ძლიერ გუნდს ეთამაშებოდა. გამარჯვებას კალათბურთის ფუძემდებლებს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ პროგნოზები, განსაკუთრებით სპორტში, ხშირად არ მართლდება. საბჭოთა ნაკრებში ორი ქართველი, თბილისის „დინამოს“ ორი მოთამაშე ასპარეზობდა — ზურაბ საკანდელიძე და მიხეილ ქორქია. მართალია, გუნდში იყო ქართული კალათბურთის სკოლაგამოვლილი კიდევ ერთი სპორტსმენი, სერგეი კოვალენკო, მაგრამ იგი იმ დროს უკვე კიევის „სტროიტელში“ ასპარეზობდა.

ფინალური ორთაბრძოლა 11 სექტემბერს გაიმართა, 10-ში კი მიხეილ ქორქიას დაბადების დღე იყო, მაგრამ აღნიშვნისთვის ვის ეცალა... ნაკრების მწვრთნელმა ვლადიმირ კონდრაშინმა ქართველი კალათბურთელები კუბის გუნდთან არ ათამაშა. ფინალური მატჩის წინ საბჭოთა სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ სერგეი პავლოვმა ოფიციალურად მოსთხოვა პასუხი კონდრაშინს, რატომ არ იყვნენ გუნდში ქორქია და საკანდელიძე, რაზეც მწვრთნელმა მოკლედ უპასუხა: „...ეს ჩვენი საიდუმლო იარაღია“.

მიუნხენის ოლიმპიადამდე მიხეილ ქორქიას გრძელი გზის გავლამ მოუწია. შესაძლოა, დიდი კალათბურთელი ვერც გამხდარიყო, რადგან მის მშობლებს არ უნდოდათ, 16 წლის ჭაბუკი თბილისში გაეშვათ. მხოლოდ ბიძამისის, ლეგენდარული ოთარ ქორქიას ჩარევის შემდეგ გადმობარგდა მიხეილი ქუთაისიდან თბილისში და აქ განაგრძო ვარჯიში. 18 წლისა უკვე თბილისის „დინამოს“ რიგებში თამაშობდა. გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და პრიზიორი, ევროპის ჩემპიონი და ორგზის ვერცხლისმედალოსანი, „უნივერსიადა-73“-ის პრიზიორი.

მშრალი სტატისტიკური მონაცემები ხშირად არაფრისმთქმელია, რადგან ძნელია სპორტსმენის, პიროვნების სრულფასოვანი შეფასება. ვისაც ერთხელ მაინც უნახავს მიხეილ ქორქია სპორტულ არენაზე, უთუოდ დამეთანხმება, რომ იგი თამაშის დროს ბოლომდე იხარჯებოდა. პიროვნულად თავმდაბალი იყო და ადამიანებთან ურთიერთობა უყვარდა, უსამართლობას ვერ ეგუებოდა, პირდაპირ გამოსთქვამდა საკუთარ აზრს. თავისი სიხტი ხასიათის გამო ბევრს არ უყვარდა, მაგრამ ამას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა. გულდასაწყვეტი მოგონებები კი ნამდვილად ჰქონდა, თუმცა ცუდის გახსენებას მაქსიმალურად არიდებდა თავს.

განსაკუთრებით უყვარდა ახალგაზრდებთან ურთიერთობა. მასზე გაცილებით უმცროსი მეგობრები ჰყავდა, რომლებსაც მიხეილ ქორქია როგორც თანატოლებს, ისე ესაუბრებოდა. მოედანზე ფიცხი და ფეთქებადი მოთამაშე და პიროვნება ოჯახში, მეგობრებთან ხავერდოვანი იყო, ხმას არასოდეს აუწევდა.

საკავშირო ნაკრებში, მით უფრო, ოლიმპიურ გუნდში მოხვედრა იოლი არასოდეს ყოფილა, მაგრამ მიხეილ ქორქია გამოირჩეოდა საკუთარი თამაშის კლასით, სპორტული ჟინით და ამიტომაც დაიმკვიდრა ადგილი პირველ გუნდში. ამის გარდა, უბრძოლველად არაფერს თმობდა, ნებისმიერ მეტოქესთან ბოლომდე იბრძოდა.

დავუბრუნდეთ მიუნხენის ოლიმპიადის ფინალურ მატჩს. საბჭოთა კალათბურთელთა ნაკრები პირველად 1952 წელს დაუპირისპირდა აშშ-ის გუნდს. საბჭოთა ნაკრებში ორი ლეგენდარული ქართველი კალათბურთელი — ოთარ ქორქია და ნოდარ ჯორჯიკია თამაშობდა. წინასწარ შეხვედრებისას აშშ-ის მოთამაშეებმა ოთარ ქორქიას მარჯვენა ხელი განზრახ დაუზიანეს. გადამწყვეტ მატჩში ოთარ ქორქია, ფაქტობრივად, მარცხენა ხელით თამაშობდა, ამიტომაც შეძლეს ამერიკელებმა საბჭოთა სპორტსმენების დამარცხება, რადგან გუნდის ტაქტიკა, ძირითადად, ქართველ კალათბურთელებზე იყო აგებული.

ოცი წლის წინანდელი მოვლენა, შესაძლოა, მიუნხენში კვლავ განმეორებულიყო, ამერიკელი კალათბურთელები წინასწარ ზეიმობდნენ გამარჯვებას. „...ნაკრების ყველა მოთამაშე ვღელავდით. მწვრთნელმა კონდრაშინმა სასტარტო ხუთეულში მე და ზურიკო რომ დაგვასახელა, შოკში ჩავვარდი, მაგრამ როგორ შევიმჩნევდი! ზურიკო ნაკრების „სტაჟიანი“ წევრი იყო — მსოფლიოსა და ევროპის ოთხგზის ჩემპიონი, ამიტომ არ აღელვებულა და მწვრთნელის გადაწყვეტილება კანონზომიერად მიიჩნია, — იხსენებდა მიხეილ ქორქია ჩემთან საუბრისას, რომელიც 2002 წელს შედგა, — ყველა გუნდს აქვს ჩვევა, ამოირჩევს, რომელ მხარეს დაჯდეს და მთელი ტურნირის მსვლელობისას იმ ადგილს იკავებს. ფინალური თამაშის დაწყებამდე დარბაზში ჩვენზე წინ ამერიკელები შევიდნენ და მაინცდამაინც ჩვენი მხარე დაიკავეს. არ შევეპუე, მივედი და დემონსტრაციულად ვაგრძნობინე, დაეტოვებინათ დაკავებული ადგილი. თავდაპირველად იბუზღუნეს, მაგრამ რაღას იზამდნენ,



გადავიდნენ. პირველი ორთაბრძოლა მოვიგეთ. ბევრმა, შესაძლოა, არ იცის, რომ პირველი ათი ქულა მე და ზურიკომ შევძინეთ ნაკრებს და 1:0 დავწინაურდით... თამაში საკმაოდ დაძაბული იყო. პირველი ტაიმი ისე დასრულდა, კონდრაშინმა შეცვლები თითქმის ვერ განახორციელა. ყველას ეშინოდა, ამიტომ შეუცვლელად ვითამაშე მთელი პირველი ტაიმი“.

მეორე ტაიმის შუა პერიოდში მოხდა ინციდენტი — მიხეილ ქორქია და ერთ-ერთი ამერიკელი მოთამაშე ფიზიკურად შეეხნენ ერთმანეთს, იჩხუბეს. მსაჯმა ორივე გააძევა თამაშის ბოლომდე. „...წელმოწყვეტილი წავედი სათადარიგოთა სკამისკენ, ბოლოში თავჩაღუნული დავჯექი, ველოდებოდი, როდის დამიწყებდნენ ლანძღვას. კონდრაშინი მოვიდა, თავზე ხელი გადამისვა და ჩემთვის მოულოდნელად მადლობა მითხრა“, — იხსენებდა მიხეილ ქორქია.

შეუძლებელია, არ გავიხსენოთ თამაშის ბოლო წამებზე საკანდელიძის მიერ მიღებული ჯარიმა, რომლის წყალობითაც გუნდს გამარჯვების შანსი შეუნარჩუნა. ის ჯარიმა დღემდე „ოქროს ფოლის“ სახელით შემორჩა. თამაშის ვიდეოჩანაწერი ახლაც ინახება NBA-ის მუზეუმში და მას დამწყებ კალათბურთელებს უჩვენებენ.



მიუნხენიდან ოლიმპიური ჩემპიონების ტიტულით დაბრუნდნენ სამშობლოში მიხეილ ქორქია და ზურაბ საკანდელიძე. მიშას დაბადების დღე მოკრძალებულად აღნიშნეს მიუნხენის ერთ-ერთ კაფეში ზურიკომ და მიშიკომ. „თბილისში აეროპორტში დედაჩემი და ზურიკოს მეუღლე დაგვხვდნენ, სხვა არავინ... როგორც ოლიმპიურ ჩემპიონს, საბურთალოზე ერთოთახიანი ბინა მომცეს. მხოლოდ ეს დამრჩა სპორტიდან და ამიტომ დღემდე უზომოდ მიყვარს“, — იხსენებდა მიხეილ ქორქია.

სიცოცხლის ბოლომდე ერთგულ მეგობრებად დარჩნენ მიშიკო და ზურიკო. ჯერ ზურაბ საკანდელიძე გარდაიცვალა 2004 წელს, ათი დღის შემდეგ კი მიხეილ ქორქია, რომელსაც წელს 10 სექტემბერს 75 წელი შეუსრულდებოდა.

წერილი გვინდა დავამთავროთ ცნობილი კალათბურთელის, ივან ედეშკოს სიტყვებით: „...როდესაც ერთად იყვნენ მოედანზე და გაიგონებდით: მიშიკო! ზურიკო! — ეს იყო ნიშანი იმისა, რომ გრიგალისებური კალათბურთი იწყებოდა“.

**გია ბურდული**
551 71 27 07

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა 599 03 43 06
ნომრის რედაქტორი: თამარ ბერძენიშვილი 555 33-44-14
სარედაქციო კოლეგია: თამარ ბერძენიშვილი (გამომცემელი); თამარ შველიძე, გია ბურდული, ზურაბ ოშხერელი, ნინო დაუშვილი, ნონა ქარქაშაძე, ლევან ჭიღლაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკაბადონებელი), ბელა გველესიანი (ლიტერატურული სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.
http://www.saertogazeti.ge

მის:. თბილისი, ა. წერეთლის გამზ.103;
ტელ.: 593 44-04-01; 234-45-35 (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99